# საერთო გაზეთი

№9 (321) ● 18 მარტი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი




## 21 მარტი „ნაციონალების“ კი არა ქართველი ხალხის სიბრძნისა და გონიერების გამოცდის დღეა!



როგორ შეიძლება „ნაციონალებმა“ მთავრობის გადადგომა იმ საკრალურ ადგილას, რუსთაველის გამზირზე, მოითხოვონ, სადაც მათ უდანაშაულო ადამიანები დახოცეს...

## „ნაციონალებისთვის“ მთავარია, 21 მარტს გვამები დაიდოს რუსთაველზე!

საქართველოში სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობის“ რებრენდინგი გამორიცხულია! პირდაპირ დაწერეთ — ნორლანდმა და სხვებმა ეს შუბლზე კარგად დაიწერონ!

## მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას: არც ერთი არ გახვიდეთ ქუჩაში 21 მარტს!

„ქართველ ხალხს შეიძლება მართლაც აქვს რაღაც პრეტენზიები ამ ხელისუფლების მიმართ, მაგრამ თქვენ რა შუაში ხართ, თქვენ ვინ გთხოვათ შუაკაცობა და „საქმის გამრჩევად“ ვინ დაგიძახათ, ნაცებო?“

## საუკუნის ძარცვა, ანუ ენერგომაფია და ქართული ენერგეტიკის „რუხი კარდინალები“



**ვახტანგ ხარჩილავა**

„ნაციონალური მოძრაობა" საპროტესტო აქციას აანონსებს და ქართველ ხალხს მოუწოდებს, 21 მარტს ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით რუსთაველზე გამოვიდეს. **ქართველ ხალხს შეიძლება მართლაც აქვს რაღაც პრეტენზიები ამ ხელისუფლების მიმართ, მაგრამ თქვენ რა შუაში ხართ, თქვენ ვინ გთხოვათ შუაკაცობა და „საქმის გამრჩევად" ვინ დაგიძახათ ნაცებო?**

ქართველ ხალხს ამ ხელისუფლებასთან ყთქვენი შუამავლობა არ სჭირდება — თუ რაიმე არის გასარკვევი, უთქვენოდაც გაარკვევენ გასარკვევს.

თქვენ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარხართ, ყველაზე მეტად რით არის უკმაყოფილო ქართველი ხალხი და ყველაზე მეტად რას საყვედურობს იგი ხელისუფლებას.

რას საყვედურობს და იმას, თქვენი უტიფარი, ცინიკური და თავხედური პარპაში რომ ვერ აღკვეთა ბოლომდე.

იცით, რისი ეშინია ყველაზე მეტად ქართველ ხალხს? — თქვენი უკან მობრუნების, თქვენი კრიმინალურ-სადისტური რეჟიმის აღდგენის და სწორედ ამ შიშის გამო შფოთავს და წუხს იგი და ხელისუფლებას უფრო პრინციპული და რადიკალური ნაბიჯებისკენ მოუწოდებს.

**ამ ხელისუფლებას უუნაროს უწოდებთ და ამ დროს თვენი უუნარობის ამბები რომ მხასენდება, ტანში მზარავს. რას ეძახით თქვენ უნარიანობას? იმას, 300 000 ადამიანი დამნაშავედ რომ გამოაცხადეთ, უდანაშაულო ადამიანებს ქუჩაში რომ ხვრეტდით, ადამიანებს ქონებას რომ ართმევდით, აწამებდით, თქვენს გეტოებში მამაკაცებს აუპატიურებდით, ეს იყო თქვენი უნარიანობა და მარიფათიანობა?**

ასეთი უნარიანობისკენ მოუწოდებთ ამ ხელისუფლებასაც?

თქვენი ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში თქვენ იმდენი პრობლემა დაუტოვეთ ამ ქვეყანას, მიუხედავად იმისა, რომ მთელ მსოფლიოს თვალში ნაცარს აყრიდით და არწმუნებდით, არნახული აღმშენებლობის ხანა დგას საქართველოშიო, სინამდვილეში თქვენ იმდენი უმძიმესი პრობლემა დაუტოვეთ ამ ქვეყანას, ორ წელიწადში მათი აღმოფხვრა შეუძლებელი იყო.

ცხადია, ეს იცით თქვენ და ამიტომაც ცდილობთ, პრობლემების გამოსწორების დრო არ მისცეთ ხელისუფლებას და ამ მოუგვარებელი საკითხებით გამოწვეული უკმაყოფილების ფონზე ახლავე ყელში წვდეთ და როგორმე მოახრჩოთ იგი, რადგან ხვალ და ზეგ, როცა ეს საკითხები გადაწყდება, უკვე არ იქნება თქვენთვის ხელსაყრელი ატმოსფერო და თქვენი გამარჯვების შანსი ნულამდე დავა.

თქვენ ერთი-ერთში იმეორებთ გასული საუკუნის 90-იან წლებში განხორციელებულ პროვოკაციულ მეთოდებს, როცა ქვეყნის გარედან მართულმა ძალებმა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მცირე ხანში ხანგრძლივად და ძნელად ასაშენებელი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება ერთ წელში მოსთხოვეს ხელისუფლებას და ამ საბაბით შეიარაღებული გზით დაამხეს იგი, თითქოს ეს ყოფილიყოს დემოკრატიის მყისიერად აშენების უებარი ხერხი და საშუალება.

**თქვენც იმ ავაზაკი პუტჩისტების სულიერი მემკვიდრეები ხართ, ნაცებო** და მათ მიერ დაწყებული ქვეყნის დამონების პროცესი საოცარი ენთუზიაზმით და მონდომებით გააგრძელეთ, თუმცა საქმის (დავალების) ბოლომდე მიყვანა არ დაგცალდათ და ამიტომაც ცდილობთ, როგორმე უკან მობრუნდეთ და თქვენს მიერ ნაგვემ-ნაწამებ ქვეყანას საკონტროლო ტყვია დაახალოთ.

რა ისეთი ვალდებულებები დაიკისრეთ და ისეთს ვის მიჰყიდეთ ეს ქვეყანა, ან ისეთი რა ფული აიღეთ, რომ დღემდე არ გელევათ?

**თქვენ არასოდეს ყოფილხართ საქართველოს ხელისუფლება და არასოდეს გიკეთებიათ ის, რასაც თავისი ქვეყნის გულშემატკივარი ხელისუფლება უნდა აკეთებდეს.**



## საწამებელი კიდევ ბევრია

თქვენ იყავით სადამსჯელო-საეგზეკუციო დესანტი, საერთაშორისო მაფიური დაჯგუფებების ერთ-ერთი ქვეგანყოფილება, მათი ხარკის ამკრეფი, მათი საგადასახადო სამსახური და არა ხელისუფლება, რომელიც საკუთარი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად უნდა ილვწოდეს.

**თქვენ უეროვნებო, უსამშობლო ხალხი ხართ. თქვენთვის ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია, სამშობლო კი არა თქვენი ეგოისტურ-მეშჩანური ზრახვების, თქვენი ავადმყოფური პოლიტიკური ამბიციების, თქვენი სადისტურ-მანიაკალური ინსტინქტების განხორციელებისთვის საჭირო ასპარეზი და სივრცეა მხოლოდ და არა სამშობლო.**

თქვენ ის არ გიყვართ და რადგან არ გიყვართ, ამიტომაც იმეტებთ მას ასე ადვილად ქაოსისთვის, რომლის ინსპირირებასაც თქვენ ასე თავგამოდებით ცდილობთ.

**21 მარტი, თქვენი ჩანაფიქრით, დიდი დესტაბილიზაციის და ქართული „მაიდნის" პრელუდიაა. ეჭვი მაქვს, რომ თქვენ სამოქალაქო ომის გაჩაღება გსურთ საქართველოში, თუმცა რაღა ეჭვი მაქვს, როცა უკრაინაში გადახვეწილი თქვენი ბელადი გულის ხვაშიადს ვერც მალავს.**

თქვენ პროდასავლური კურსის ღალატში და რუსეთთან ფარულ გარიგებაში ადანაშაულებთ ამ ხელისუფლებას, ეს იმ დროს, როცა თქვენი „გონივრული მოღვაწეობის" წყალობით პროდასავლური ფასეულობების სრული დისკრედიტაცია მოახდინეთ, ხოლო რუსეთს საქართველოს ტერიტორიების ოცი პროცენტი ხონჩით მიართვით, შემდეგ კი ჯერ კიდევ დაუმარხავი ქართველი ბიჭების ცხედრებზე იცეკვეთ, იმღერეთ, ტაშ-ფანდურა გამართეთ.

**ვინ ხართ თქვენ, ვისი ემისრები ხართ? რუსეთის? აშშ-ს? თუ ორივესი ცალ-ცალკე და ორივესი ერთად?**

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, საქართველოს მოსახლეობას გარკვეული პრეტენზიები მართლაც შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ თავის ხმას ქართველი ხალხი უთქვენოდაც მიაწვდენს ხელისუფლებას.

რაც არ უნდა უჭირდეს, რაც არ უნდა მძიმე პრობლემები ჰქონდეს, იმ ადამიანის წესიერებისა და გონიერების არ მჯერა, ვინც თქვენს დაძახილზე გარეთ გამოვა და თქვენს გვერდით დადგება.



„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში"; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# 21 მარტი „ნაციონალების“ კი არა ქართველი ხალხის სიბრძნისა და გონიერების გამოცდის დღეა!

**ცოცხების პარტია, „ნაციონალური მოძრაობა“ 21 მარტს ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით აქციის გამართვას აპირებს. გავრცელებული ინფორმაციით, განიხილება კიევური მაიდნის მსგავსი პროცესების დაწყებაც. რა სცენარით განვითარდება ნაცების მიერ 21 მარტს დაგეგმილი აქცია, ხალხის რა რაოდენობა შეიძლება ვიხილოთ ამ აქციაზე და პროვოკაციების შემთხვევაში რას დაუპირისპირებს ხელისუფლება აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს? „საერთო გაზეთი“ ამ საკითხებზე საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი რამდენიმე პიროვნებას ესაუბრა:**

**საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი, ზაქარია ქუცნაშვილი:** – „ნაციონალური მოძრაობის“ გადმოსახედიდან ეს იქნება მხარდამჭერი ძალების მორიგი დათვალიერება. „ნაციონალური მოძრაობა“ მაქსიმალურად ცდილობს მხარდამჭერი ძალების პერმანენტული დათვალიერებით გაზომოს საზოგადოებრივი განწყობა, როგორც ხელისუფლების მიმართ, ასევე მათ მიმართ, იმიტომ, რომ, ფაქტია, ისინი იბრძვიან მთავარი ოპოზიციური ძა-



ლის სტატუსისთვის და მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი არ უნდათ, რომ შემოფარგლული იყოს მარტო საპარლამენტო საქმიანობით. ისინი ამბობენ, რომ პარლამენტში ჩვენ უნდა ვფლობდეთ სიტუაციას, ასევე ქუჩაშიცო. აქედან გამომდინარე ისინი ცდილობენ, რომ პერმანენტულად გაზომონ საზოგადოების განწყობები ე.წ. ქუჩის საპროტესტო აქციების ჩატარებით. აი, ეს შეიძლება იყოს მათი მიზანი. ხელისუფლების მიზანი კი, ჩემი აზრით, უნდა იყოს კანონის ჯეროვანი აღსრულება, რაც ნიშნავს იმას, რომ შეკრების და მანიფესტაციის გამოხატვის თავისუფლება იყოს დაცული, შესაბამისად, მიაქციოს მას იმდენი ყურადღება, რასაც კანონი ითხოვს, არც მეტი, არც ნაკლები. ხოლო კანონი ითხოვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, კანონი ითხოვს გამოხატვის თავისუფლების დაცვას, და მე ვფიქრობ, ეს ყველაზე სწორი იქნება კანონის მიერ რეაგირება და არა რაიმე სპეციალური ღონისძიებების ჩაფიქრება. პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, სპეცნაზის მობილიზება ხდებაო, რაც, არ მგონია, რომ სიმართლე იყოს. არ მგონია, რომ ასეთი საჭიროება იყოს, ვიმეორებ, ხელისუფლების ლეგიტიმაცია ხალხის მხარდაჭერაში უნდა გამოიხატებოდეს. სხვათა შორის, საუბარია, უკრაინიდან ნაციონალების დასახმარებლად ბოევიკების ჩამოსვლაზეც, თუმცა მე ასეთ ინფორმაციებს არ ვფლობ და არც ველი მსგავს რამეს.

**– სააკაშვილი იმუქრება, რომ აუცილებლად დაბრუნდება...**

– მიშა გვაგუებს იმას, რომ საქართველო, ეს არის მისი პოლიტიკური ამბიციის ასპარეზი. და ის არ თმობს ამ პოლიტიკური ამბიციის ასპარეზს, თუმცა მას შემდეგ, რაც დაიკმაყოფილა პატივმოყვარეობა უკრაინულ ხელისუფლებაში გარკვეული პოზიციების დაკავებით, მისი ეს დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად შენელდა. ვართ ადამაინები, რომლებიც სამშობლოს ვემსახურებით და ვერ წარმოგვიდგენია სხვა ქვეყნის მსახურება, ასევე არიან ადამაინები, რომლებიც მზად არიან მოქალაქეობის დატოვების ხარჯზეც კი ემსახურონ სხვა ქვეყანას.

ექსცესები და დაპირისპირება იზიდავს მაყურებლის თვალს. ასეა ადამიანის ბუნება მოწყობილი. და სწორედ ამაზე აკეთებენ აქცენტირებას, რომ რამენაირად მიიზიდონ ხალხი. თუმცა თეორიულად გამორიცხული არაფერია, ამიტომაც ვამბობ, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება უნდა იყოს კანონისმიერი. კანონი ავალებს მათ, რომ დაიცვან შეკრების და მანიფესტაციის მონაწილე ძალადობისგან. თუ ადრე იყო ისე, რომ ხელისუფლება ძალადობდა შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეზე, ახლა ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ დავიცვათ ისინი და ამ კუთხით ჩვენ სერიოზული პროგრესი გვაქვს, იმიტომ, რომ შეკრება და მანიფესტაცია აღარ წარმოადგენს საქართველოში საფრთხის მატარებელს.

**– საინტერესოა, რა რაოდენობის ხალხი მივა აქციაზე...**

– ადამიანები მივლენ, ფართომასშტაბიანი იქნება თუ არა ეს აქცია, ვერ გეტყვით, რაც დავაკვირდი, ბოლო, ნოემბრის აქციიდან გამომდინარე, 20-30 ათასი მხარდამჭერის მობილიზება მათ საქართველოს მასშტაბით შეუძლიათ. ვფიქრობ, მთავარი საფუძველი ამომრჩევლის მობილიზების არის გადაუწყვეტელი ან დაგროვილი პრობლემები. და რაც უფრო დავაგვიანებთ პრობლემების გადაწყვეტას ან გავაჭიანურებთ ან არაეფექტურად გადავწყვეტთ, ამ შემთხვევაში მათ მხარდამჭერებში ეძლევათ უკვე სოციალური საფუძველი, რომ თქვან, აი, ხომ ხედავთ, ხალხო, კი მოვიდნენ, თავისუფალი, არამოძალადე ადამიანები, მაგრამ საქმეს არ ეტყობაო. ამიტომაც ჩვენი ამოცანაა, ვიყოთ არამოძალადეები, თავისუფლების მატარებელი ხალხი, მაგრამ საქმესაც დაეტყოს. „ნაციონალები“ იმხელა რესურს ხარჯავენ ამ აქციების მობილიზებაში, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურ უკმარისობას არ განიცდიან, ჩემი აზრით, 6 თვეში ერთხელ, ამაზე ხშირი პერიოდულობით გაუჭირდებათ, ვერ ჩაატარებენ აქციებს.

**საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი სოსო მანჯავიძე:** – ჩემი ინფორმაციით, 21 მარტს „ნაციონალური მოძრაობა“ ძირითადად, გეგმავს ხალხის დასავლეთიდან ჩამოყვანას. დიახ, ცდილობენ ჩამოიყვანონ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი სამეგრელოდან და ქუთაისიდან, იმერეთიდან. ასევე მოძრაობენ თბილისში ძველ კოორდინატორებთან და კორპუს-კორპუს ახდენენ ხალხის მობილიზაციას, რომ შეკრიბონ ასეულობით ადამიანი. ეს დაზუსტებული ინფორმაციაა. სხვა საკითხია, რომ მათი ეს აქტიურობა იწვევს ძალიან დიდ უკმაყოფილებას ფართო საზოგადოებაში, ვინაიდან ღიად არის დეკლარირებული, რომ აპირებენ სიტუაციის არევას და ზოგადად უკვე ასეთი ტიპის მოქმედებები ემსახურება, მხოლოდ და მხოლოდ, ერთ რამეს – საქართველოს განვითარება დაიბლოკოს, არ მოხდეს, იყოს მუდმივი არასტაბილურობის განცდა, უფრო ეს არის ძალიან უარყოფითი ფაქტორი. გარდა ამისა, თვითონ ნაციონალური მოძრაობის არსებობა, როგორც დესტრუქციული ძალის პოლიტიკურ ველზე არ აძლევს საშუალებას ჯანსაღ ძალებს, ნორმალურ ადამიანებს, რომ ნორმალური ოპონირება გაუწიონ ხელისუფლებას, რაც ხელისუფლებისთვისაც ცუდია და საზოგადოებისთვისაც ზოგადად. აი, ეს ვითარებაა, სამწუხაროდ.

**– კი მაგრამ, ეს ხალხი რაიონებიდან რისთვის მოდის, მათ მოთხოვნას უჭერს მხარს თუ გარკვეული თანხების სანაცვლოდ, სოსო?**

– თანხები, რა თქმა უნდა, რიგდება, და ეს არავისთვის საი-



დუმლო არ არის, მე მგონი. დიახ, თანხების დარიგება ხდება, ეს ერთი, მეორე, არიან რევანშისტებიც, ცხადია. ნაციონალური მოძრაობის წევრები, რომლებსაც დაკარგული პრივილეგიებისა და თანამდებობების აღდგენა უნდათ, ხელისუფლებაში მოსვლა უნდათ ხელახლა, ესეც არის. თუმცა ახლა ისინი უნდა აცნობიერებდნენ, რომ ძალიან დიდ ზიზღს და აგრესიას იწვევენ საზოგადოებაში და იმ შემთხვევაში, თუ იქნება პროვოკაციები ძალიან ცუდად დაუმთავრდებათ მათაც და ამ პროვოკაციების ავტორებსაც. როგორც ჩანს, ცოდვები არ ასვენებთ და რადგან ხელისუფლება არ აპირებს ამ კაპიტაციისთვის საბოლოოდ წერტილის დასმას, თვითონ აკეთებენ ამ პროცესის კატალიზებას. დიახ, ამ პროცესს თვითონ აჩქარებენ.

**– ხელისუფლებაზე განაწყენებული ხალხიც შეიძლება ვიხილოთ აქციაზე? გაუგებარია, მაინც და მაინც, ნაცების მოწყობილ აქციაზე უნდა გამოთქვა ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება, სხვა ფორმა ვერ მოიძებნა?**

– რა თქმა უნდა, და ეს ნათელს ჰფენს ბევრ რამეს, ახლა უკმაყოფილების გამოხატვასთან რა შუაშია ნაციონალური მოძრაობა, ვერ გავიგე. და ისე მივიდეთო, თქვა ზოგ-ზოგიერთმა ჭკვიანმა, ირინა სარიშვილმა მაგალითად, დაიაურმა და სხვებმა, დიახ, ითქვა ეს. კი, მაგრამ უკმაყოფილების გამოხატვა თუ გინდათ, რაღა ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად აკეთებთ ამას, სხვა ფორმები ვერ უნდა მოძებნოთ? აბსოლიტურად გაუგებარია ეს, და ნათელია, უკვე, მე მგონი, კონტექსტი. საერთოდ, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად რომ ადამიანი დადგება, იქ ყველაფერი გასაგებია.

**– უკვე ბევრს საუბრობენ მოსალოდნელ პროვოკაციებზეც. რამდენად შესაძლებელია, რომ 21 მარტი ქვეყანაში არეულობის დასაწყისი გახდეს? ფართომასშტაბიან ხასიათს თუ მიიღებს ეს აქცია?**

– ახლა პროვოკაციები ათასნაირი შეიძლება დაიგეგმოს, ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ ხომ ჩხუბებს, ურთიერთდაპირისპირებებს, შეტაკებებს. ორიოდე დღის წინ, ზუგდიდში ნახეთ, რაც მოხდა, ფართო კადრებით აჩვენებდნენ სისხლს, ასე ვთქვათ, თავგატეხილ ადამიანებს და ა.შ და ა.შ. ასეთი პროვოკაციის მოწყობას რა უნდა, არაფერი. არ მგონია, რომ 21 მარტი არეულობის დასაწყისი იყოს, თუ ნაციონალური მოძრაობის წიაღში კარვების დადგმის საკითხები განიხილება და ა.შ ამით, უბრალოდ გამოიწვევენ კიდევ უფრო დიდ აგრესიას და მეტ სიმკაცრეს საზოგადოებისგან. და ეს თბილისია, მოგეხსენებათ, შეიძლება პირველ დღეს არ იყოს მკვეთრი და მწვავე რეაქცია, მაგრამ ხალხს ძალიან მალე გაახსენდება მათი საქმენი საგმირონი და ძალიან ცუდად დაუმთავრებენ ამას, იმას თუ დააპირებენ სიტუაციის არევას. თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ აურიონ სიტუაცია ქვეყანაში, საკადრის პასუხს მიიღებენ, იმიტომ, რომ საქართველოში ახალი არეულობა ნიშნავს ამ ქვეყნის გაქრობას პოლიტიკური რუკიდან საერთოდ და ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბევრი უბედურება დაატეხა თავს ამ ქვეყანას და ნამდვილად არ გვეპატიება, რომ მათ მივცეთ საშუალება კიდევ ერთი, ახალი უბედურება დაგვატეხონ თავს.

**ტელერადიოწამყვანი, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული მისიის“ წევრი გია კორკოტაშვილი:** – არაფერს ველი, მით უფრო არეულობას. მე მგო-



ნი, „ნაციონალურ მოძრაობასაც“ ეყოფა იმის გონიერება, რომ მიხვდეს, კიდევ ერთი არეულობა საბოლოოდ დაღუპავს და დაასამარებს საქართველოს. ვერ გავიგე რა, თუ ნაციონალურ მოძრაობას ხალხის სიყვარული აქვს, არჩევნების გზით დაბრუნდეს ხელისუფლებაში, რაღა არეულობაზე და მუშტებზე იყურება. მაგრამ სად აქვს ხალხის სიყვარული,




5 gv.



# ლაშა გვასალია:
# როლანდ ახალაია დამემუქრა: ცოტა ხანში სულს ამოგხდი ციხეშიო...

**გვესაუბრება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აქტივისტი, მწერალი ლაშა გვასალია**

**— ნაციონალები 21 მარტს ზუგდიდიდან დიდი რაოდენობით მომიტინგეებს ელოდებიან. გამართლდება მათი იმედები?**

— როგორც ყოველთვის, ახლაც, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ცრუობენ. ამას ადასტურებს ზუგდიდში ჩატარებული სხვა მსვლელობები. ხალხი ღიად გამოხატავს აღშფოთებას — არ სურთ 21 მარტს სამეგრელოდან იქ ხალხი წავიდეს, არავის აქვს სურვილი, დაეხმაროს „ნაცმოძრაობის“ მარგინალურ ძალას ძალების მოკრებაში.

გუშინ (14.03.2015) არასამთავრობო ორგანიზაციის ეგიდით „ყველა თაობა საქართველოსთვის“ ჩატარდა ღონისძიება — ვაჩვენეთ ფილმი, სადაც აღწერილია ყველა ის უბედურება, რასაც ადგილი ჰქონდა სააკაშვილის მმართველობის დროს.

**— „ნაცმოძრაობას“ სამეგრელოში იმდენი მხარდამჭერი კიდევ ჰყავს, რომ ეს, შეიძლება, რეალურ ძალად მივიჩნიოთ?**

— „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები დღემდე აგრძელებენ მათთვის ჩვეულ პოლიტიკას და სურთ, ხალხი კვლავ ტყუილში ამყოფონ. აშინებენ. ზაფრავენ ხალხს, თითქოს ქვეყანა იღუპება, საქართველო დაიქცა და ა.შ. ფილმიც იმიტომ ვაჩვენეთ, რომ კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა ხალხისთვის, რას აკეთებენ ნაციონალები და ვინ იყვნენ ისინი. როგორც ყორანი არ გათეთრდება, ისე მაგათი გამოსწორება არ იქნება. ესენი არიან რევანშისტები და მოღალატე, ქართველთმოძულე ხალხი.

სამეგრელოში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, არის პრობლემები, ეკონომიურად უჭირს ხალხს, ამიტომაც ზოგიერთი წამოეგო ნაციონალების დემაგოგიურ პროპაგანდას და აპირებდნენ 21-ში თბილისში აქციაზე წასვლას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ფილმი ვაჩვენეთ, მოვიდნენ ჩვენთან შტაბში და გვითხრეს: ვაპირებდით თბილისში ჩვენი ჩასვლით შეგვეფხიზლებინა ხელისუფლება უფრო აქტიურად რომ ემუშავათ, თორემ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები არასდროს ვყოფილვართო.

**— რა პრეტენზია აქვთ, ძირითადად, ხელისუფლების მიმართ?**

— ხალხს ყველაზე მეტად სამართლიანობის აღუდგენლობა აწუხებს. სამეგრელოში ბევრია შეურაცხყოფილი, ღირსებააყრილი ადამიანები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია არა გზების დაგება და სხვა სოციალური პროექტები, არამედ ღირსების აღდგენა და ის, რომ სახელმწიფო იცავს და სჯის მათი ღირსების შემლახველებს.



ჩვენი ორგანიზაცია „ყველა თაობა საქართველოსთვის“ და ზუგდიდის საზოგადოებრივი აზრი ვართ ერთად და აღარ დავუშვებთ „ნაცმოძრაობამ“ კვლავ იპაროს სამეგრელოში. „ნაცმოძრაობა“ დამნაშავე ორგანიზაციად უნდა გამოცხადდეს!

**— როლანდ ახალაიას სახლთან აქცია გაიმართა. რატომ გახდა ეს აუცილებელი?**

— არ ვაპირებდით იქ მისვლას, მაგრამ ახალგაზრდები ფილმის ნახვის შემდეგ ახალაიას სახლისკენ გაემართნენ. ჩვენც მივედით, პროვოკაციებს ადგილი რომ არ ჰქონოდა. საკმაო რაოდენობით ხალხი შეიკრიბა — პედაგოგები, ზუგდიდის ინტელიგენციის წარმომადგენლები. იქვე დაიბადა აზრი, რომ შემდეგი აქცია „ნაცმოძრაობის“ ოფისის წინ გამართულიყო.

21 მარტამდე თითქმის ყოველ დღე აქციებს ვგეგმავთ ნაციონალების — ყოველგვარი ქართულის მტრების წინააღმდეგ.

**— ლაშა, როლანდ ახალაია მოგმართავდათ — მოვა დრო, დაისჯებიო. ნაციონალები დაბრუნებას აპირებენ, როგორც ჩანს.**

— კი, მე მითხრა: საკუთარი თვალით ნახავ, რასაც დაგმართებ — სულს ამოგხდი ციხეშიო.

ეს სიტყვებია, მე მათ ქმედებებს არ ვუშინდებოდი ცხრა წელიწადი... არავის ჰგონია, რომ ესენი კვლავ დაბრუნდებიან, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს — „ნაცმოძრაობა“ არის

# ღია წერილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს აკადემიკოს ვ. პაპავას



მიმდინარე წელს, ქართულ მედიაში გამოქვეყნებულ წერილში „მიულებელი რეანიმაცია“ დასმულმა საკითხმა, რომელიც ეხება თსუ-ს ყოფილი რექტორის პროფ. გ. ხუბუას მიერ 2006 წელს რეორგანიზაციის საბაბით უნივერსიტეტში ჩატარებული ე.წ. კონკურსის შედეგებს და ხუბუას თსუ-ში დაბრუნებას, სურვილი გაგვიჩინა თქვენთვის მოგვემართა ღია წერილით.

ბატონო ვლადიმერ, „ვარდების რევოლუციის“ დროინდელი თსუ-ს რექტორის გ. ხუბუას უნივერსიტეტში დაბურნება, რაც ნაციონალების მხარდამჭერი თსუ-ს ყოფილი რექტორის პროფ ა. კვიტაშვილის დროს მოხდა, დადებით ქმედებად ვერ ჩაითვლება. ეს ფაქტი ჩვენთვის, უნივესიტეტიდან გამოძევებული დამსახურებული პროფესორ-მასწავლებლებისთვის კატეგორიულად მიუღებელია. გ. ხუბუას დაბრუნებამ თსუ-დან 2006 წელს ათასობით გამოძევებულში ახალი სიმწვავით გახსნა რვა წლის წინ გაჩენილი და დროის გავლენით ნახევრად მოშუშებული იარა. მისი დაბრუნება ნიშნავს ჩვენს აბუჩად აგდებას და ხუბუას მიერ განხორციელებული დარბევის გამართლებას.

გ. ხუბუას დაბრუნება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ის დღემდე თსუ-ში ჩატარებული ნგრევის გამო ვერ გრძნობს მორალურ პასუხისმგებლობას. კარგი იქნებოდა ხუბუასთვის, უნივერსიტეტში დაბრუნებამდე, თქვენს წინამორბედ რექტორს ერჩია, არ მიეღო ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილება, რაც, სამწუხაროდ, დღეს უკვე მომხდარი ფაქტია. იმედია, თქვენ მაინც დაარწმუნებთ თავისი ნებით უნივერსიტეტის დატოვების აუცილებლობაში, რადგან მას არ აქვს ამ დაწესებულებაში მოღვაწეობის მორალური უფლება. მისი უნივერსიტეტში ყოფნა შეურაცხყოფს ამ საგანმანათლებლო კერის ავტორიტეტს.

მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტში გ. ხუბუას დაბრუნებით ყოფილმა რექტორმა იტვირთა მძიმე პასუხისმგებლობა ა. კვიტაშვილის მიერ განხორცილებული ზემოაღნიშნული ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც უნივერსიტეტის მიმართ ჩადენილი დანაშაული.

მაღალი მორალური მოთხოვნების მქონე საზოგადოებაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის დამანგრეველის გ. ხუბუას მიმართ ისეთი ატმოსფერო უნდა შექმნილიყო, რომ ვერ გაებედა უნივერსიტეტში და მის ფარგლებს გარეთ გამოუჩნდნენ მისგან დავალებული საეჭვო ღირებულებების მქონე გულშემატკივრები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მის უნივერსიტეტში დაბრუნებას, ანუ „მიულებელ რეანიმაციას“.

გ. ხუბუას უნივერსიტეტში დაბრუნება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩვენს ქვეყანაში ღირებულებების არასწორად შეფასების პრაქტიკა, რაც წინა ხელისუფლების დროს ფართოდ იყო დანერგილი, დღესაც გრძელდება.

პატივისცემით, უნივერსიტეტის
ყოფილი პროფესორ-მასწავლებლები:
**ო. ახმეტელაშვილი, ვ. ახობაძე,**
**დ. გამრეკელი, მ. კაჭარავა,**
**ი. მიქელაძე, გ. პაპიძე, ნ. სიხარულიძე.**
**საკონტაქტო ტელეფონი: 599 143 720**

კონფრონტაციული ძალა, რომელიც ცდილობს ხალხი კვლავ ერთმანეთს დაუპირისპიროს, ცეცხლი გააღვივოს და სამეგრელო კვლავ უბედურების ადგილად აქციოს. ამას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ.

ერთი რამ უნდა გითხრათ კიდევ, რაც მართლაც ძალიან გამიკვირდა: ახალაიების სახლთან რომ მივედით, გამოცვივდნენ მეზობლები, ვფიქრობდით, მხარს დაუჭერდნენ, მეზობელია, მაინც. ხომ გაგიგიათ ანდაზა — მეზობელო კარისაო, მაგრამ მოხდა საოცრება. გვლოცავდნენ მეზობლები, სასწაული სიტყვებით მოიხსენიებდნენ და მიმართავდნენ ახალაიებს, მათ ოჯახს. მერე ძაღლი გამოუშვა როლანდ ახალაიამ, თითქოს ეზოში შესვლას ვაპირებდით. სახლში რა გვინდოდა. ჩვენი აქცია სახალხო იყო და არა საოჯახო...

**— ანუ სიტუაცია მაინც ფეთქებადსაშიშია...**

— კი, ასეა, არაა სტაბილური ვითარება. რთულ ვითარებაში ვიმყოფებით, რადგან მოსალოდნელია სერიოზული დაპირისპირებები. ხალხს გონებას ურევენ, დემაგოგიით ცდილობენ გადაფარონ და დაავიწყონ ხალხს მათი ნამოქმედარი, გადაიბირონ ისინი. დიდი ძალისხმევა გვიხდება, რომ სიტუაციის სტაბილურობა შევინარჩუნოთ.

**— გადაბირებას თანხებითაც ახორციელებენ თურმე. ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება?**

— გვაქვს ინფორმაციები, რომ ფულს ურიგებენ ხალხს, რადგან მათ არავინ ენდობა და ფულით სურთ, ადამიანები მოისყიდონ. ფული, სიცრუე, ძალადობა — სატანური მეთოდებით მოქმედებენ, გაოგნებული ვარ.

ჩვენთან იყვნენ ადამიანები, რომლებმაც გვითხრეს, რომ მისცეს ფული, რომ დადგომოდნენ გვერდით ოცდაერთში. ვიცით, მოსყიდული ხალხით ბევრს ვერაფერს გააკეთებენ, მაგრამ მათი წასვლით, შეიძლება, კონფრონტაცია შეიქმნას დედაქალაქში, რადგან თბილისის მოსახლეობასაც უკვე ყელში აქვს ამოსული ნაციონალების ბინძური დემაგოგია.

**— რა თანხებზეა საუბარი, რამდენს ურიგებენო?**

— 30, 50 და ასსაცო. კატეგორიებით არჩევენ მოსახლეობას. თვითონ განსაჯეთ, რა უსინდისოები არიან.

**— ამბობენ, სამეგრელოში კვლავ აქვს გავლენა ნაცმოძრაობას და, კერძოდ, ახალაიებსო. კვლავ აშინებს სამეგრელოს ახალაიების „აჩრდილი?"**

— თქვენ გეღიმებათ და სამწუხაროდ, ასეა ისევ. ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში კვლავ არიან შემორჩენილი ახალაიების და „ნაცმოძრაობის" თანამოაზრეები და ძველი თანამებრძოლები, მათთან ვალში მყოფი ხალხი, ალბათ, იმის ილუზია არ აქვთ, რომ ნაციონალები კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან და თავს იკავებენ მკვეთრი აზრის გამოხატვისგან.

სხვათა შორის, იმ ე. წ. კოჰაბიტაციამაც ითამაშა მავნებლური როლი. ეს რომ არ ყოფილიყო, „ნაცმოძრაობა" დღეს პრობლემა აღარ იქნებოდა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# 21 მარტი „ნაციონალების" კი არა ქართველი ხალხის სიბრძნისა და გონიერების გამოცდის დღეა!

3 gv.

თითო-ოროლა მხარდამჭერს თუ ვიხილავთ მათ აქციაზე. ჰოდა, ამიტომ არეულობის გზით აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას, და ფაქტია, რომ საქართველოსთვის სიკეთე არ უნდა. ისინი 9 წელი იყვნენ ხელისუფლებაში და რაც და როგორც გაკეთდა, ყველამ ვნახეთ.

ამათ, რომ მამული უყვარდეთ საერთოდ გაერიდებოდნენ ხალხს, მშვიდად დასხდებოდნენ სახლებში, მაგრამ არა, არეულობა უნდათ. არეულობა კი ვიმეორებ, ცუდ რამეს გამოიწვევს ჩვენს ქვეყანაში, და აი, მერე უკვე მართლა არაადამიანური რაღაცები შეიძლება მოხდეს, რომელზეც პასუხისმგებლობას ვერავინ აიღებს.

**დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს ლიდერი, დიმიტრი ლორთქიფანიძე:** — ვფიქრობ, დღევანდელ გაუბედურებულ საქართველოში აქციაზე ხალხის მიყვანა „ნაციონალურ მოძრაობას" არ გაუჭირდება ერთი მარტივი მიზეზის გამო, ისინი ძალიან დიდ ფულს დახარჯავენ, ფულს, რომელიც მათ თავის დროზე საქართველოდან გაიტანეს. დღეს სწორედ ეს ფული მუშაობს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებლად, რომლებიც თავისუფალი ზონის თუ პიკასოს კლუბის სახელით არიან ცნობილნი და რომელთა რიგებშიც გაერთიანებული ახალგაზრდების ძალიან დიდი უმრავლესობა სწორედ იმ სოციალური სიდუხჭირის ფონზე წევრიანდება, რომელიც აიძულებს მას გადადგას ეს ნაბიჯი. ასე რომ, არჩევანი ძალიან ხშირ შემთხვევაში არის იმდენად გაუცნობიერებელი, რომ ისინი მას შემდეგ ხვდებიან სად მოხვდნენ, რაც კონკრეტულ აქციაზე აღმოჩნდებიან ხოლმე. და ძალიან ბევრი შემთხვევაა იმისა, რომ ამ ბოლო დროს ბევრი ახალგაზრდა წავიდა იმ ორგანიზაციებიდან. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს შავი ფული თავის საქმეს ალბათ, მაინც გააკეთებს და დღეს ნამდვილად არ არის პრობლემა დიდი ფულის გადახდის ფონზე, რომ მოიყვანონ ადამიანები აქციაზე, თუმცა ეს არ იქნება, რა თქმა უნდა, ნების გამომხატველი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა, ეს არ იქნება ნების გამომხატველი, პირველ რიგში, ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებისა, რომლებიც აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ ამ ქვეყანაში, და რომლებმაც ძალიან კარგად უწყიან თუ რას ნიშნავს დანაშაულებრივი სინდიკატის სახელით წოდებული „ნაციონალური მოძრაობა" და მის მიერ წარმოებული აქცია. ჩვენი ორგანიზაცია რაიმე ტიპის კონტრაქციაში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობის ნებისმიერი იდეა, როგორი პოლიტიკური მოსაზრებითაც არ უნდა იქნეს წარმოდგენილი, თავისი არსით მარგინალურია და ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროვოკაციები, რა თქმა უნდა, მოსალოდნელია და ამის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი არაერთი სახე აკეთებს კიდეც განცხადებას ბოლო დროს და სისხლის სამართლის საქმეც აღძრულია რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია და დაკითხულები არიან მოწმები, აქედან გამომდინარე, არსებობს, როგორც ჩანს, საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო და მისი სამართალდამცავი ორგანოები და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველი პროკურატურა ფლობენ გარკვეულ ინფორმაციებს. ამიტომ ჩვენი ამოცანაა ამ შემთხვევაში (პარტიული და პოლიტიკური) ის, რომ მოვუწოდოთ, ხელისუფლებას ყურადღებისკენ. ხელისუფლებას, რომლის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ნაციონალური მოძრაობა აი, ამდენს ბედავს, იმის მაგივრად, რომ თავი ჰქონდეს ჩაქინდრული. დიახ, ამის მაგივრად მათი ლიდერები, დამნაშავე სუბიექტები ასე შემიძლია გითხრათ, თავს უფლებას აძლევენ, რომ რუსთაველის გამზირზე გამოვიდნენ. ხელისუფლება მაქსიმალურად ყურადღებით უნდა იყოს, რომ აღიკვეცოს ნებისმიერი ტიპის პროვოკაცია, რომელიც ნაციონალებისგან წამოვა და ამის შესახებ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ინფორმაციები არსებობს. და პაუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, მთლიანად ეკისრება ხელისუფლებას განხორციელებული პროვოკაციის შემთხვევაშიც. არავითარი მაიდნის მასშტაბებზე ლაპარაკი არ იქნება, პატარ-პატარა ექსცესებია მოსალოდნელი, 15 ნოემბერსაც იყო მცდელობა, რომ წარმოესახათ ნაციონალებს, არიქა, ტაიფუნი მოდის, უახლოვდება რუსთაველის გამზირსო, მაგრამ ძალიან კარგად გახსოვთ, რომ საერთოდ შარშანდელი თოვლივით აორთქლდა განწყობა ამასთან დაკავშირებით საზოგადოებაში. ანალოგიურია დღესაც, ერთადერთი უბრალოდ, რაც არ გამოირიცხება არის ის, რომ ნაციონალურ მოძრაობას დღეს წყლის ამღვრევა აწყობს და მათ შეიძლება პროვოკაციები მოაწყონ. თავადვე მოაწყონ, თავიანთივე ხალხით და მერე დააბრალებენ სხვას. და არის მეორე მომენტიც, არც ეს უნდა გამოირიცხოს, რომ მათგან გამწარებული და შეურაცხყოფილი ადამიანები, ძირითადად პოლიტიკური დევნილები და პატიმრები, აი, ეს გარკვეული ჯგუფი მართლაც რეალურად ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მყოფი, ვთქვათ, აღმოჩნდეს პირისპირ აქციის მონაწილეებთან. არც ეს არის გამორიცხული. ნებისმიერ შემთხვევაში პროვოკაცია, რომელიც იგეგმება ნაციონალური მოძრაობის მხრიდან გულისხმობს იმას, რომ ხელიდან არ გაუშვას შესაძლებლობა, შანსი, რომ მსგავსი მომენტი არ გამოტოვოს საკუთარი აქტიურობისთვის, აი, ასეთი პროვოკაციების აღკვეთის, ასე ვთქვათ, მოწოდებას ვაკეთებთ ჩვენ ხელისუფლების მიმართ.





**ექსპერტი, რამაზ საყვარელიძე:** — რა თქმა უნდა, ხალხი მივა აქციაზე, თუმცა რა რაოდენობის ნამდვილად, არ ვიცი. ისეთი შთამბეჭდავი რაოდენობა, როგორიც საჭიროა და შეეფერება ამ მოთხოვნას ნამდვილად არ იქნება წარმოდგენილი, უფრო მსუბუქი მოთხოვნების პირობებშიც არ მიდიოდა ბევრი ხალხი გვახსოვს, ამ მოთხოვნის პირობებში, მით უმეტეს არ მივა. ეს რადიკალური მოთხოვნაა და ძალიან დიდი რაოდენობა უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ სასაცილო არ გახდეს ამ მოთხოვნის მომთხოვნე. თან ბოროტი ხმები ამბობენ, რომ პროვოკაციებია მოსალოდნელი, ამ ბოროტი ხმების გარდა ლოგიკაც ამას გვეუბნება, დიახ, სავარაუდოა, რომ იქნება რაღაც პროვოკაციები, იმიტომ, რომ ნაციონალურ მოძრაობას წესით უნდა აწყობდეს ახლა დარბევა ან რაიმე ადამიანის უფლებათა დარღვევა ამ ხელისუფლების მხრიდან, რომ თქვან, აი, პოლიტიკური ზეწოლა და დევნააო. ასე რომ, კონტრაქციები და მსგავსი აქტიურობა მხოლოდ ნაციონალების წისქვილზე დაასხამს წყალს და იმედია, თავს შეიკავებენ ამისგან. ამდენად დრამატული რეაქცია არ უნდა იყოს საერთოდ, რომ კონტრაქცია და რაღაც ამდაგვარი ჩატარდეს. პრობლემა იმაში არ არის, რომ ნაციონალები აქტიურობენ, ეს კარგიც კი არის, იმიტომ, რომ ესე იგი, მათ ეშინიათ, დიახ, რადგან აქტიურობენ, სამართლებრივი დევნის ეშინიათ. მაგრამ მოსახლეობის მხრიდან რაიმე ნაბიჯი თუ გადაიდგმევა, ამას თუ დაუმატებენ რამეს, იქ ნებისმიერმა მოუზომელმა ნაბიჯმა შეიძლება საბაბი მისცეს „ნაციონალურ მოძრაობას", რომ უცხოეთში დაიწყოს ჩივილი და ჩვენ ასეთი ფაქტი უკვე ვნახეთ, რომ ითქვა პოლიტიკური დევნაა მათ წინააღმდეგო. ამიტომ კონტრაქციებისგან ტავი უნდა შეიკავონ. ასეთი ჩივილი მათ სჭირდებათ იმ მოსალოდნელი გაჭირვების წინ, რომელზედაც დიდი ხანია არის ლაპარაკი, ვგულისხმობ იმას, რომ სამართლიანობის აღდგენა გადაწყდა, რომ რეალურად დაიწყოს და ამას მოჰყვება კიდეც დაჭერები.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03



# დავით მაღრაძე:

# როგორ შეიძლება „ნაციონალებმა“ მთავრობის გადადგომა იმ საკრალურ ადგილას, რუსთაველის გამზირზე, მოითხოვონ, სადაც მათ უდანაშაულო ადამიანები დახოცეს...



გვესაუბრება პოეტი
**დავით მაღრაძე:**

**— ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, რა ექსცესებია მოსალოდნელი, რამ განაპირობა „ნაცმოძრაობის“ ასეთი თამამი მოთხოვნა ხელისუფლების გადადგომის შესახებ?**

— მოგესალმებით, მიიღეთ ჩემი დიდი პატივისცემა „საერთო გაზეთის“ რედაქტორისა და კოლექტივის მიმართ. მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: **„ნაცმოძრაობის“ 9 წლიანი რეჟიმი — ეს იყო სინგაპურიზაცია რუსეთთან ომით, რის საპირწონედაც ივანიშვილმა, საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, ევროინტეგრაცია, რუსეთთან ომის გარეშე, შემოგვთავაზა.** „ნაციონალები“ ჩვენი ცხოვრების გზაზე ძალიან სამწუხარო ისტორიაა, რომელიც შემთხვევითობამ ხელისუფლების სათავეში მოახვედრა. ქართველმა ხალხმა მათ სამუდამო უარი უთხრა, ის ტენდენციები დაგმო, რითაც ისინი სუნთქავენ და ცხოვრობენ. რაც შეეხება ახლანდელ ხელისუფლებას, მას ნაკლიც აქვს და ღირსებაც, მაგრამ იგი, ხალხის წიაღში აღმოცენდა, „ნაცმოძრაობა“ კი სხვა ქვეყანაში მომზადებული პროექტია.

ამიტომ, ხელისუფლების ნაკლზე საუბარი „ნაციონალების“ საქმე არაა. გაგახსენებთ, როგორ მოხვდნენ „ნაციონალები“ პარლამენტში — არჩევნების დროს, ხაშურში, სპეც. რაზმმა ბიულეტენების ურნა გაიტაცა, სასულიერო პირები ურნის წასართმევად გამოეკიდნენ, თუმცა, ვერ დაეწიენ. აი, იმ ურნის ხალხი ზის ახლა პარლამენტში „ნაცმოძრაობის“ ეგიდით. კი, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს გულწრფელად აქვს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების განცდა. ისტორიას მიბარებულ სექტანტურ მოძრაობას კი სურს გულწრფელი ქართველის უკმაყოფილებით ისარგებლოს. თანაც, ვიცით, რომ „ნაციონალების“ მნიშვნელოვანი ნაწილი უკრაინის ხელისუფლებაში გადაჯგუფდა, საიდანაც აქ დარჩენილ თავიანთ ნაშთებს კოორდინაციას უწევენ. როგორც აღვნიშნე, ნაცები სხვა ქვეყნის პროექტია. ეს ხალხი ცდილობს აშშ დაარწმუნოს, რომ რუსეთის წინააღმდეგნი არიან და მათ მის დისკრედიტაციაში მოეხმარებიან, სინამდვილეში კი რუსეთის აქ შემოყვანა სურთ.

მათი მიზანია ხელისუფლების მიმართ საპროტესტო კამპანია გაღვივდეს, ჩამოიშალოს ქვეყანა, გაუფასურდეს ლარი და ა.შ. მათი წადილია, რუსეთთან როგორმე მეორე ფრონტი გახსნან, რაც საქართველოს სიკეთეს არა, მაგრამ ომს და უბედურებას ნამდვილად უქადის. მაგრამ, მათ საქართველოს ბედ-იღბალი აბსოლუტურად არ ადარდებთ, რადგან პროექტის ნაწილნი არიან. ამიტომ პროექტს ერთგულებენ და არა ქვეყანას.

**— რა განაპირობებს „ნაციონალების“ ასეთ კომფორტში ყოფნას? ისინი ლამისაა „ტელე-ზვეზდებად“ იქცნენ...**

— რაც შეეხება **მედიას, მისი დიდი ნაწილი ხელს უწყობს მოსახლეობაში პანიკის დათესვას, ცდილობს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, რომ ადამიანები ფანჯრებს მიაწყდნენ, თითქოს გარეთ წარღვნა იწყება, ცა გაიხსნა, ცეცხლის ზღვა წამოვიდა და შემდეგი გაჩერება ნოეს კიდობანია. ამ სურათს ისტერიული გამომეტყველებით ხატავენ. საქართველოზე, დღეს, საუბრობენ ისტორიკოსები, და ისტერიკოსები. ესენი მედიაში დაქირავებული ისტერიკოსები არიან.** მათ ჩავლილი მატარებლის მიმართ რომელთანაც მშვენივრად თანამშრომლობდნენ და დიდ პატივშიც იყვნენ, ალბათ, დაინტერესებაც აქვთ, ანგარებაც და თანაგრძნობაც.

ჩემი აზრით, სწორი იყო, როცა ხელისუფლებამ პიარზე უარი თქვა, მაგრამ პიარი და კომუნიკაცია ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ მოსახლეობასთან სრულყოფილი კომუნიკაცია ვერ შეძლო. ხელისუფლებიდან ისეთი არავინ მოიძებნა ვინც ხალხს პერმანენტულად აუხსნის, თუ რომელ დარგში რა მიღწევა გვაქვს, სად არის შეფერხება და რის გამო, რა კეთდება სირთულის დასაძლევად და ა.შ.

**— როგორც აღნიშნეთ „ნაციონალების“ გაყოყოჩებას მასმედიაც უწყობს ხელს. ნაცებმა, შუა რუსთაველზე, ჯერ აქცია — არა ოკუპაციას, მოგვიწყვე, ახლა კი მთავრობის გადადგომას ითხოვენ.**

— „ნაციონალები“ არამარტო გაყოყოჩდნენ, არამედ გამოთაყვანდნენ. ივანიშვილს ედავებიან, ქართველ ხალხზე გავლენა რატომ გაქვსო. გადახედონ, რაც ივანიშვილს საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის აქვს გაკეთებული 500-ზე მეტი ეკლესია-მონასტრის აღდგენით დაწყებული და მერე, საკუთარ ბიოგრაფიებს ჩახედონ. საერთოდ ასეა, უნიჭო ადამიანი ნიჭიერ კაცს თავის უნიჭობას ვერ პატიობს და მის უნიჭობას ნიჭიერს აბრალებს. საზოგადოება ყველაფერს ხედავს, საქართველოს მოქალაქე ადვილად მოსატყუებელი აღარ არის. დაიყვირეს, ოკუპაციას არაო და რა გაკეთდა მერე ამით, წინ წავიწიეთ? რა ლოზუნგებით დაეხეტებიან, მაგ დროს ხელისუფლებაში არ იყვნენ? შეწირვოდნენ ქვეყანას თუ მაგარი ბიჭები იყვნენ, რომ გვანუგეშეს — რაც მთავარია, ჩვენ გადავრჩით და აწი, თქვენ ჩანგლებით დაიცავით თავიო. ვინმე ამბობს, ოკუპაციას კიო? ადამიანებს აკომპლექსებენ, ეუბნებიან — აბა, თქვით, ხომ გინდათ ნატოში, აბა, გაიმეორეთ, აბა, ხმამაღლა თქვითო. ეს იცით, რას მაგონებს, ადრე ქართულ სუფრაზე სადღეგრძელოს რომ იტყოდნენ, დაიღრიალებდნენ გაუმარ-ჯოს, თამადა დაიძახებდა — არვარგა, თავიდანო და ასე მეორდებოდა რამდენჯერმე, სანამ თამადის მოსაწონად არ დაიღრიალებდნენ. არა ოკუპაციასო რომ ღრიალებდნენ, ხომ არ დაავიწყდათ მანამდე სარკოს ბღავილით რომ გასკდნენ რუსთაველზე, ესაა მათი არა ოკუპაციას? რუსები აგერ დგანან გორში, ოკუპაციასთან მებრძოლ რაინდებს მე მივასწავლო მათი ადგილსამყოფელი? **რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა 2008 წლის 27 ნოემბერს გრიგოლ ვაშაძემ რუსეთის კულტურის მინისტრს წერილი გაუგზავნა — ნება მოგვეცით, ქართული ანსამბლები ჩამოვიყვანოთ და გიცეკვოთო. რუსეთთან მებრძოლი ჯიგიტები, იქ საცეკვაოდ გარბოდნენ. აი, რა იყო ნაცების რაინდული პასუხი აგვისტოს ომზე — ვიმღეროთ და ვიცეკვოოთ. როგორც სიკო და ნიკო, სააკაშვილი და ვაშაძე, ანუ გრიშა და მიშა, საცეკვაოდ პუტინთან გარბოდნენ.** რა თქმა უნდა, რუსეთთან კულტურული ურთიერთობების მომხრე ვარ, მაგრამ როცა ნაცების ელიტა, ომიდან სამი თვის თავზე, რუსეთს სიკო და ნიკოსავით გრიშას და მიშას პირით მიმართავს თქვენთან გვამღერეთ და გვაცეკვეთოს, ამის წინააღმდეგი ვარ.

მთავარ არსს — 21 მარტს დაგეგმილ აქციას. დიახ, მეც გავიგე, რომ **ამ დღეს მეცოცხეებს განზრახული აქვთ აქციის ჩატარება, სადაც მათ ლიბერტარიანელების ნიდაბს ამოფარებული ცოცხისტარიანი ენ-ჯე-ოები დაუჭერენ მხარს. შემომაქვს იდეა — შედგეს სახალხო პერფორმანსი და მათ საპატივცემულოდ დედაქალაქის აივნებიდან ცოცხები გადმოვფინოთ, რათა არ დაივიწყონ, ვისი გორისანი არიან! როგორ შეიძლება „ნაციონალებმა“ მთავრობის გადადგომა, 21 მარტს, იმ საკრალურ ადგილას, რუსთაველის გამზირზე მოითხოვონ, სადაც ხალხი დახოცეს! როგორ ბედავენ კვინტრაძის დაღვრილ სისხლზე საპროტესტო აქციის გამართვას. ვინ მისცა მათ ამის უფლება? ეს იგივეა სერგო ორჯონიკიძე ტაბახმელასა და კოჯორში ასულიყო და იუნკერების დახოცვის ადგილას მიტინგი გაემართა! რუსთაველის გამზირი ამ ნაძირალებს არ მიიღებს!**





**— დესტაბილიზაციის, არეულობის მოწყობის შემცველი საჯარო მოწოდებები, თუ არ მეშლება, კანონით ისჯება. ასეთი მუქარები ნაციონალური არხებიდან მრავლად ისმის ყოფილი პრეზიდენტის მიერ. რატომ არ რეაგირებს შესაბამისი უწყებები ამაზე სათანადოდ?**

— სააკაშვილი პროექტია, რომელსაც იყენებენ. ადრეც ასე იყო. ვინ იყო ლევ ტროცკი? იგი, დასავლეთისგან დაფინანსებული პროექტი იყო. ჩვენი „ნაციონალებიც“, ტროცკისტებივით აქეთ-იქით სხვადასხვა ქვეყნებში დაჰყავთ. რა უნდა ასწავლონ მათ უკრაინელებს, როგორ უნდა წაართვან ქონება საკუთარ ხალხს და თვითონ გადაიფორმონ? მეტი გამოცდილება ხომ არ აქვთ. ან როგორ უნდა გაიქცნენ ომიდან, ეს უნდა ასწავლონ? უკრაინელი ხალხის მიმართ დიდი თანაგრძნობა მაქვს. საქართველოდან ისეთი ხალხი ჩავიდნენ, ვიზიარებ მათ მდგომარეობას, მიიღონ ჩემი გულწრფელი სამძიმარი. მათზე უარესი ხელმძღვანელები, დედამიწაზე, სხვა არ არსებობენ.

უკრაინელი ხალხი თავისუფლებისთვის იბრძვის, ეს კი ძალისძალად მოხვეული პროექტია. ეს, ერთხელ, უკვე ნაცადი და ჩავარდნილი პროექტია, რასაც ვეღარც უკრაინაში გააცოცხლებენ და ვეღარც კოსოვოში. პროექტი გარდაიცვალა.

**— როცა სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ, რეალურად, კანონის უზენაესობაზე ხომ არ უნდა გაგვეკეთებინა აქცენტი?**

8 gv.

# „ნაციონალებისთვის“ მთავარია 21 მარტს გვამები დაიდოს რუსთაველზე!

## მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას: არც ერთი არ გახვიდეთ ქუჩაში 21 მარტს!



„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლკოვნიკი **ტრისტან წითელაშვილი**.

**— ბატონო ტრისტან, კარსაა მომდგარი „ნაცმოძრაობის“ მორიგი გამოცხადებული საპროტესტო გამოსვლა, თქვენ რა შეგიძლიათ თქვათ, მართლაც არის მოსალოდნელი 21 მარტს არასასურველი მოვლენების განვითარება თუ შესაბამისი უწყებების ძალისხმევით ისევე ჩაივლის, როგორც 15 ნოემბერი?**

— მოდით, აქედან დავიწყოთ — „ნაცმოძრაობის“ ლიდერები ამბობენ, თითქოს ეს არის საქართველოს მოსახლეობის პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ უნიათოა მთავრობა, საქართველოს ეკონომიკა დაეცა, ლარი გაუფასურდა, პოლიტიკური კურსი შეიცვალა და ა.შ — ეს ყველაფერი არის ზღაპრები! ნოემბერში ვითომ ანექსიასთან დაკავშირებით ცდილობდნენ ხალხის გამოყვანას, ახლა ეს დაუდეს სარჩულად. **21 მარტს საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ „ნაცონალური მოძრაობა“ ემზადება სერიოზული სისხლისღვრისთვის და ამიტომ სჭირდებათ ხალხმრავლობა**. უკრაინაში, სააკაშვილის მიერ „ნაციონალების“ შტაბში დაიგეგმა ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბინძური და სისხლიანი პროვოკაციები. გივი თარგამაძე, გიგა ბოკერია, გია ბარამიძე — ესენი არიან ის ხელმძღვანელები, რომლებიც ორგანიზებას უწევენ 21 მარტის აქციას, დანარჩენ „პეშკებზე“ არ მაქვს საუბარი, გაბაშვილზე, წიკლაურზე, ინაშვილზე და დანარჩენ „შნირებზე“. გაწერილი აქვთ გეგმები, ვთქვათ, აქციის დროს სად უნდა მოხდეს და რა მიმართულებით შეხლა-შემოხლა, ამას როგორ უნდა მოჰყვეს სიღრმისეულად დაპირისპირება, ამ დროს ვინ უნდა დაიჭრას მსუბუქად ან ძლიერად, ვინ უნდა მოკლან. ამის შემდეგ, ნავარაუდები აქვთ, რომ უნდა წამოვიდეს საზოგადოებრივი აქტივობა და მღელვარებაში, ქვეყანაში შეიქმნეს დესტაბილიზაცია. თბილისში რომ ასეთი მდგომარეობა შეიქმნება, სააკაშვილი გამზადებული იქნება საზღვარზე, სარფში და მისი ჭკუით, თბილისკენ წამოვა — ოდნავ მოგვიანებით გეტყვით, რატომ ჩქარობენ.

ბათუმში რა ღალატიც მოხდა, ვასაძე-დუმბაძე და კამპანიას ვგულისხმობ, ესეც გაწერილი გეგმის ნაწილი იყო. ბათუმში შეიქმნა რალაც ორგანიზაციები — რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობის“ დაფინანსებული და ერთ-ერთ პლაცდარმად ბათუმის გამოყენება უნდათ, პარალელურად — ზუგდიდის, სადაც როლანდ ახალაიაა მეთაური. დღასავლეთ საქართველოში, სადაც მეტ-ნაკლებად მხარდამჭერები ჰყავდათ და დღეს ჩანერგილებად ჰყავთ დატოვებული, იმის იმედი აქვთ, რომ გზად აკრეფენ. აღმოსავლეთში ღვინიაშვილი ჰყავთ თავისი დაჯგუფებებით, მაგრამ კახეთი მაინც არ არის და არ ყოფილა ისეთი აქტიური, „ნაცმოძრაობას“ რომ გულს გაუხარებს. რას შეძლებენ, საკითხავია, მაგრამ საქართველოში შეიარაღებული გადატრიალების ფონზე ძალაუფლების ხელში აღების გეგმის ნაწილი ასე ესახებათ.

რაც შეეხება თბილისს — აქტიურად ემზადებიან. რამდენიმე ახალი შტაბი აღმოვაჩინე თბილისში, ისანში, დიდუბეში და ორთაჭალაში. როგორც უნდა შეინიღბოს, კარგად ვარჩევ ადამიანებს დამახასიათებელი პროფესიული ნიშნით — საღამოობით იკრიბებიან როგორც სპორტული აღნაგობის პირები, ისე ყოფილი სამხედრო, პოლიციის თანამშრომლები და უკრაინიდან ჩამოსული ჯგუფები.

**— ვის გულისხმობთ „უკრაინიდან ჩამოსულ ჯგუფებში“?**

— ჯგუფები, რომლებიც მომზადებას გადიოდნენ უკრაინაში. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო — უკრაინაში არის ორი კატეგორიის ჯგუფი. ერთი, რომლებიც წინა ხაზზე იბრძვიან და არ მიეკუთვნებიან სააკაშვილის შტაბს (ერთეულები არიან) და მეორე — ყოფილი სამხედროები, ყოფილი პოლიციელები და ყოფილი ზონდერები, რომლებიც პირდაპირ სააკაშვილის დაქვემდებარებაში არიან და გადიოდნენ საბრძოლო გადამზადებას, რომ უკრაინის მოვლენები გადმოიტანონ საქართველოში. იქაა გიგი კალანდაძე (ყოფილი შტაბის უფროსი), დავით მარღიშვილი (I ბრიგადის ყოფილი მეთაური), მამუკა მამულაშვილი, რომელიც იქ ხელმძღვანელობდა ამ ლეგიონს და ა.შ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს — არც ერთი მათგანი არ იბრძოდა წინა ხაზზე, ინტერნეტ-მებრძოლობით იფარგლებიან.

საქართველოს ბედი ურაინაში წყდებაო — მართლა უკრაინაში წყდება, ოღონდ ცუდი გაგებით. სააკაშვილი უკრაინაში წყვეტს როგორ მოახდინოს სისხლისღვრა საქართველოში!

მე უკვე განვაცხადე, რომ შემჩნეული მაქვს საეჭვო გადაადგილებები. გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ ეტაპზე ძალიან ბევრი ტურისტია უკრაინიდან შემოსული — ამ ტურისტებს მოჰყვება უკან ის თანხა, რომელიც სააკაშვილის მხრიდან მოდის ამ ჯგუფების დასაფინანსებლად. ეს ის „ვითომ ტურისტები“ არიან, რომლებიც იმოქმედებენ შემდგომ მშვიდობიან მომიტინგეებთან. მათ გავლილი აქვთ მომზადება და კარგად იციან, როგორ მოახდინონ პროვოკაციები მშვიდობიან სიტუაციაში, როგორ უნდა მოხდეს ამა თუ იმ გარემოში ადამიანის ცემა, დაჭრა ან ლიკვიდაცია.

**ამიტომ მოვუწოდებ მასმედიის ყველა საშუალებით საქართველოს მოსახლეობას: არც ერთი არ გახვიდეთ ქუჩაში 21 მარტს!**

**21 მარტი არის საქართველოს დანგრევისთვის ხელმეორე სტარტის ასაღებად დადგმული მაპროვოცირებელი დღე. ჟურნალისტებიც არ უნდა მივიდნენ — ჯერ რა არის გასაშუქებელი და მეორე, ისე არიან მომართული, საკუთარი გუნდის წევრებს არ დაზოგავენ საერთაშორისო სკანდალის ასატეხად. თუ დაჭირდათ, თავისივე „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტს მოკლავენ, ნაცადი აქვთ...**

ფინანსები — აქვთ. გივი თარგამაძე პირდაპირ სძალავს ფულს იმ ბიზნესმენებს, რომლებიც იძულებით არიან დღემდე „ნაცმოძრაობასთან“. ზოგზე საციხო კომპრომატი აქვთ, ზოგზე პირადი ცხოვრებიდან და „იწველებიან“, მაგრამ მაგალითად, ლაურა ლაჭავა და თამაზ გაიაშვილი ნებაყოფლობით და დიდი მონდომებით დებენ „ნაციონალების“ ანუ საერთო საქმეში ფულს.

სირცხვილი იმ ქართველ ბიზნესმენებს, რომლებიც ქართველი ხალხის სისხლისღვრას აფინანსებენ!

„ნაცმოძრაობას“ თავდაცვის სამინისტროში, ასევე სამხედრო პოლიციაში და სხვადასხვა ქვედანაყოფებში ჰყავს ისეთი პირები, რომელთაც კავშირი აქვთ თავიანთ ყოფილ მეთაურებთან. ისინი პირდაპირ ღებულობენ დირექტივებს უკრაინიდანაც რომელმა, სად და რა სახის საბოტაჟი უნდა მოახდინოს. ყველაფერი არის 21 მარტის წინსწრები ქმედებები სხვადასხვა მიმართულებებით, როგორც ჯარში, ისე ფინანსთა სამინისტროში საბოტაჟები, ეროვნულ ბანკში, ენერგეტიკაში — მარეგულირებელში რომ პირწავარდნილი „ნაციონალი“ მაია ნადირაძე უზის კალაძეს და გვარიან ხელფასს იღებს, კიდევ კარგად უდგია სული ამ სფერს — ასეა ყველა რგოლში...

**— იმის თქმა გინდათ, რომ „ნაციონალების“ კადრები აფერხებენ ქვეყნის წინსვლას?**

— საქართველოს მოსახლეობა ჯერ კიდევ არ არის გარკვეული რა ხდება, არც არავინ ატყობინებს და უკმაყოფილოა. დავუშვათ, ყველაფერი მართლა ძალიან ცუდადაა, ეს დავარდა, ის — დავარდა, ბოლო-ბოლო აღარავინ დაგდევს ქუჩაში მოსაკლავად, უდანაშაულოს აღარ მიგათრევენ ციხეში საწამებლად, ფულის გამოსაძალვად და გასაუპატიურებლად ან მოსაკლავად; 40 000 პატიმარი არ ჰყავს საქართველოს და სახლში არავინ გივარდება... ეს მაინც ხომ უნდა დაინახო და დააფასო? მიწასთან გასწორებული ჩაიბარა ყველა სექტორი ახალმა ხელისუფლებამ და როგორ წარმოუდგენია ვინმეს რომ უცბად აყვავდეს ყველაფერი?

მე რომ ჩემი თვალით არ მენახა ციხეში როგორ მოჰყავდათ ბიზნესმენები და იძულებით არიცხინებდნენ იქიდან თანხებს ბიუჯეტში, ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა, ალბათ, მაგრამ... სავსე იყო ციხე ბიზნესმენებით, გადარიცხავდნენ მსუყე თანხებს — გაუშვებდნენ... თითქოს სიზმარში ნახულობდნენ, არიქა, ახლა სახელმწიფოს უნდა ვაჩუქო ჩემი ქონება ან ფულიო, იქვე, ციხეზე იყო ნოტარიუსიც და ბანკის ფილიალიც, შორს წასვლა არ იყო საჭირო. ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი გზა ეს იყო, დღეს აღარ არის და შეეტყო ბიუჯეტს რყევა. აღარ არის ისე, რომ კაცს იძულებით აყიდინებდნენ მილიონებად დანგრეულ შენობას და ათასგვარ კომბინაციებს ატარებდნენ. აღარ არის სააკაშვილის ხელისუფლების დანერგილი ამგვარი ბოროტებები და ვინც მისი ხერხებით არ ავსებს ბიუჯეტს, იმას ედავები რატომ შენც ასე არ აკეთებო?

ბიუჯეტის შევსებას დიდი შრომა უნდა, შრომის მოსურნე რამდენია? სხვათაშორის, პირადად ვნახე და ვიცი, რომ ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა და კეთდება, მაგრამ არ აპიარებენ. ისინი ერთ ხვინჭკას გადადებდნენ და არიქა, პირამიდები ავაშენეთო, ყვიროდნენ. სააკაშვილი და მისი ბანდა ისე იყო მომჯდარი სახელმწიფო ბიუჯეტზე, საყვარლების საცვლებსაც ბიუჯეტის ფულით ყიდულობდნენ...



ინვესტიციებიო, რომ გაიძახიან — ჩადის ოფიციალური წარმომადგენელი, ვთქვათ, საფრანგეთში, ხვდება ბიზნესმენებს, მოილაპარაკებენ და მეორე დღეს იმავე ბიზნესმენებს ხვდება მეორე მხარე და ფულს უხდის, რომ მოლაპარაკება გააუქმოს. ბიზნესმენების მეორე კატეგორიაა, რომელსაც უკვე ჰქონდა საქართველოში ინვესტიცია ჩადებული, მაგრამ „ნაციონალებს“ როგორც სჩვეოდათ, კომპრომატები აქვთ „ყოველი შემთხვევისთვის“ და გამომძეურებით აფრთხობენ — ასეთი ხერხებით მავნებლობენ.

ჩვენ ვართ ისეთი ბრძოლის პროცესში, როცა მოწინააღმდეგე მხარე ერთი ხელის მოსმით ვერ განეიტრალდება მიზეზთა გამო. ფინანსურად ძლიერი რომ არის, ბუნებრივია, მთელი საქართველოს მოსახლეობის ქონება გადანთქეს 9 წლის მანძილზე და მილიონობით დახმარებები უცხოურ ვალუტაში, მაგრამ ამის გარდა სხვა მიზეზიც არის, რის გამოც ხან სად ამოჰყოფს თავს, ხან — სად.

ვის დავუმალოთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება პირდაპირი ზეწოლის ქვეშ ჰყავს ასე სათაყვანებელ ე.წ დასავლეთს? ქვეყნის მოქმედ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს წინ რომ დაუსვეს იმავე ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, ძებნილი, კრიმინალი მიხეილ სააკაშვილი, ამის შემდეგ რა უნდა ვუთხრა იმ დეპუტაციას, რომელმაც ტაში დაუკრა კრიმინალს? ეს იყო პირდაპირი მესიჯი დღევანდელი ხელისუფლებისთვის, არ იქნები დამჯერი და ხომ ხედავთ, აგერ გვყავს საფრთხობელა, როცა გვინდა მაშინ ამოვაყოფინებთ თავს ხელისუფლებაშიო. დღევანდელი ხელისუფლება რამენაირად ცდილობს თავი დაიძვრინოს მარწუხებიდან, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ „მარწუხებს“ უცბად და ღიად ვერ დაუპირისპირდება, ქვეყანა დაზიანდება...

**გამოდის მკვლელი ბარამიძე და განცხადებებს აკეთებს ქართველი ხალხის სახელით — მისი ადგილი**

8 gv.

6 gv.

— საქართველოში უმძიმესი დანაშაულობებია ჩადენილი, რაც უნდა გაირკვეს და სამართლიანობა აღდგეს. ქილერის სამსახურში მოწყობა დიდსულოვნება არაა, ეს დანაშაულია. ქილერის დაწინაურება მიტევება და სულგრძელობა არაა, ყველაფერს თავის სახელი ჰქვია. სამართლიანობა უნდა აღდგეს, ოღონდ იმ ხალხს მივმართავ, რომელთაც ეს ბრძოლები ერთად გამოვიარეთ და იმათაც, რომელნიც სისხლის სამართლის ბრალეულობაში გარეულნი არ არიან — 9 წლიან რეჟიმს გავუძელით. ისე ნუ ვიზამთ, რომ ჩვენ შთამომავლობას ერთმანეთისკენ სავალ ბილიკებზე გადავეღობოთ. ეს სავალი გზები, ბილიკები შთამომავლობას თავისუფალი უნდა დარჩეს. ეს უნდა შევძლოთ. ამას, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვეუბნები.

**— როგორ ფიქრობთ, „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც პოლიტიკური პარტია, უნდა აიკრძალოს თუ არა?**

— როცა კანონმდებლები საქმეს თავს ვერ ართმევენ, მერე ამას ხალხი აკეთებს, რომელიც, რეალურად, ბევრად უფრო მაღალი ინსტანციაა. სხვათა შორის, ხალხმა, საქართველოს ისტორიაში, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა. ქართული საზოგადოება პროცესის ნათლიაა. მათ დაარქვეს თავის დროზე სახელი ავ-გიორგისაც და გიორგი ბრწყინვალესაც.

**— დასავლეთის, ევროპის მაღალჩინოსნები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ „ნაციონალებს“ პოლიტიკური ნიშნით ვდევნით. მათ გათავისუფლებას, ახლახან, საქართველოში ვიზიტისას ფრანსუა ნორლანდიც „დაგვპირდა“. რას ნიშნავს ეს?**

— თუ ამდენი შეუძლიათ, მაშინ ჯერ ლუგანსკი და დონბასი გაათავისუფლონ, ან თუნდაც, აფხაზეთი და ცხინვალი. მაგრამ ამ მონდომებას ვერ ვამჩნევ. მერაბიშვილის მეტი არავინ ადარდებთ? იგი, სხვა სახელმწიფოს ჩინოვნიკისგან ვერ გათავისუფლდება. იმ კაცს ათავისუფლებენ, რომელიც შს მინისტრის პოსტიდან თავისი დამნაშავე ხელქვეითებისგან პირდაპირ ორ გვამს ითხოვს? მათ, ბევრად მეტი პრობლემები დაუგროვდათ. კი, მესმის მათი პროექტის ნაწილს ციხე დაემუქრა და განიცდინ. მინდა ერთგული ვიყო იმისა, რაც ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში წერია — ადამიანს ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება აქვს. საბოლოო ჯამში, იმედია, ამერიკა ჰუმანიზმიდან გამომდინარე პრინციპებით იმოქმედებს და კრიმინალებს თავზე არავის დაასვამს.

**— გაზაფხულზე დაანონსებული არეულობა, შეიძლება რეალობად იქცეს? რა ზომების მიღება მართებს ხელისუფლებას?**

— არეულობის მცდელობა არის. ჩვენ, მივეჩვიეთ რომ ვილაც რაღაცას ამბობს და მერე ამაზე კომენტარები უნდა ვაკეთოთ. მე კომენტატორი კი არა, პოეტი ვარ, ამიტომ ჩემს აზრს მოგახსენებთ: **არ გამოვრიცხავ, ეს საპროტესტო აქცია, ხელისუფლების გარკვეულ ძალებსაც აწყობდეთ, რათა საქართველოს მოსახლეობა საავალალო არჩევანის წინაშე დააყენონ, თუმცა უნიჭობასა და გუშინდელ უბედურებას შორის. ჩვენი არჩევანი არცერთი არ იქნება, ჩვენი არჩევანი არსებულსა და უკეთესს შორის გაკეთდება. ხელისუფლების გასაგონად მინდა ვთქვა: ნება იბოძონ და ყველა უკანონობა აღკვეთონ, თორემ „ნაციონალების“ მიტინგები მოენატრებათ. ხელისუფლება უფრო ეფექტური უნდა იყოს, ნაკლები პრემია აიღოს, ხალხთან მეტი კომუნიკაცია იქონიოს. ამ შეცდომებს საზოგადოება აცნობიერებს და შეეცდება სამომავლოდ, ნაცების გარეშე, უკეთესი ხელისუფლება დაიქირაოს. მაგრამ, სანამ ეს მოხდება, ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა გააკეთოს თავისი გასაკეთებელი.** აქვე, ერთსაც დავსძენ — „ნაციონალების“ აწრიალება, ასეთი ისტერიკა პროკურატურის გააქტიურებამ გამოიწვია. პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პროკურატურა პროკურატურას ემსგავსება და შსს შსს-ს. ბუნებრივია, ეს პროცესი დამნაშავეთა ისტერიკას იწვევს.

**თამარ შველიძე**

55 23 28 24

## როგორ შეიძლება „ნაციონალებმა“ მთავრობის გადადგომა იმ საკრალურ ადგილას, რუსთაველის გამზირზე, მოითხოვონ, სადაც მათ უდანაშაულო ადამიანები დახოცეს...



# „ნაცინალებისთვის“ მთავარია 21 მარტს გვამები დაიდოს რუსთაველზე!

7 gv.

**პროკურატურაში, სასამართლოში და ციხეშია; განცხადებებით გამოდის გიგა ბოკერია, რომელიც ბარამიძის გვერდზე საკანში უნდა იჯდეს; გივი თარგამაძე, ყაჩაღი, ბანდიტი, პედოფილი, მკვლელობის შემკვეთი ნაძირალა რა უფლებით უნდა მიმართავდეს ქართველ ხალხს? ესენი ციხეში კი არა, ციხის საქათმეში უნდა იჯდნენ, მაგრამ ხელს არ აკიდებინებენ „პატივცემული დასავლეთიდან“ და ესეც კიდევ ერთი უკმაყოფილების საგანი ხდება ამ ხელისუფლებასთან მიმართებაში.**

**— უკრაინაში გაქვთ დამთავრებული სამხედრო აკადემია და მეგობრობა გაქვთ უკრაინელ სამხედროებთან, რაც არა ერთხელ გამოჩნდა თქვენს ხელთ არსებული მასალებით, რას ამბობენ საქართველოდან უკრაინაში გადაბარგებულ „ნაციონალებზე“?**

— თვლიან, რომ ეს იყო დასავლეთის პირდაპირი ზეწოლა პოროშენკოზე თავიანთი მომაკვდავი აგენტურის გასაცოცხლებლად. როცა მაიდნის ამბები მიმდინარეობდა, მაშინაც მქონდა საუბრები და ახლაც მაქვს. თავდაპირველად მაშინ გაუჩნდათ კითხვები, როცა სააკაშვილის ფიგურა გამოჩნდა და იქ გაიხსნა „ნაციონალების“ შტაბი, საიდანაც სნაიპერები ისროდნენ, სასტუმრო „უკრაინაში“ მე-3 სართულზე. მაშინ მითხრეს პირველად, ტრისტან, რაღაც, ისე არ არის საქმე როგორც გვეგონა, ძმათამკვლელ სისხლისღვრაში გადაიზრდება და გავლენას მოახდენს ქართულ-უკრაინულ ურთიერთობაზეო. მე კი, ვეუბნებოდი, რომ იქ ერთეულები იყვნენ და ისინი საქართველოს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ ახლა, როცა ხელისუფლებაში ჰყავთ ბანდიტები? ახლა უკვე პირდაპირ მოითხოვა „მემარჯვენე სექტორმა“ რომელიც გარკვეულ ძალას წარმოადგენს, უკვე გაუგზავნა პოროშენკოს მოთხოვნა, რომ უცხოელები (ქართველები) არ იყვნენ უკრაინის ხელისუფლებაში, მაგრამ იმ პოროშენკომ რაღა ქნას, იმასაც „პატივცემული დასავლეთი“ ჰყავს ჩასაფრებული. ნამდვილი უკრაინელები ახლა უკვე იქადნებიან, მითხრეს, რომ გვეუბნებოდი რას აკეთებდნენ თქვენები საქართველოში, არ გვჯეროდა, მაგრამ მართალი ყოფილხარო. ქალები და კაიფი გვერდზე იყოს, დაიწყო ბიზნესმენებზე ზეწოლები, თანხების გამოძალვები, მსხვილი ობიექტების აუქციონზე გატანები, წარჩინებული ადამიანების სამსახურებიდან დათხოვნები პოლიტიკური ნიშნით; ეკა ზღულაძემ უკრაინის შსს დაშალა, პროკურატურა ჩვენთვის ცნობილი სქემით ამოქმედდა და ა.შ ერთი ერთზე იმეორებენ იმას, რაც აქ გააკეთეს.

არავინ შეხედოს სახუმაროდ საქართველოში სააკაშვილის ბანდის მცდელობას, ხელში ძალადობრივი გზით აიღოს ხელისუფლება, რადგან: ფინანსები აქვთ, მკვლელები — ჰყავთ, საერთაშორისო არენაზე, მოსყიდული ე.წ ლობისტები — ჰყავთ; იარაღი — აქვთ. აგერ, გიჩვენებთ რა იარაღებია გაცემული და ვისზე. ბაჩანა ახალაიას მინისტრობის დროს 99 პირზეა გაცემული იარაღი, მათგან 17 პირი არ არის რეგისტრირებული და მათზე გაცემულია სპეციარაღი. შაშკინის მინისტრობის დროს 55 პირზეა გაცემული პისტოლეტი და შაშხანა!

**— ხაზს რატომ უსვამთ პისტოლეტსა და შაშხანას?**

— პისტოლეტი გამოიყენება ახლო ბრძოლაში, ძალზე მოსახერხებელია ხალხმრავლობის დროს; შაშხანა — შორი მანძილიდან წერტილის განადგურება, „სნაიპერსკი შაშხანაო“, რომ იციან თქმა, ხომ გაგიგიათ. ანუ, ის იარაღები, რომლითაც პროვოცირება უნდა მოხდეს, კარგა ხანია აქვთ, შემდგომ უკვე ფართომასშტაბიანი ოპერაციისთვის რაც არის საჭირო, იმისთვის ემზადებიან ასე გულმოდგინედ და ნაჩქარევად. ასე რომ, მათი მომხრე რაც ნაკლები ადამიანი მივა 21 მარტს, მათთვისვე იქნება უკეთესი, თორემ სისხლისმოყვარე ლიდერებს, ისემც უქნიათ, ერთმანეთი დაუხოციათ!

მნიშვნელოვანია ის, რომ უკრაინელები საკუთარ ხელისუფალზე კი არ განეწყვნენ აგრესიით, არამედ, პირდაპირ სააკაშვილზე და მის ბანდაზე გადავიდნენ. ბოლოს დაახლოებით სამი კვირის წინ ვისაუბრეთ და მაშინ მითხრეს, თქვენიდან ხომ გაუშვით, აქ ვერ გადაგვირჩებიან, ჰაერშიც ვერ აფრინდებიან, სამუდამოდ აქ დარჩებიანო. რაღაც-რაღაცებში უფრო მეტად რამ დაარწმუნა უკრაინელები, იცით, გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაციის ბრძანებულება, ამის შემდეგ გამოვიდა უკრაინის გენშტაბის უფროსი და განაცხადა, უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის რეგულარული ჯარები საბრძოლო მოქმედებებში არ მონაწილეობენო. ბუნებრივია, კითხვა გაჩნდა, რუსების თუ არა, აბა, ვის წინააღმდეგ ვიბრძვითო? — მობილიზაციის გეგმა ჩავარდა.



უკრაინა ბევრად მალე მოეგო გონს, ვიდრე საქართველო, გიჟი იცნეს და იმიტომ აჩქარდა სააკაშვილი, თორემ 21 მარტი არ ჰქონდა დაგეგმილი. ვიღაცას ჰგონია, სააკაშვილს აქვს გამძაფრებული ინტუიცია, მაგრამ ვის რა აქვს, კარგად ვიცი(თ) — მის (მათ) ირგვლივ ისე ვერ ლაგდება როგორც მავანთ წარმოედგინათ და სანამ გვარიანად მომწიფდება, სანამ კიდევ რაღაც ძალა შესწევს, სანამ კიდევ შეუძლია იქიდან გამოსწრება, ფიქრობს ძალადობრივი გზით შემოაღწიოს საქართველოში — წასასვლელი აღარსად აქვს, არავის უნდა დაჟანგებული სიკვდილის მანქანა...

ყველაფერს ვერ ვიტყვი, მაგრამ რასაც ვამბობ, ისაა, რომ მინდა ხალხმა გაიგოს და შეიგნოს: — ნურავინ გადაყვება ძებნილ სააკაშვილს, რადგან ის მხოლოდ ციხეში მოხვდება, თვითონ კი, შეიძლება, გაისტუმრონ მოუსავლეთში! მათთვის არ აქვს მნიშვნელობა ვინ მოკვდება, ვანო მერაბიშვილისა არ იყოს, ორი გვამი მინდაო, „ნაცინალებისთვის“ მთავარია 21 მარტს გვამები დაიდოს რუსთაველზე!

**ტყუილი იმედი აქვთ, ვერც სააკაშვილი შემოვა აჭარიდან საქართველოში, ვერც ახალაია შემოვა ზუგდიდიდან თბილისში „ნაციონალური თეთრი რაშით“, ვერც ბასიშვილ-ლელუაშვილი ქართლიდან, ვერც ღვინიაშვილი კახეთიდან და ვერც თბილისში უკვე შემოყვანილი უნამუსო ქართველები დაღვრიან სისხლს!**

**— იმედიანად კი ხართ, მაგრამ...**

— ყველა გადაადგილება ვიცით მათი, ვის ხვდებიან, სად ხვდებიან, რატომ ხვდებიან — ჩათვალეთ, რომ განეიტრალებულები არიან.

**— „ნაცმოძრაობას“ რომ ნელ-ნელა სხვებიც აჰყვნენ, თამაშგარე დარჩენილი პარტიები, მათზე რას იტყვით?**

— ამათ არ ჰქვია ოპოზიცია, ესენი არიან კრიმინალური დაჯგუფების წევრები, „ნაცმოძრაობა“ არის ტერორისტული იორგანიზაცია და ვინც რაიმე ფორმით მათი თანამზრახველია, ისეთივე დამნაშავეა, არ აქვს მნიშვნელობა, პოლიტიკოსია, მეწარმე, ჟურნალისტი თუ სხვა.

**— თქვენ ასახელებთ ე.წ „შემსრულებელ“ კონკრეტულ პირებს, თქვენს შესაძლო ლიკვიდაციაზე არ გიფიქრიათ?**

— სროლა დასწრებაზეა... არ მეშინია! თუ დამასწრებენ, დამასწრონ, ერთხელ მოვკვდები და კაცურად, ამათსავით აყროლებულ ლეშად სიარულს ყველაფერი სჯობს!

**გიორგი ჩხეიძე**

არავინ შეხედოს სახუმაროდ საქართველოში სააკაშვილის ბანდის მცდელობას, ხელში ძალადობრივი გზით აიღოს ხელისუფლება, რადგან: ფინანსები აქვთ, მკვლელები — ჰყავთ, საერთაშორისო არენაზე, მოსყიდული ე.წ ლობისტები — ჰყავთ; იარაღი — აქვთ.

# მიმართვა ქართველ ხალხს!



***ერთი წლის წინ 2014 წლის აპრილში „კვირის პალიტრამ“ გამოაქვეყნა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის РОМАН ФИНИ – რომან ფინის მიმართვა ქართველი ხალხისადმი „საქართველო საფრთხეშია“. ეს იყო გაფრთხილება იმის შესახებ, რომ სააკაშვილი და მისი პარტია ხელისუფლების მიტაცებისთვის ემზადება. სახელმწიფო გადატრიალების საფრთხის ზრდასთან დაკავშირებით რომან ფინი კვლავ მიმართავს ქართველ ხალხს.***

სააკაშვილის და მისი თანამზრახველების ხელისუფლებაში დაბრუნების თარიღი გამოცხადებულია და ქვეყანა ახალი ძვრების ზღვარზე დგას. ორ წელზე მეტ ხანს არა მარტო მწიფდებოდა ბოდვითი იდეები შეთქმულების დანაშაულებრივ ტვინებში, არამედ ყველას თვალწინ ისინი ინტენსიურად ემზადებოდნენ მის განსახორციელებლად. დღეს მათ ჩათვალეს, რომ მზად არიან - დადგა დრო და საკუთარ გამოსვლას ცინიკურად თბილისის მაიდანი უწოდეს; განაცხადეს, რომ არ გაჩერდებიან, სანამ არ მიაღწევენ მიზანს, რომელიც მათ ესახებათ არა როგორც უბრალოდ მთავრობის გადადგომა, არამედ, როგორც ხელისუფლების მიტაცება.

**28 თებერვალს შემუშავებული გეგმის მიხედვით „თბილისური მაიდანი“ უნდა დაიწყოს 2015 წლის 21 მარტს. სააკაშვილმა საკუთარ თანაპარტიელებს თბილისში მიმართა: „მოაწყვეთ მეორე „მაიდანი“, გამოიწვიეთ ქაოსი, ფული და მხარდაჭერა იქნება“.** დამახასიათებელი განცხადებაა, რადგან, ის ხსნის მაიდანის ჭეშმარიტ ბუნებას. არ შეგაცდინოთ იმის წარმოდგენამ, რომ ეს არის რაღაც რომანტიკული, სამართლიანი, ღირსეული; რომ ხალხი მოდის, რათა გამოხატოს საკუთარი პროტესტი. ეს სიტყვა, რომელიც ზოგადი გახდა, ნიშნავს შეიარაღებული ძალადობრივი გზით სახელმწიფო გადატრიალებას, ძალაუფლების დამხობას, ლეგიტიმური მთავრობის გადაგდებას და დიქტატურის დამყარებას, დესტაბილიზაციას, უწესრიგობას, ტერორისტულ აქტებს, სისხლისღვრას, საფუძვლების მორყევას... და მიმართვა: „მოაწყვეთ ეს ყველაფერი“ მოდის ანტისახალხო ძალების წინამძღოლისგან, ეს არის ჩვენი - ქართველი ხალხის, საზოგადოების, თავისუფლების და სიცოცხლის ხელყოფის პირდაპირი მუქარა. ეს მუქარა სერიოზულია. **ეს არის მოწოდება სისხლისღვრისკენ, რასაკვირველია, ჩვენი სისხლის ღვრისკენ. განა ასე არ იყო პირველ მაიდანზე კიევში, შესაბამისი შედეგით – სისხლიანი სასაკლაოთი, რომელიც დღემდე გრძელდება, სიკვდილით და ნგრევით. სააკაშვილი იყო იქ ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზატორი... და ამის ჩამოტანა სურთ საქართველოში!**

სულ აიღეს თავზე ხელი, უტიფრად გამოდიან, განსაკუთრებული თავხედობითა და არნახული ცინიზმით. ისინი არ ლაპარაკობენ მშვიდობიან დემოკრატიულ პროცესებზე – ხელისუფლების გადადგომაზე, პარლამენტის დათხოვნაზე, ახალ არჩევნებზე... ისინი ლაპარაკობენ საკუთარ შეიარაღებულ რაზმებზე, ქაოსსა და დესტაბილიზაციაზე, ძალადობასა და ტერორზე, როგორიც იყო და არის მაიდანი მისი არსით, და კიდევ იმაზე, რომ ყოველივე ეს კარგად ანაზღაურებადია(!) ვისგან? რომ მხარდაჭერა იქნება(!) – საიდან? ეს მათთვის ხელისუფლებისკენ მიმავალი ერთადერთი გზაა. მაგრამ ეს შეთქმულებაა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს კი უმძიმესი სახელმწიფო დანაშაულია, შემსრულებლები – სახელმწიფო დამნაშავეები არიან. ეს არ არის იატაკქვეშა ორგანიზაცია, ფარულად შეიარაღებული. ეს ის ხალხია, რომელთა ხელშიც ჯერაც მნიშვნელოვანწილად რჩება ქვეყანა. გააფთრებულნი, შეშლილნი, საკუთარ დაუსჯელობაში სრულიად დარწმუნებულები, ღიად აცხადებენ საკუთარი დანაშაულებრივი ზრახვების შესახებ. ესენი არიან ადამიანები სინდისისა და ღირსების, ადამიანურობის გარეშე. ჩვენ ხომ მათ კარგად ვიცნობთ, მათ უკვე გამოავლინეს თავისი ცხოველური არსი არც ისე შორეულ წარსულში – როგორც საკუთარი მმართველობისას და ასევე მომდევნო პერიოდშიც. **ახლახან გახმოვანდა სააკაშვილის გეგმები ციხეში ან მერაბიშვილის, ან უგულავას, ან ბაჩო ახალაიას მოკვლის (!!!) შესახებ, რათა ამაში მთავრობა დაედანაშაულებინათ და ხალხის პროტესტი გამოეწვიათ. რა მხეცური, სატანისტური გათვლაა! როგორი უგნური სიბეცე!**

ნაციონალების პარტია დანაშაულებრივია საკუთარი ანტიხალხური არსით, თავისი არაადამიანურობით; იმითი, რომ მისი ხელმძღვანელი და მაღალი რანგის ჩინოვნიკები, ასევე პარლამენტის წევრები როგორც სააკაშვილის დროს, ასევე შემდგომაც, სხვადასხვა სახის უმძიმეს დანაშაულობებს სჩადიოდნენ პირადი შურისძიების გამო, საკუთარი გამდიდრების მიზნით;

მათ დაიწყეს და სამარცხვინოდ წააგეს ომი, რომელიც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საბოლოოდ დაკარგვით დამთავრდა. დღეს მათი გადაბრუნებული გონება უფლებას აძლევთ იამაყონ იმით, რომ ომი მოიგეს. მათი დანაშაულების სია ქვეყნის, ხალხის, ცალკეული ადამიანების და კაცობრიობის წინაშე დაუსრულებელია. ამჟამად 20,000-ზე მეტი საჩივრის განცხადება დევს პროკურატურაში სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით.

მაიდან-გადატრიალება-ხელისუფლების მიტაცება, როგორც გვამცნობენ, ძალიან კარგად არის დაფინასებული კრიმინალური წარმოშობის წყაროებისგან. განსაკუთრებით მძიმე სახელმწიფო დამნაშავეები მერაბიშვილი და გიგი უგულავა გასამართლებული არიან მხოლოდ მცირეოდენი დანაშაულისთვის, ხანმოკლე ვადებით, ხალხის ძარცვითა და ბნელი უკანონო ოპერაციებით ნაშოვნი ასობით მილიონებისა და მილიარდების შენარჩუნებით. მაიდანი იმ პარტიული „ობშჩიაკიდანაც“ დაფინანსდება, რომელსაც კეზერაშვილი განაგებდა; ნაციონალური მოძრაობის სხვა საქმოსნებისგან, რომლებმაც ასევე დანაშაულებრივი გზით შეაგროვეს უზარმაზარი ქონება. გასული წლის ზაფხულიდან, სააკაშვილთან შეთანხმებით, საქართველოში გადატრიალების დაფინანსებას დათანხმდა უკრაინელი მილიარდერი იგორ კოლომოისკი. შესაძლოა დაფინანსების სხვა წყაროებიც არსებობდეს.

**გეგმის თანახმად, ხელისუფლების მიტაცება შეიარაღებული გზით უნდა განხორციელდეს. საქართველოში ჩამოდის სააკაშვილისეული „ლეგიონი“, იმ ქართველებისგან შემდგარი, რომლებიც დღეს უკრაინაში ომობენ, 150 კაცი.** სურთ ისინი სნაიპერებად გამოიყენონ, რომლებიც მიტინგზე მოსულ საკუთარ ხალხს ესვრიან, რათა მათ სიკვდილსა და დაჭრაში მთავრობა დადანაშაულდეს, როგორც ეს იყო კიევში; გამოიყენებენ მათ როგორც დივერსანტებს, რომლებიც ტერორისტულ აქტებს განახორციელებენ, ხანძარსა და ნგრევას გამოიწვევენ, რათა წარმოიქმნას ქაოსი, ხალხი დაშინდეს, ბრბო კი აღიგზნოს. დიდ ძალას წარმოადგენს რაზმები სამეგრელოდან, სადაც შენარჩუნებული აქვთ პოზიციები თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბაჩო ახალაიას და ასევე განსაკუთრებით აქტიურ მამამისს, როლანდ ახალიას, რომელიც სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი თანამზრახველი იყო, ამჟამად პარლამენტის წევრი. სამეგრელოში მზადდებოდა საგანგებო საომარი რაზმები. მათ დასახმარებლად უკრაინიდან „მაიდანის სპეციალისტებიც“, შეიარაღებული ბოევიკებიც და ფერადი რევოლუციების მოწყობის სპეციალისტებიც ჩამოვლენ.მომზადებულია დიდი რაოდენობით საბურავები (20 ტრაილერის შესახებ არის ინფორმაცია), რომელთა დაწვა რიტუალად იქცა ანტისამთავრობო გამოსვლების დროს. ხალხმა არ იცის, რომ ამ საბურავების კვამლი ძალზე სახიფათო და მავნებელია ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით ფილტვებით დაავადებულებისთვის, ძლიერი კანცეროგენია. მაგრამ მისი მთავარი დანიშნულებაა აზროვნების დაბინდვა და მასის აჟიტირება. ეს შავი კვამლი ეშმაკისეული წარმონაქმნია, რომელიც ადამიანს ცხოველს ამსგავსებს. ევროკავშირის ქვეყნებში საბურავების დაწვა კატეგორიულად იკრძალება სამედიცინო და ეკოლოგიური თვალსაზრისით. **ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გავრცელდა ცნობა, რომ მიმდინარეობს აქტივისტებისა და შეიარაღებული ადამიანების გაძლიერებული ტრენინგი, სახელდებოდა ციფრიც - 500 ადამიანი, ძირითადად სპორტსმენები; მითითებული იყო მათი მომზადების ადგილები.** ისინი გაცილებით მეტი უნდა გამხდარიყვნენ, მათთვის ნიღბებიც იყო მომზადებული. მთავრობამ პირობა დადო, რომ ამ ვითარებას კონტროლს გაუწევდა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა გაკეთდა, რომ შეჩერებულიყო ეს დანაშაულებრივი ქმედება, დაშლილიყვნენ მონაწილენი, ხოლო დამნაშავეები დასჯილიყვნენ. დიდია ეჭვი, რომ საერთოდ არაფერი გაკეთებულა. ჩვენ არაფერი გაგვიგია და დღეს ამის შედეგიც დაგვიდგა - ისინი თავის სასიკვდილო ლაშქრობას იწყებენ.

ეჭვი არ არის, რომ ეს უგუნურები ვერ განახორციელებენ საკუთარ დანაშაულებრივ გეგმებს. ეს არ არის ვარდების რევოლუციის დრო, როცა მასობრივი და კარგად დაფინანსებული პროპაგანდის შედეგად ადამიანები სააკაშვილს გაჰყვნენ. დღღეს ქართველ ხალხში მისადმი და მისი თანამზრახველებისადმი საყოველთაო ზიზღი და სიძულვილია, და თუ ხალხი გამოვა ქუჩაში, ეს იქნება პროტესტი პირველ რიგში სააკაშვილის წინააღმდეგ. ეს ერთხელ უკვე მოხდა ამ წლის 31 იანვარს, როცა 25,000 ადამიანი გამოვიდა სააკაშვილის დასჯის მოთხოვნით. ქუჩები გადაჭედილი იყო თავისუფლების მოედნიდან უნივერსიტეტამდე. ეს იყო სერიოზული გაფრთხილება, მაგრამ მათ არაფერი აჩერებთ. დაბრმავებულები ვერაფერს ხედავენ, არაფერი ესმით. სინამდვილეში **ეს მათი გამოსვლა მათ დასასრულად გადაიქცევა. აალებული საბურავების, სნაიპერთა ტყვიების, დივერსიული ხანძრებისა და სხვა ძალადობრივ ქმედებათა საპასუხოდ ხალხი მთელი ძალით აღიმართება, და საბოლოოდ დამარხავს ნაციონალურ მოძრაობას;** ეს სამარცხვინო პარტია სამუდამოდ აიკრძალება, მისი დანაშაულებები გაიხსნება, დამნაშავეები აღმოჩნდებიან გისოსებს მიღმა, მათ ჩამოერთმევათ უმსგავსი ხერხებით მითვისებული ქონება და ის ხალხის სამსახურში გადავა; მოპარული საკუთრება, წართმეული ბიზნესები მეპატრონეებს დაუბრუნდება. სააკაშვილს და მისი მიმდევრებს არ ესმით, რომ საქმე ექნებათ არა მარტო და არა იმდენად მთავრობასთან, არამედ ხალხთან და აქ ისინი ველარ გაივლიან. მათ ელით სრული განადგურება და საბოლოოდ დალევენ სულს „ისტორიის სანაგვეზე“; ბევრ მათგანს, სავსებით შესაძლებალია, სიცოცხლის დამთავრება ციხეშიც მოუხდეს.

**ადამიანებო, იყავით ფრთხილად! არ გამოხვიდეთ ნაციონალების მიტინგზე, არ შეუერთდეთ მკვლელებსა და ბანდიტებს. ეს ამორალურია, ეს უგნეობაა სამშობლოს, საქართველოს, წინაშე.**

(იბეჭდება მცირედი შემოკლებით)



# საქართველოში სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობის“ რებრენდინგი გამორიცხულია! პირდაპირ დაწერეთ – ნორლანდმა და სხვებმა ეს შუბლზე კარგად დაიწერონ



„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი **ნიკუშა შენგელაია:**

**– ბატონო ნიკუშა, ბოლო დროს, მოსახლეობა ხელისუფლებაზე განაწყენებულია და არცთუ უსაფუძვლოდ. მათი დიდი ნაწილისთვის ვერ აღდგა სამართლიანობა. ამით „ნაცმოძრაობა“ შეგულიანდა და ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნით საპროტესტო აქციაც დაანონსა. რატომ მივიდა საქმე აქამდე, მოსახლეობამ ხომ ნაცებს სრული უნდობლობა გამოუცხადა, რამ გაათამამათ ისე, რომ საზოგადოების მათდამი განწყობას არად დაგვიდევენ?**

– ხელისუფლების მიმართ ხალხის პრეტენზიები მართლაც არსებობს, მაგრამ მნიშვნელოვანია, მან, ამის სათავისოდ გამოყენების საშუალება იმ ძალებს არ მისცეს, რომლებიც ქვეყანაში არეულობის ორგანიზებას გეგმავენ. მათ ქვეყანა სულ სხვა მიზნისთვის სჭირდებათ, სხვა რამეს ემსახურებიან. ხალხმა 12 ოქტომბერს უარი თქვა – ძალადობაზე, საკუთრების წართმევაზე, ერთპიროვნულ მმართველობაზე, წამებაზე და ა.შ. ამასთან შედარებით დღევანდელი პრობლემები – არაკომპეტენტურობა, საკადრო პოლიტიკა, ზოგიერთი უწყების არაეფექტური მუშაობა, თავისი წონით და მიდგომებით იმდენად განსხვავებულია წინამორბედის შეცდომებისგან, რომ საზოგადოებამ ამის აღრევა არ უნდა დაუშვას. გუშინდელი საშინელების დავიწყება, წარმოუდგენელია. მთავარია, დღევანდელი ხელისუფლება, პრობლემების მიმართ, ადეკვატურია. რა თქმა უნდა, უფრო ეფექტური მუშაობა შესაძლებელია, ასევე, უკეთესი კადრების მოძიებაც, მაგრამ გამოსწორებადი თემებია. ხანდახან, რაღაც საკითხებზე ბევრი დრო იკარგება, მაგრამ ხომ ხედავთ, რა რეალობაში გვიწევს ცხოვრება. საგარეო ფაქტორები ჩვენზეც მნიშვნელოვნად მოქმედებს. ეკონომიკური პრობლემები, ლარის გაუფასურება დიდწილად საგარეო პრობლემებთანაა მიბმული, მცირეწილად კი საშინაო რეგულაციებთან და არაეფექტურ მუშაობასთანაც. გავიხსენოთ, ოთხმილიონიანი მოსახლეობიდან, მილიონზე მეტი იმ ქვეყნებშიცაა დასაქმებული, რომელსაც კრიზისმა დაარტყა. ასევე, შეჩერდა ექსპორტი.

დღეს, სამწუხაროდ, ადამიანებს ძალიან ადვილად ატყუებენ, რასაც მასმედიაც უწყობს ხელს. იგი ისეთ გარემოს ქმნის, თითქოს აქამდე შვეიცარია ვიყავით და ყველაფერი ახლა დაინგრა. ჩემი აზრით, ბოლო ორი წელია ჩვენ პრო-ქართული ხელისუფლება გვყავს, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რათა ქვეყანა ისევ შარში არ გაეხვეს. თუმცა, არის საკითხები, რომლებიც ბევრად ეფექტურად, სწრაფადაა გადასაწყვეტი, საჭიროა ინიციატივიანი ადამიანები, ბიზნესსაც მეტი თავისუფლება სჭირდება, შესაქმნელია თავისუფალი ეკონომიკური ზონები. ჩვენ, ორი რესურსი გვაქვს – გეო-პოლიტიკური მდებარეობა ანუ ტრანზიტი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ენერგეტიკა. საჭიროა მხოლოდ ჭკვიანური ეკონომიკური პოლიტიკის განვითარება, რომლის რესურსი ადამიანები არიან. ასე, რომ „ნაციონალების“ აქციაში საშიშროებას ვერ ვხედავ. მეტიც, მიკვირს, რისი იმედი აქვთ, რომ მთელ ქვეყანას ამნეზია დაემართება და გუშინდელი დღე დაავიწყდება. მაგრამ ზოგადად, ამდენსაც არ უნდა ვაბედინებდეთ, ეს ჩვენი ტოლერანტობის მაჩვენებელია. ქართველი ხალხი შურისმაძიებელი არაა. მაგრამ ეს ყოველთვის ერთნაირად არ მუშაობს – ხან კარგია, ხან ცუდი.

## პასუხისმგებლიანი პოლიტიკა თუ სპეკულიანტური ურა-პატრიოტიზმი

„ნაციონალებს“ ნამუსი არ აქვთ. ხომ გაგიგონიათ, ენას ძვალი არ აქვს და ნამუსს საზღვარიო. მასმედიაც ხელს უწყობს მათ ფეტიშირებას. გარეთ, სხვა განწყობაა. რეალურად, ხალხის ხელისუფლებისადმი მოთხოვნა მუშაობაში მეტი ეფექტურობაა, მეტი არაფერი. რაც ხდება, სულ ტელევიზიების დაგეგმილი პროვოკაციებია. ქმნიან გარემოს, თითქოს, ქვეყანა იქცევა. გგონიათ ვინმეს დაავიწყდა „ნაციონალების“ გუშინდელი დღე? თუ ხალხი დაიღალა და ნაცებს ვერდიქტი გამოუტანა, ველარაფერი უშველით. ქართველი ხალხი ბევრად ბრძენია, ვიდრე ნაცებს წარმოუდგენიათ. მათ ხომ ხალხზე სხვა შეხედულება აქვთ – რომ ხალხი ჩამორჩენილი, ბნელია და თავად ნათელი მომავალი არიან. მთელს მსოფლიოს მიმართავდნენ ჩვენ დაგვიჯერეთ, ეს ქვეყანა ჩვენ უნდა ვმართოთო. დიდ ფასეულობებს, ტრადიციებს, კულტურას თავად არ იცნობდნენ და რა უნდა გაეკეთებინათ. ვიმეორებ, სიბრძნე, ერთიანობა გვჭირდება. წინაპრებმა ტყუილად როდი დაგვიწერეს ძალა ერთობაშიაო, ეტყობა ამის პრობლემა ყოველთვის იყო. ჩვენ, დღესაც, ვერ შევიგნეთ, რომ ერთი მიზნისთვის – ქვეყნის გადარჩენისთვის ვიმოქმედოთ, ამის ნაცვლად ყველა ცალ-ცალკე გაიძახის – არა, მე ვარ მართალი, არა, მეო. ამ დროს ერთი ბეწო ქვეყანა ვართ და ისეთი საფრთხეების წინაშე ვდგავართ, რომელსაც შეიძლება ვერც გავუმკლავდეთ, მაგრამ მცდელობა ხომ უნდა იყოს. პასუხისმგებლიანი პოლიტიკაა საჭირო და არა სპეკულიანტური ურა-პატრიოტიზმი. ურა-პატრიოტებს არ აწუხებთ რა მოუვა ხვალ მის მეზობელს, თავად სოფელს და ა.შ არამედ საუბრობენ იმისთვის, რომ არენაზე ჩანდნენ. 2008 წელს გამომჟღავნდა რა პასუხისმგებლობასაც გრძნობენ ეს ურა-პატრიოტები ხალხის მიმართ. ეს, ალბათ, დიდ პროვოკაციაში მონაწილეობა იყო, რაც მომავალში გაირკვევა. ხელისუფლების დღევანდელი დამოკიდებულება სულ სხვაა – იგი შეცდომებსაც აღიარებს და თავის მოსახლეობას ჯიბში არ უდგას. უბრალოდ, გვინდა, გარკვეულ სფეროებში – განათლება, ეკონომიკა, კულტურა და სხვა, უფრო ეფექტურად იმოქმედონ. ეს ადვილი როდია. მოსახლეობა კარგად უნდა დაფიქრდეს და 9 წლიანი და ამჟამინდელი მმართველობა ერთმანეთისგან გამიჯნოს. „ნაცმოძრაობას“ მოსახლეობით მანიპულირება უნდა, მას ამ თამაშში არ უნდა ავყვეთ. განა მათ დადეს რაიმე გეგმა, რომ უკეთ გვაჭმევენ, უკეთ ჩაგვაცმევენ ან უკეთეს განათლებას მოგვცემენ? მხოლოდ კრიტიკით არიან დაკავებულნი და გაიძახიან, უუნარო ხელისუფლება გვყავსო. გავიხსენოთ, რა უნარები გამოამჟღავნეს თავად. ხელისუფლებაში ყოფნისას? სააკაშვილი მოსახლეობას ზიზილ-პიპილოების კეთებით ატყუებდა, მერე აპიარებდა და ადამიანს ეგონა მაგარ ქვეყანაში ცხოვრობდა და თუ ცუდად იყო, მხოლოდ მისივე ბრალეულობით. ანუ, სააკაშვილი პიარზე და დახმარებებზე იდგა. რა ფასად მოსდიოდა ეს დახმარებები? ალბათ, მომავალში გაირკვევა რისთვის მიიღეს 4 მილიარდი. ასეთ თანხას უბრალოდ, არავინ იძლევა. სად არის სამაჩაბლო? დაფიქრება გვმართებს. კი ადამიანებს უკეთესი ცხოვრება უნდათ და კიდეც უნდა მოსთხოვონ ხელისუფლებას, ოღონდ მოთხოვნები რეალური, კონსტრუქციული უნდა იყოს. თუ ვინმეს ამ მოთხოვნების უკეთ შესრულება შეუძლია, რა თქმა უნდა, ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს და ის უკეთესი მოვიდეს. მთავარია, ადამიანებს სიმართლე ვუთხრათ. ერს უნდა გაჩნდეს ზოგადი მეხსიერება, რითაც ვითარდება. ერთი და იგივე შეცდომა იმავე უნარებში ორჯერ არ უნდა დავუშვათ.

**– ხომ არ გეჩვენებათ, რომ ბოლო დროს, საზოგადოებას მეხსიერება დაუმოკლდა. სამოქალაქო საზოგადოება ვერა და ვერ შედგა.**

– ასეა, თუმცა მიზეზს ვერ ვხვდები. ცალკე ინდივიდს თუ დაავადებული არაა, მშვენიერი მეხსიერება აქვს. საზოგადოება რატომ ივიწყებს ხოლმე ყველაფერს, ეს ცალკე საკითხია და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ სტილშია გასაანალიზებელი. ამას ისტორიის ფორმაციაც ხომ განაპირობებს. საქმე ისაა, რომ საკმაოდ დიდხანს ჩვენი ქვეყნის ბედზე პასუხისმგებელნი არ ვიყავით. ჩვენ, აქ მაცხოვრებელი ერი ვიყავით, რომელსაც პასუხისმგებლობა სხვა დიდი იმპერიიდან ჰქონდა ჩამორთმეული, ანუ სხვა ადგილიდან ვიმართებოდით და ადამიანები ქვეყნის ბედზე პასუხისმგებელნი არ იყვნენ. 20-25 წელი ისტორიის, ერის განვითარებისთვის ძალიან ცოტაა. შეიძლება ესეც მოქმედებს. ყველაფერი ჩვენგან დამოუკიდებლად რომ წყდებოდა, შეიძლება, ამიტომაც მოვდუნდით.

## ქართველი ხალხი სააკაშვილის რებრენდინგის წინააღმდეგ

საერთაშორისო თანამეგობრები ყოფილი ხელისუფლების პოლიტიკურ დევნაზე გვესაუბრებიან. არ მესმის, რატომ უწოდებენ მათ ასე? ისინი კონკრეტული საქმისთვის გასამართლებული ადამიანები არიან, რომლებმაც თანამდებობაზე ყოფნისას დანაშაული ჩაიდინეს. იცით, რა ეს უკვე რაღაც მარაზმში გადადის. ვფიქრობ, მათ სწორი ანალიზისთვის შესაბამის ანალიტიკოსებთან, ისტორიკოსებთან სჭირდებათ კონსულტაციები. რატომღაც, მხოლოდ იმ ხელმოცარულ პოლიტიკურ ძალას უსმენენ და ეყრდნობიან, რომელსაც ქართველი საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვს. მათ, ჭკუას უნდა მოუხმონ და კონსულტაციები იმ ადამიანებთან გაიარონ, რომელსაც ქართველი ხალხი უსმენს, პატივს სცემს. ხელის გადაფარება იმ ადამიანებზე, რომელთაც ჩვენი მოსახლეობის 80% ვერ იტანს, რაც არჩევნებითაც გამოჩნდა ნიშნავს, რომ იმ 80%-ს შეურაცხყოფას აყენებ. ანუ, მათ ქვეყანასთან კი არა, „ნაცმოძრაობასთან“ უნდათ ურთიერთობა. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ საზოგადოების 80%, რომელმაც „ნაციონალებს“ უარი უთხრა აქ ვცხოვრობთ და თუ მათ ეს არ ესმით, ასეთი ორმაგი სტანდარტების გამო, საგარეო პოლიტიკაში, ყველგან, პრობლემები ექნებათ. საქართველოში, სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ რებრენდინგი, გამორიცხულია. მათ ვეუბნები – ამას ხელისუფლება კი არა, ხალხი არ დაუშვებს. პირდაპირ დაწერეთ – ნორლანდებმა და სხვებმა ეს შუბლზე კარგად დაიწერონ.

**– ბატონო ნიკუშა, „ნაციონალების“ არმიის ნაწილი უკრაინაში თანამდებობებზე გადაბარგდა. იმ შემთხვევაში თუ იქაც იგივე სიავეებს ჩაიდენენ, რა საფრთხე შეიძლება დაგვემუქროს, ეს, ჩვენს მიმართ, უკრაინელების გაღიზიანებას არ გამოიწვევს?**

– უკრაინელები, ჩვენზე, რატომ უნდა გაღიზიანდნენ. უკრაინის ხელისუფლებამ, ქართველი ხალხის მიმართ, აბსოლუტური უპატივცემულობა გამოიჩინა. იმიტომ, რომ ის დამნაშავეები, რომლებიც ქართველ ხალხზე ძალადობდნენ, ქვეყანა გაძარცვეს თავისთან წაიყვანეს ინფრასტრუქტურული სახელმწიფოებრივი ცვლილებების განსახორციელებლად, ეს ხომ სასაცილოა. ამაში მორალი არ დევს. სადაც მორალი არ დევს, ის პოლიტიკა დამთავრებულია. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, ცოტა ხანში დაინახავენ ვინაა სააკაშვილი.



სად გინახავთ ასეთი რამ? – დოქტრინა, რომელზეც მერე უარი თქვეს – ის ნაძირალაა, ოღონდ ჩვენი ნაძირალაო, დღეს, ისევ ამუშავებენ? რა ხდება, არ ვითარდება ამერიკის გოსტ დეპარტამენტი? ისტორიას არ აკვირდება? ამერიკა იმიტომ კი არ გვიყვარდა რომ ამერიკა ჰქვია, არამედ იმიტომ, რომ დემოკრატიულ ფასეულობებს, ღირებულებებს ეყრდნობოდა. ასე ხომ მთავარს – განწყობას დაკარგავენ. ყველაზე დიდი პოლიტიკა ისაა, როცა ადამიანებს შენთან ყოფნის სურვილი აქვთ, მაგ დროსაა ძლიერი საგარეო პოლიტიკაც. ამერიკა თავად აკეთებს ყველაფერს რომ ეს განწყობა დაიკარგოს. დღევანდელ პოლიტიკაში ლიდერშიპები არ

**გვესაუბრება სამხედრო ექსპერტი, პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია**



# ვახტანგ მაისაია:

# დიახ, 21-ში პროვოკაციებს ექნება ადგილი!

**— 21 მარტს ნაციონალები დიდი აქციის მოწყობას ვარაუდობენ.**

— ნაციონალები სულს ღაფავენ და სურთ, რაც შეიძლება მეტი ხალხი გამოიყვანონ ქუჩაში. თუმცა ნაციონალებს დღეს ისეთი რეიტინგი აქვთ, როგორიც კომუნისტურ პარტიას. ნაცმოძრაობა გახდა მარგინალური პოლიტიკური ძალა და ახლა, როცა პარლამენტში დეპუტაცია ჰყავთ გაყალბების შედეგად, ფიქრობენ, რომ ეს ვინმემ არ იცის.

უკრაინაშიც ფიასკო განიცადეს. ამაზე რატომღაც არავინ წერს და არავინ ლაპარაკობს, არადა, სერიოზული ჩავარდნა მოხდა სააკაშვილის და მისი გუნდის მისიის. როგორც კი მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებისადმი ლობირება, ფაქტობრივად, ჩაფლავდა ეს ინიციატივა თვით მიხეილ სააკაშვილის პიროვნული ფაქტორიდან გამომდინარე. მოგეხსენებათ, ობამას ადმინისტრაციის დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ. ესეც გახდა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რათა არ მიეწოდებინათ უკრაინისთვის იარაღი, რომელიც მისთვის ამ ეტაპზე, სასიცოხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

უკრაინული არმია დღეს ისეთი დემორალიზებულია, როგორც იყო ქართული არმია განთიადისა და გაგრის დაკარგვის დროს და ამაში გარკვეული წვლილი „ნაცმოძრაობასაც" უდევს. უკრაინის პრესა და ტელევიზია თითქმის ყოველ დღე სააკაშვილს უთმობდა დროს და უკვე ორი კვირაა, რაც არ გამოჩენილა. ისეა გასუსული უკრაინის პრესა, ხმას არ იღებს სააკაშვილის ინტერვიუებზე. სერიოზული მარცხები იწვნიეს სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მეშვეობით და ის რეფორმები, რაც უკრაინაში ზარზეიმით იყო ინიცირებული, ფაქტობრივად, ჩაფლავდა.

სიტყვა გაგვიგრძელდა და მოკლედ გეტყვით: უკრაინაში წარუმატებლობების ფონზე ცდილობენ საქართველოში გამოიჩინონ თავი და უშნოდ ფხაკურობენ — 21-ში მთავრობის გადადგომას მოვითხოვთო — ჭიქაში ქარიშხლის ატეხვას აპირებენ.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს აქცია მათთვის წარუმატებელი იქნება?**

— 21 მარტის აქცია იქნება ისეთივე, როგორიც იყო 19 აპრილს და 15 ნოემბერს.

**— ხომ არ არის იმის ალბათობა, რომ სამართლიანობის დამკვიდრების მოსურნე ხალხი, რომლებიც ამ ხელისუფლებისგან ელოდნენ ამას, სოციალურად მძიმე ვითარებაში მყოფნი და ნაციონალების მიერ გარკვეული თანხის საფასურად მოსყიდულნი, არცთუ ისე უმნიშვნელო მასა იქნება აქციაზე.**

— არ მგონია, სოციუმის რომელიმე სერიოზულმა წარმომადგენელმა მოისურვოს იმ აქციაზე მისვლა. რაც შეეხება ფულის დარიგებას. წინა აქციებზეც ვიღაცებმა აიღეს ფული, მივიდნენ მიტინგზე, მაგრამ რამდენიმე წუთში მოკურცხლეს იქედან.

სოციალური პრობლემები არის, მაგრამ ნაციონალების დროშის ქვეშ არავინ აპირებს პროტესტის გამოხატვას. თუ გამოჩნდება ახალი ძალა, რომელიც, შესაძლოა, სულაც არ იყოს პოპულარული, მაგრამ წამოწევს სოციალურ საკითხებს, არაა გამორიცხული, გაჰყვეს მას ხალხი. არ გამოვრიცხავ ამას.

**— პროვოკაციებს მათი მხრიდან გამორიცხავთ?**

— პროვოკაციებს ექნება ადგილი, მაგრამ არა მასშტაბურად. „ნაცმოძრაობა" ვერ მოაგროვებს იმდენ ხალხს, რომ პროვოკაციები ეფექტური იყოს.

დიდი იმედი მაქვს, ჩემი ოპტიმისტური პროგნოზი გამართლდება, თუ არა, ექსპერტობაზე ხელს ვიღებ.



კიდევ ვიმეორებ: საპროტესტო მუხტი არსებობს და თუ ამ ძალას რომელიმე ოპოზიციური გაერთიანება გამოიყენებს, არ არის გამორიცხული, ხალხი ქუჩაში გამოვიდეს. თუმცა არა ახლა. ასე რომ, თუ ხელისუფლება რეფორმებს არ დაიწყებს და პროფესიონალებს არ მოიზიდავს, არეულობა გარდაუვალი იქნება.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

---

არიან. გაიხსენეთ, რა პრეზიდენტები, ლიდერები ყავდა ამერიკელებს, ევროპელებს. ვინ არის ეს ხალხი, მხოლოდ გადარჩენაზე და იმაზე ფიქრობენ თავიანთი შპიონები ვინ სად ჩასვან.

**— ბატონო ნიკუშა, სამართლიანობის აღდგენის იმედით ხალხმა ხელისუფლება შეცვალა. თუმცა, დასაწყისშიც ვახსენე, რომ ამ მხრივ იმედგაცრუებაა.**

— ეს, ძალიან რთული თემაა. ჩემი პოზიციაა, ვინც დანაშაული ჩაიდინა, გასამართლდეს, დაკარგული ქონება პატრონს დაუბრუნდეს, მაგრამ ეს პრობლემატური იქნება იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, ვინც ხალხს ქონებას ართმევდა, კვლავ თავად განიხილავენ ამ საქმეებს. როგორ წარმოგიდგენიათ ეს? მე თუ მკითხავთ, ჯერ პროკურატურაში რეფორმა უნდა ჩაეტარებინათ, საქმეები უნდა განეცალკავებინათ. მაგალითად, ვიცი ადამიანები, რომელთაც მორალური რეაბილიტაცია ყოფნიდათ, მაგრამ დღემდე ვერ მიიღეს. ათასობით ადამიანი ქონების დაბრუნებას ითხოვს, რაც ვერ წარმომიდგენია, ეს ძალიან რთული პროცესი იქნება. მაგრამ აუცილებლად დასაწყები და გასაკეთებელია. ყველამ უნდა შეიგნოს რომ ყაჩაღობით, თანამდებობით არავის არაფერი შერჩება. არცერთ ქვეყანაში თანამდებობა იმის ინდულგენცია არაა, რომ მომავალში რაც მოგინდება გააკეთო, თუ დაგიჭერენ, თურმე პოლიტპატიმარი ხარ. რას ქადაგებენ? — ადამიანი ერთხელ თანამდებობაზე თუ მოხვდა, რაც არ უნდა ჩაიდინოს, შემდეგი ხელისუფლება ამ ნამოქმედარის გამო თუ დააკავებს, იგი პოლიტპატიმარია? ან თავს იშტერებენ, ან შტერები არიან. ნუ ჰგონიათ, რომ რაკი პატარა ქვეყანა ვართ და ბევრმა ინგლისურად ლაპარაკი არ იცის, სამართალს აჯობებენ. აი, იცოდნენ, მარტო გავალ მაგათთან, თან ქართულად დაველაპარაკები, შეიძლება ერთი-ორი სომხური სიტყვაც ვიხმარო. სიბრძნე გვმართებს. ხალხიც დაიბნა, ხან ეუბნებიან ხვალ შვეიცარია გახდებიო, ხან რა და ხან რა, მოდით, რა საქართველო ვიყოთ. სამწუხაროდ, ჩვენი იდენტოაბა, კულტურა, ტრადიცია, ეთნოსი რომ შევინარჩუნოთ და გავმრავლდეთ, ამაზე არავინ საუბრობს. ვიღაცები გამოდიან და წიკვინებენ ბიძინა ივანიშვილი რატომ ერევა ქვეყნის საქმეშიო. სირცხვილი არ აქვთ? ერთი მემილიონედი მაინც გააკეთონ საქმით იმისი, რაც ივანიშვილმა, თავისი რესურსებით, ქვეყანას გაუკეთა.

### დაუსრულებელი მუნიზაცია

პოლიტიკური პარტიები მუნივით არიან, ვეღარ მოვიშორეთ. ახლახან, ძველი არასაპარლამენტო ოპოზიცია კვლავ გაერთიანდა და „ნაციონალებთან" ერთად საარჩევნო კოდექსზე სამსჯელოდ დაჯდა. რა უბედურებაა ეს, რით ვეღარ მოვიშორეთ ეს ხალხი? აღარ გვჯერა, ბატონო, თქვენი, ვნახეთ ვინც ხართ, დაგვეხსენით, გაუხსენით გზა ახალგაზრდობას, იქნებ წესიერი ხალხი გამოჩნდეს, აღარ გვინდიხართ, წადით, ძმაო, სახლებში.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა აიკრძალოს თუ არა „ნაცმოძრაობა" როგორც პოლიტიკური პარტია ისე, როგორც თავის დროზე კომუნისტური პარტია აიკრძალა.**

— ეს იყო ძალადობრივი ავტორიტარული რეჟიმი. პირადად მე, ისინი ნეო-ბოლშევიკებს უფრო მახსენებს, ვიდრე კომუნისტებს. სხვათა შორის, ძალიან ბევრი პუტინის მმართველობას სააკაშვილისას ადარებდა. როგორ მოვიშოროთ? — 2 მილიონი კაცი გარეთ უნდა გამოვიდეს, გადავიღოთ როგორ ვაპანღურებთ ქვეყნიდან და ეს ამერიკის „გოსტ დეპარტამენტს" გავუგზავნოთ. თუ ეს ხელისუფლება ისევ კეკლუცს გააგრძელებს, ბოლოს, ყველაფერი ამით დამთავრდება. ხელისუფლებამ რა ქნას, ეკონომიურადაც რთულ მდგომარეობაში ვართ და სხვა გზა არ აქვთ მათ აზრს ისმენენ. მაგრამ ეს, ქართველი ხალხის გადასაწყვეტია. მეგობრებო, ქართველ ხალხთან გაქვთ საქმე. ხელისუფლებას კი ნუ თხოვთ „ნაცმოძრაობის" შენდობას, დამნაშავეების გაშვებას, არამედ გააცნობიერეთ, რომ ქართველ ხალხთან გაქვთ საქმე.

**—„ნაციონალების" მიერ დაგეგმილ არეულობაში ლომის წილი მასმედიასაც მიუძღვის?**

— „ნაციონალებს" თავისი პროპაგანდის წყარო აქვთ - „რუსთავი-2", ისინი სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილ ნიუსებს გადმოსცემენ. ქართველ ხალხს თავმოყვარეობა რომ გვქონდეს „რუსთავი-2" არხებიდან უნდა გამოვრთოთ და რამდენიც უნდათ იმუშაონ. ხალხმა, მათ, არ უნდა უყუროს იმიტომ, რომ ეს არხი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგაა მიმართული. ჩვენ, იმ რეალობაში უნდა განვვითარდეთ, რაშიც ვართ. ქართველობას ცხოვრებას არ აცლიან. ვილაპარაკოთ, იმაზე თუ როგორ განვვითარდეთ, რა საფრთხეები გვაქვს, როგორ ავარიდოთ თავი, ამის ნაცვლად მთელი დღე ჭამენ ერთმანეთს, დეზერტირების ბაზრის წინ რომ დაეტაკებიან ქალები ერთმანეთს, აი, იმას დაემსგავსა ჩვენი მასმედია.



**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**

გვესაუბრება პოლიტოლოგი **ჰამლეტ ჭიპაშვილი**



# საქართველოს არც ერთ ქვეყანასთან არ აქვს შეზღუდული საბანკო ოპერაციები ირანის გარდა. რატომ?

**— ბატონო ჰამლეტ, წინა ხელისუფლების მიერ ირანთან დადებული ხელშეკრულებები გაუქმდა. აღარ არის უვიზო მიმოსვლა და თავისუფალი ვაჭრობა. რა არის მიზეზი ამ ქვეყანასთან ურთიერთობის გაუარესების და რა შედეგების მომტანი იქნება ეს?**

— დღეს ირანსა და საქართველოს შორის არის გამძაფრებული პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობა.

ხელისუფლებას არასახარბიელო საგარეო პოლიტიკა აქვს და ეს აისახა ირანთან დამოკიდებულებაშიც.

არა მხოლოდ სააკაშვილის, შევარდნაძის პერიოდშიც იყო გაიოლებული ირანთან მიმოსვლა და ამაში გარკვეული წვილილი მეც მაქვს შეტანილი ჩემი საგარეო საქმეთა სამინისტროში მოღვაწეობის პერიოდში. ამან განაპირობა ის, რომ ძალიან დაახლოვდა ეს ორი ქვეყანა. გაიზარდა ირანული ტურიზმი საქართველოში იმ დონემდე, რომ ჩემი მეგობარი, საქართველოს ელჩი ირანში გია ჯანჯღავა შეთანხმდა ქართულ და ირანულ მხარესთან და დაინიშნა ჩარტერული რეისები ბათუმსა და თეირანს შორის. მოაწყდა ირანელი ტურისტები საქართველოს. კვირის განმავლობაში რამდენიმე რეისი იმართებოდა საქართველო-ირანს შორის.

საქართველოში ისე მოიკიდა ფეხი ირანულმა ბიზნესმა, რომ ირანელებმა საქართველოში უძრავ-მოძრავი ქონების შეძენაც დაიწყეს — იყიდეს ბინები, სავაჭრო ობიექტები, ირანული ბიზნესი გაიშალა ნავთობპროდუქტების რეალიზაციასთან დაკავშირებითაც.



თბილისში ამოქმედდა რამდენიმე ირანული ნავთობკომპანია, რომელიც თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებს უზრუნველყოფდა ბიტუმით და ასფალტით. საყურადღებოა, რომ ამ დარგში ირანი ნომერ პირველი მწარმოებელი და რეალიზატორია.

ხშირად შეხვდებით თბილისის ქუჩებში აყრილ ასფალტს და ორმოებს ტრასაზე. ეს იმის ბრალიცაა, რომ ამ კუთხით ბიზნესი ჩაკვდა საქართველოში, არადა, ირანულ მხარეს შემუშავებული ჰქონდა ბიზნესპროექტები, რაც ითვალისწინებდა რამდენიმე მილიარდი ევროს ჩადებას საქართველოს ეკონომიკაში. გათვალისწინებული იყო ბიზნესგეგმები გაზთან და სოფლის მეურნეობის დარგებთან დაკავშირებით. ირანი მზად იყო სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის ჩაედო 3 მლრდ დოლარის ინვესტიცია. საუბარი იყო ბათუმისა და ფოთის პორტების გამოყენებაზე ბიზნესის გაილებისთვის. ირანული მხარე გარკვეული თანხების ჩადებას აპირებდა ამ კუთხით და ა.შ. ამ პროექტების განხორციელებას აპირებდა სააკაშვილი თავისი მმართველობის პერიოდში.

**— რა ინტერესი ჰქონდა სააკაშვილს და მის მთავრობას ასე რომ უხსნიდა ხელ-ფეხს ირანულ ინვესტიციებს საქართველოში? მიშა ამერიკის პოლიტიკური პარტნიორი იყო, ირანი აშშ-ის მოწინაალმდეგე გახლავთ...**

— თუ გახსოვთ სააკაშვილის ერთ-ერთი ბოლო ვიზიტი აშშ-ში. ბევრი ეცადა მაშინ მიშა, მაგრამ არ შეხვდა ბარაკ ობამა. ჩამოვიდა გაწბილებული სააკაშვილი საქართველოში და პირველი, რაც გააკეთა — ირანთან დადო ხელშეკრულება უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აშშ-ი და ისრაელი საქართველოს თავის სტრატეგიულ პარტნიორებად თვლიან, მაგრამ საქმე ისაა, რომ ირანსაც აქვს თავისი ინტერესები საქართველოში. მით უფრო, რომ ირან-საქართველოს ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის.

ახლანდელმა ხელისუფლებამ ამ რეალობის შეცვლა მოინდომა და კანონში ცვლილებები შეიტანა. ირანს, რომელსაც თავისუფალი მიმოსვლა ჰქონდა საქართველოსთან, შეეზღუდა ეს შესაძლებლობები და დაუწესდა მკაცრი რეგულაციები. მიუხედავად ამისა, ირანს არ შეუცვლია თავისი დამოკიდებულებები და საქართველოს მოქალაქეები ნებისმიერ დროს უვიზოდ გადაადგილდებიან ირანის ტერიტორიაზე.

საქართველომ კი, როგორც გითხარით, გაამკაცრა ყოველგვარი დიპლომატიურ-პოლიტიკურ-ფინანსური თუ სხვა სახის ურთიერთობები ირანთან. ამას წინათ რამდენიმე ბანკში სპეციალურად ვიკითხე, რომელ ქვეყნებთან აქვს აკრძალული საქართველოს ბანკებს ოპერაციები-მეთქი. მიპასუხეს, რომ არც ერთ ქვეყანასთან არ არის აკრძალული, ირანის გარდა. გაუქმებულია საჰაერო რეისები.

**— ამიტომაცაა, ჩემი ფერეიდნელი მეგობრები ადრინდელივით ხშირად ველარ გვსტუმრობენ.**

— ირანელი საქართველოში რომ ჩამოვიდეს, ვიზის ასაღებად ჯერ ირანში საქართველოს საელჩოში უნდა მივიდეს. საელჩოში აბსოლუტური უგულებელყოფის და შეურაცხყოფის შემდეგ გარეთ აძევებენ. ეუბნებიან, რომ ყოველგვარი მომართვა ინტერნეტის საშუალებით უნდა განახორციელონ. მოკლედ, ამ პროცედურას სჭირდება ორი-სამი თვე, შემდეგ, რადგან პირდაპირი საჰაერო რეისები არ არსებობს, უნდა წავიდეს დუბაიში, სტამბოლში ან ბაქოში და უნდა ელოდოს საქართველოში მიმავალ თვითმფრინავს. ეს იმ დროს, როცა ირანული მხარე კვლავ სთავაზობს საქართველოს მთავრობას ახალ პროექტებს. ახლახან ირანის ელჩმა საქართველოში წარადგინა პროექტი მტკვრის წყლის შესყიდვასთან და ელექტროენერგიის გაცვლასთან დაკავშირებით. საუბარი აქვთ სოფლის მეურნეობის დარგების აღორძინების პროექტებზე და თბილისის სატრანსპორტო სისტემის რეკონსტრუქცია-განვითარებაზე. ყოველივე ეს 5-6 მლრდ ევროზე გათვლილი პროექტებია. თუმცა ამ პროექტების წარდგენიდან 1 წელიწადი გავიდა, ქართულ მხარეს აბსოლუტურად არავითარი ინიციატივა არ გამოჩენია.



**— რას ფიქრობთ, რატომ მოხდა ასე?**

— დასავლეთს და აშშ-ს არ აწყობთ ირანთან კარგი ურთიერთობები და იმიტომ.

დაახლოებით ერთი თვის წინათ ირანში ვიზიტად დავით უსუფაშვილი იმყოფებოდა. თუმცა არც ამ ვიზიტს მოჰყოლია შედეგები.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა კი განაცხადა, ჩვენი გადაწყვეტილებები ირანთან მიმართებაში ძალიან მოგვიწონა აშშ-მა და ევროკავშირმაო და ისეთი განცხადებები გააკეთა, რომ შეურაცხყოფა მიაყენა ირანს.

შედეგად მივიღეთ ის, რომ საქართველოში ათეული წლებია არსებობს უცხო ქვეყნების საელჩოები და ისეთი მწარე განცხადება, როგორიც ირანის საელჩომ გააკეთა, არც ერთი საელჩოდან არ მსმენია. ირანის საელჩომ დაადანაშაულა იუსტიციის მინისტრი ქსენოფობიაში. თეა წულუკიანი იძულებული გახდა მისულიყო ირანის საელჩოში.

ირანის საელჩომ მაშინ განაცხადა, რომ 80 მლნ-იანი ირანი არავის აპატიებს შეურაცხყოფას.

ეს ის ქვეყანაა, რომელმაც დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ცნო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა და დღემდე მხარს უჭერს საქართველოს ევროსტრუქტურებში გაწევრიანებისთვის. ეს არის ძალიან დიდი მხარდაჭერა ირანის მხრიდან. მიუხედავად ამისა, ქართულმა მხარემ შეურაცხყო ირანი. შედეგად, მივიღეთ ამ ქვეყანასთან გაუარესებული ურთიერთობები, დავკარგეთ ეკონომიკური მოგება, ტურიზმი და ა.შ.

**— ეს კი არა, ბატონო ჰამლეტ, უახლოეს ხანში აჭარის რეგიონის დაკარგვას ვარაუდობენ — ყარსის ხელშეკრულების ვადა იწურებაო.**

— თქვენ ეს ხელშეკრულება ნანახი გაქვთ?

მე დეტალურად ვარ გაცნობილი და არსად არ არის მინიშნებული თარიღი. მცდარია აზრი, თითქოს ყარსის ხელშეკრულების ვადა გასდის და აჭარის რეგიონი თურქეთს გადაეცემა. იმ ხელშეკრულებაში არსად არ არის მითითებული, რომ შეთანხმება დადებულია 100 წლის ვადით. ეს გახლავთ უვადო ხელშეკრულება, რომელიც მუდმივად მოქმედებს.

ამას წინათ შეშფოთებულებმა მკითხეს: რაკი 100 წელი გადის და ყარსის ხელშეკრულებას ვადა ეწურება, არ შეიძლება ამ ხელშეკრულების ვალდებულებებისგან ცალმხრივად თავი დავიხსნათო? ცხადია, ეს ძალიან დილეტანტური შეკითხვა იყო, თუმცა მაშინვე გავეცი პასუხი და თქვენი გაზეთის მკითხველებსაც მინდა ვუთხრა: ამ ხელშეკრულებას ხელს აწერს საბჭოთა აზერბაიჯანი, საბჭოთა სომხეთი, თურქეთი, საქართველო და ხელმოწერას ესწრება რუსეთის წარმომადგენელი.

შევარდნაძე საქართველოში რომ დაბრუნდა 1994 წელს პარლამენტის სხდომაზე გავიდა საკითხი სარატიფიკაციოდ საქართველო-თურქეთის ჩარჩო-ხელშეკრულების თაობაზე. ხელშეკრულების ტექსტი თურქეთში შეადგინეს. ხელშეკრულების პრეამბულაში მითითებულია, რომ ეს ხელშეკრულება ეფუძნება ყარსის შეთანხმებას და ითვალისწინებს ყველა ხელშეკრულებას, რომელიც ოდესმე დადებულა საქართველოსა და თურქეთს შორის. შევარდნაძის დროს მიღებული ეს ხელშეკრულება სათაო ხელშეკრულებად იქცა, რომელიც რატიფიცირებული იქნა ამ ორი ქვეყნის პარლამენტების მიერ. ვინაიდან ჩვენ ვაღიარებთ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის უპირატესობას, რაც უნდა ვადა გასდიოდეს ყარსის ხელშეკრულებას, იგი გამყარებულია ახალი ხელშეკრულებით, რომელიც შევარდნაძის პერიოდში დაიდო.

ჟურნალისტები ამ თემას რომ ატრიალებენ, არ იციან, რომ არსებობს შევარდნაძის პერიოდის ხელშეკრულება, რომელიც ამყარებს ყარსის ხელშეკრულებას და მის პირობებს.

თქვენ წარმოიდგინეთ, ყარსის ხელშეკრულების ხანდაზმულობაზე სოსო ცინცაძეც ლაპარაკობს. მას თუ დავუჯერებთ, დროში ხელშეკრულებებს ყავლი და მნიშვნელობა გასდის. დროის კი არა, სისტემების ცვლილებების მიხედვით იცვლება მიდგომები!

როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, მისი მემკვიდრე რუსეთი გახდა და რუსეთს მოუწია სასამართლოებით დაკისრებული ჯარიმების გადახდა.

ანუ იმის თქმა მინდა, რომ ხელშეკრულებებს სამარადისოდ აქვს ვადა და ის იცვლება, თუკი დაიდო ახალი ხელშეკრულება ძველის საფუძველზე.



**ირანდა კალანდაძე**

**593 56 11 18**

# საუკუნის ძარცვა, ანუ ენერგომაფია და ქართული ენერგეტიკის „რუხი კარდინალები“

ყველას მწარედ გვახსოვს 90-იანი წლების ჩაბნელებული საქართველო, მათ შორის დედაქალაქიც. საგულისხმოა ერთი გარემოება, კანონიერი ხელისუფლების გადაგდებას, რატომღაც მაშინვე მოყვა საქართველოს ჩაბნელება, თუმცა ხსენებულთან დაკავშირებით მიზეზების ძიება შორს წაგვიყვანს. მაშინდელმა ხელისუფლებამ ერთადერთ გამოსავლად ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის კერძო სექტორისთვის მართვაში გადაცემა ჩათვალა, სწორედ ამ მიზნით შემოიყვანეს 90-იანი წლების ბოლოს ამერიკული კომპანია „ეიიესი“. ხსენებულმა კომპანიამ მართლაც ჩადო გარკვეული ინვესტიციები, რაც ელექტროენერგიის ტარიფში აისახა და დენი გაძვირდა. რაც შეეხება ჩეხურ „ენერგო პროს“, რომელიც 2006 წელს შემოვიდა ქართულ ენერგობაზარზე, ყოველგვარი ინვესტიციის ჩადების გარეშე გაუზარდეს განაწილების სატარიფო მარჟა. თუ ამგვარი შეღავათი უნდა დაეწესებინათ, მაშინ რაღა საჭირო იყო უცხოური, თანაც საეჭვო წარმომავლობის კომპანიის შემოყვანა, ამ პირობებში ნებისმიერი ადგილობრივი კომპანია მოახერხებდა მუშაობას, მით უმეტეს, რომ გამანაწილებელი კომპანიების რიცხვი არცთუ ისე მცირე იყო. ინვესტორი ფაქტობრივად საქართველოს მოსახლეობა გამოვიდა, „ენერგოპრომ“ ჩვენგან აიღო სესხი და ინვესტორი დაირქვა. რა ინვესტორია, თუკი წინასწარ მისცეს ტარიფზე მარჟა, კითხულობენ დარგის სპეციალისტები. როგორც ჩანს, საქართველოს იმ დროინდელი ხელისუფლებებისთვის გაურკვეველი იყო ინვესტიციის არსი, რაც გულისხმობს კაპიტალდაბანდებას, მოგების მიღების მიზნით, ანუ ჯერ უნდა დააბანდო ფინანსები და მერე მიიღო მოგება, „ენერგოპრომ“ კი პირდაპირ მოგებით დაიწყო „მოღვაწეობა“ საქართველოში. ერთი სიტყვით გვითხრა, წინასწარ მომეცით ფული, ნაწილს საქმეს მოვახმარ, ნაწილს კი ჯიბეში



ჩავიდებო, რაც გახლდათ მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ნოუ-ჰაუ, რასაც, ბუნებრივია, თავისი მიზეზები ექნებოდა. თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე სტატია რამდენიმე კომპეტენტურ წყაროზე დაყრდნობით მომზადდა და გამორიცხული არ არის მათი მოსაზრებები სრულად არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

სჯობს მოვლენებს ქრონოლოგიურად მივყვეთ. მოგეხსენებათ, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც საქართველოში ერთიანი ენერგოსისტემა მოქმედებდა „საქენერგოს“ სახით, საქართველოს კონსტიტუციაშიცაა მითითებული, რომ ქვეყნის ენერგოსისტემა ერთიანია, ეს მუხლი არავის შეუცვლია და ფაქტობრივად დღესაც მოქმედებს. ერთიანი ენერგოსისტემა იყოფა ოთხ საფეხურად, რაც იწყება გენერაციით, ანუ ელექტროენერგიის წარმოება, გვაქვს ჰიდროენერგია, რომელსაც ჰიდროელექტროსადგურები გამოიმუშავებს, ასევე გვაქვს თბოელექტროსადგურებიც. ყველა ეს ელექტროსადგურები სახელმწიფო მფლობელობაში იყო, თუმცა ენგურჰესის გარდა, ახლა ყველა გასხვისებულია. ეს ჰესი ნაწილობრივ აფხაზებსაც რომ არ ეკუთვნოდეთ, უკვე დიდი ხნის გაყიდული იქნებოდა. მეორე საფეხურია ელექტროგადაცემა-ტრანსპორტირება, გამომუშავებულ ელექტროენერგიას ცხადია, ტრანსპორტირება ჭირდება, რასაც ელექტროსისტემის გადამცემი ხაზები ახორციელებს, შემდგომი საფეხურია დისპეტჩერიზაცია, ანუ ძაბვების და სხვა პარამეტრების რეგულირება და ბოლოს მისი მომხმარებლისთვის მიწოდება, ე.ი. განაწილება. 1996 წლისთვის დაიწყო ერთიანი ენერგოსისტემის მარტივ მამრავლებად დაშლა, რაც მსოფლიო ბანკის მოთხოვნა გახლდათ, თურმე არ შეიძლებოდა ერთიანი სისტემის არსებობა და ის საფეხურებად უნდა დაშლილიყო. „საქენერგოს“ ჯერ გენერაცია გამოეყო, შემდეგ გადაცემა და დისპეტჩერიზაცია, თავიდან ეს ორი სფერო ცალ-ცალკე იყო, თუმცა იმავე მსოფლიო ბანკის მოთხოვნით, მალევე გაერთიანდა და საქართველოს ენერგოსისტემას (ყოფილი „საქენერგო“) დაექვემდებარა, გამოეყო გამანაწილებელი სისტემაც. 1997 წელს გამანაწილებელი კომპანიები ცალკე იყო, „თელასი“ (ნიკო ლეკიშვილის მერობის დროს) დედაქალაქის მუნიციპალიტეტს დაექვემდებარა, პარალელურად რესპუბლიკის ყველა რაიონში შეიქმნა გამანაწილებელი კომპანიები, რომლებიც ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში გადავიდა, სწორედ აქედან დაიწყო ენერგეტიკის სფეროში ქაოსი, რადგან თანხები აღარ შედიოდა. დავუშვათ „თელასი“ მომხმარებლისგან თანხებს რომ იღებდა, ეს უნდა გადაერიცხა ენერგოსისტემითვის, რომელიც გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის თანხას თავისთან იტოვებდა, დანარჩენი თანხა კი ელექტროენერგიის მწარმოებლისთვის, ანუ გენერაციისთვის უნდა გადაეცა. ამ პერიოდიდან იწყება გენერაციის ობიექტებში მომუშავეთა ხელფასების „გაყინვა“, ხალხი თვეობით ვერ იღებდა ხელფასს, დაგროვდა უამრავი ვალი, რაც მოგვიანებით, პრივატიზაციის წინ „თელასს“ ჩამოაწერეს. ფაქტობრივად გენერაციის ობიექტები ერთ თეთრსაც ვერ იღებდნენ და რატომ. მართალია ხდებოდა ელექტროენერგიის დატაცება, მაგრამ იგივე „თელასი“ მომხმარებლისგან რასაც იღებდა, ჯერ თავისთვის იტოვებდა რაც ჭირდებოდა, მორჩენილ თანხას „საქენერგოს“ ურიცხავდა,



ისიც თავისას იტოვებდა და თუ რაიმე მორჩებოდა, იმას ურიცხავდა გენერაციას. უკეთეს შემთხვევაში სამ თვეში ერთხელ რიგდებოდა გენერაციის ობიეტებში ხელფასები, ერთი სიტყვით, იყო გაუსაძლისი პირობები.

მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით, 1999 წელს შექმნეს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, რამდენად იყო მისი შექმნის საჭიროება, ეს კიდევ სხვა საკითხია. ფაქტია, რომ არ გაამართლა და მოგვიანებით ისიც გააუქმეს. საბითუმო ბაზრის შექმნის მთავარი მიზეზი, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დაბალი დონე გამხდარა. საბითუმო ბაზარზე უნდა შესულიყო ამოღებული თანხები და მას უნდა გაენაწილებინა, ვითომ გადახდის გარანტირებული საშუალება უნდა ყოფილიყო და შემოსული თანხა ყველა მწარმოებელზე პროპორციულად უნდა გადაენაწილებინა, თუ მოხმარეული ელექტოენერგიის ღირებულების 20%-ს ამოიღებდნენ, გენერაციის ყველა ობიექტს 20% უნდა მიეღო. საბითუმო ბაზრის პირველი დირექტორი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ივერი შალამბერიძე გახლდათ, რომელიც ცოტა ხანში დაიჭირეს. მერე ამ პოსტზე ნუგზარ საჯაიას პროტეჟე დავით ჯიბღაშვილი დანიშნეს, რომელმაც სხვადასხვა მიზეზების გამო, თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას, კომპეტენტური წყაროს განცხადებით, იმ პერიოდში უამრავი ფული შეიჭამა, რაშიც მარტო ჯიბღაშვილს არ მიუძღვის თურმე „წვლილი“ და შესაბამისად დიდი დავალიანება დაგროვდა. საბითუმო ბაზარი ნაციონალების მმართველობისას გაუქმებულა და შექმნეს ენერგოსისტემის კომერციული ოპერატორი. დაგროვილი ვალები ჩამოწერეს, მავანთ ხახვივით შერჩათ მწარმოებელთაგან საბითუმო ბაზრისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასური დაახლოებით 800 მილიონი დოლარი, გენერაციის ობიექტებმა ამ თანხიდან ერთი თეთრიც ვერ მიიღეს. ვალი ჩამოაწერეს არა მარტო საბითუმო ბაზარს, არამედ გამანაწილებელ კომპანიებსაც, ძირითადად „თელასს“, რომლის პრივატიზაციაც იმავე პერიოდში მოხდა, კონტრაქტს 1998 წლის 31 დეკემბერს მოეწერა და ამერიკულმა კომპანიამ მეორე დღიდან დაიწყო ოპერირება. დარგის სპეციალისტთა განცხადებით, დედაქალაქის გამანაწილებელი სისტემა ერთი ქვესადგურის ფასად მიყიდეს ამერიკელებს, რომელთაც მართალია გარკვეული ინვესტიციები (მათი მტკიცებით 200 მილიონი დოლარი) ჩადეს, მაგრამ ამ კუთხითაც ბევრი რამ ყოფილა საკამათო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინვესტიცია კაპიტალდაბანდებაა, ამერიკულ მხარესთან გაფორმებულ კონტრაქტში ჩაიდო მუხლი, რომ ნებისმიერი კაპიტალბრუნვა (იქ იყო



14 gv.

13 gv.

ჩამონათვალი) ინვესტიციად უნდა ჩაითავალოსო. მოგეხსენებათ იმ პერიოდში დენი არ იყო. ხსენებული ჩანაწერის ინტერპრეტაციით, „ეიიეს თელასმა“ დავუშვათ ჩადო 10 მილიონი დოლარი, საიდანაც ნახევარი თანხით სომხეთში იყიდა ელექტროენერგია და თბილისელებზე გაყიდა, მომხმარებლისგან ხომ ამოიღო თანხა, ეს კაპიტალბრუნვაც ინვესტიციად ჩათვალა, მაგრამ ამ კომპანიამ „ენერგოპროსგან“ განსხვავებით, გარკვეული ინვესტიცია მაინც ჩადო, რაც შემდგომში ტარიფში აისახა.

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ რეგიონებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა რაიონ-



ში ჩამოყალიბდა გამანაწილებელი კომპანია, რომლებიც მუნიციპალურ დაქვემდებარებაში იყო, ანუ ისინი აღარ ექვემდებარებოდნენ ცენტრალურ დისპეტჩერიზაციას, მართალია რეგიონებში ხშირად არ იყო შუქი, მაგრამ რასაც მოიხმარდნენ, იმის საფასური ადგილზე ილექებოდა, აღარ მიდიოდა ენერგოსისტემაში მითუმეტეს ელექტროენერგიის მწარმოებლებთან. მერე მოხდა ხსენებული გამანაწილებლების სამხარეო ნიშნით გაერთიანება (სავარაუდოდ 2000 წელს), ანუ გუბერნიების დონეზე, თუმცა არც ამან გაამართლა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით, 2002 წელს შეიქმნა „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია, რომლის დირექტორდაც გიორგი ადეიშვილი დაუნიშნავთ (შევარდნაძის მმართველობის დროინდელი ტრანსპორტის მინისტრის მერაბ ადეიშვილის ძმა), რომელიც მოგვიანებით ამერიკული იუესაიდის შეფმა დინ უაითმა ჩაანაცვლა. საქმე იმაშია, რომ გარდა რაიონების მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული გამანაწილებელი კომპანიებისა, იმ პერიოდში ფუნქციონირებდა კერძო კომპანიებიც, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა ელექტრომომარაგება. ამ საწარმოთა ნაწილს, მაშინ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიისთვის (სემე-

# საუკუნის ძარცვა, ანუ ენერგომაფია და ქართული ენერგეტიკის „რუხი კარდინალები“

კი) მიუმართავთ და მიუღიათ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია, 2003 წლის მონაცემებით ამგვარ ლიცენზიანტთა რაოდენობა 18-ზე მეტი ყოფილა, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში მოქმედი ყველა რაიონული გამანაწილებელი საწარმო გაერთიანებული იყო სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში“ (სგსე). წყაროს განცხადებით, მავან ჩინოვნიკთა აქტიური ლობირებით 2001 წლიდან დაიწყო სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ენერგეტიკული საწარმოების იძულებითი გამსხვილება, რაც 2002 წელს დასრულდა, ანუ იმ დროს, როცა რეგიონალური პრინციპით შექმნილი ელექტროგამანაწილებელი კომპანიები ზემოხსენებულ სადისტრიბუციო კომპანიაში გაერთიანდნენ, რომელიც მალევე სამართავად გადაეცა კომპანია „პიეი კონსალტინგს“ (ხსენებული დინ უაითი ამ კომპანიის შეფიც გახლდათ). ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ შეცვალა სადისტრიბუციო კომპანიის ხელმძღვანელობა და კონსულტირების მიზნით სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე“ დაიქირავა, ხოლო ფინანსურ საკითხებში მთავარი კონსულტანტი ზურაბ ნოღაიდელი გახდა, ნოღაიდელი ამ პერიოდში უკვე აღარ იკავებდა ფინანსთა მინისტრის პოსტს, მაგრამ, როგორც ჩანს, გავლენები არ



შესუსტებია. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კახა დამენიამ ეკონომიკის მინისტრის მოადგილის პოსტი დაიკავა, ზურაბ ვარშალომიძე აჭარის „შეფი“ გახდა, გიორგი ქავთარაძეს იუსტიციის მინისტრობა უბოძეს, რაც შეეხება ნოღაიდელს, იგი ჯერ განმეორებით გახდა ფინანსთა მინისტრი, ხოლო პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ მის თანამდებობასაც გამოკრა ხელი. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება, ანუ შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდანვე, სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ხელშეწყობა ამ კომპანიის მიმართ, არავითარი კონტროლი არ ხდებოდა, საგადასახადო სამსახური იქ ცხვირს ვერ შეყოფდა, როგორ განკარგავდნენ თანხებს არავინ იცის, ამ უკონტროლობის გამო უამრავი ვალები დაუგროვდათ, თუმცა მათი ანგარიშებისთვის ყადაღა არასდროს დაუდიათ, გენერაციის ობიექტებს, გადაცემასა და დისპეტჩერიზაციას ფულს არ უხდიდნენ და ვალებიც იმიტომ დაუგროვდათ. სხვათა შორის, ენერგეტიკის მინისტრის დღევანდელი მოადგილე ილია ელოშვილი, სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის დროინდელი მოადგილე წკრიალაშვილიც ხსენებულ კომპანიაში მუშაობდნენ, მაგრამ მთავარი იდეოლოგი ზურაბ ნოღაიდელი იყო.

წყაროს ინფორმაციით, გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიამ შექმნისთანავე დაიწყო პერმანენტული შეტევები კერძო ელექტროგამანაწილებელ კომპანიებზე, რასაც მასიური და სისტემური სახე 2004 წელს მიუღია, საქმეში მედიაც ჩაერთო, რომელიც არ არის გამორიცხული, რომ მიზანმიმართულად ეწეოდა ხსენებული კომპანიების დისკრედიტაციას, ბრალს სდებდა ელექტროენერგიის დატაცებაში და მრავალ სხვა დანაშაულში, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები ბუნებაში არ არსებობდა. მათ ახალი სახელიც მოუგონეს, მცირე ლიცენზიატები შეარქვესო. საბოლოოდ ეს კამპანია იმით დამთავრდა, რომ სემეკმა 2004 წლის 23 ივნისს ერთდროულად 21 ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია გააუქმა. ჩვენი მეორე რესპონდენტის განცხადებით, ამ კომპანიათა უმრავლესობა მართლაც არ იმსახურებდა ლიცენზიას, ერთ სოფელს რომ მოამარაგებს ელექტროენერგიით, ან ერთ კაბელს რომ გადაჭიმავს მომხმარებლამდე, ეს არ ნიშნავს, რომ გამანაწილებელი კომპანიაა და ლიცენზიას უნდა ფლობდეს, თუმცა რამდენიმეს მართლაც ჰქონდა გამანაწილებელი ქსელი, რომელიც ყველა პირობას აკმაყოფილებდა. მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ამ პატარა კომპანიების მომხმარებლები კარგი გადამხდელები იყვნენ, მათ 100%-იანი ამოღება ჰქონდათ, არც ვალი ედებოდათ, ასე ვთქვათ, ცუდი გადამხდელები სადისტრიბუციო კომპანიას შერჩა, რომელსაც 20%-იანი ამოღება ჰქონდა და გენერაციის ობიექტებამდე თანხა ვერ აღწევდა. ეს დისონანსი რომ მოესპოთ, წამოიწყეს ლიცენზიების გაუქმების კამპანია, დენს იპარავენო და ა.შ, ერთი სიტყვით, აქლემის ქურდობაც მათ დააბრალეს. კომპანიათა ნაწილმა სემეკის ხსენებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა, ექვსმა მათგანმა დაიბრუნა ლიცენზია და 2005 წლის ბოლოსთვის დაახლოებით 14 ლიცენზიატი იყო. ნოღაიდელი რისი ნოღაიდელი იქნებოდა, რომ ვინმესთვის რაიმე დაეთმო, მით უმეტეს, რომ უკვე პრემიერ-მინისტრი გახლდათ, მის პროტეჟე სადისტრიბუციო კომპანიას, რომელიც მოგვიანებით ასევე მის ფავორიტ „ენერგო პროს“ თითქმის მუქთად გადაულოცეს, ყველანაირად აუნთო „მწვანე შუქი“ და მთლად ხელშეუხებლის რანგში აიყვანეს. ამ პერიოდში ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ბრძანდებოდა, რომელიც თურმე ერთი პერიოდი ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარშიც მუშაობდა. ენერგეტიკის სფეროში მისი „განსწავლულობის“ შესახებ მაშინ ლეგენდები ვრცელდებოდა. გაცილებით ჭკვიანი იყო ალექსანდრე ხეთაგური, სწორედ ამის გამო დანიშნეს გილაურის პირველ მოადგილედ, თორემ ხეთაგურს „პატრონი“ არავინ ყოლია. გილაურს ერქვა მინისტრი, თორემ ყველაფერს ხეთაგური აკეთებდა, რასაც გილაური იბრალებდა, რეფორმატორის იმიჯს იქმნიდაო. წყარო ერთ კურიოზსაც იხსენებს, რომელიღაცა უცხოურ შეხვედრაზე გილაურმა ისეთი სისულელე წამოროშა, თარჯიმანი ეგონათ და დარბაზიდან გამოაგდესო. 2006 წელს საქართველოს კანონში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი აირის შესახებ“ შეტანილი ცვლილებების მეშვეობით, ელექტროენერგეტიკის სექტორში სისტემური ცვლილებები განხორციელდა. პარალელურად ენერგეტიკის სამინისტროს უფლებამოსილება მიენიჭა, რომ ელექტროენერგიის განაწილების მინიმალური ზღვარი დაედგინა, წყაროს განცხადებით, ხსენებულმა უწყებამ ამ ყველაფრით ბოროტად ისარგებლა და განაწილების მინიმალურ ზღვრად 120 მილიონი კვტ.სთ დაადგინა. ასეთმა მაღალი ოდენობის მინიმალურმა ზღვარმა, ქვეყანაში თითზე ჩამოსათვლელი ლიცენზიატები დატოვა, სს „თელასი“, სს „საქართველოს გაერთიანებული ენერგოდისტრიბუცია“, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ და შპს „აჭარის ენერგოკომპანია“, მიუხედავად იმისა, რომ იყო კომპანია, რომელიც ყველა



პირობას აკმაყოფილებდა, მათ შორის მინიმალურ ზღვართან დაკავშირებითაც (ეს რაც დაზუსტებით ვიცით, შეიძლება ასეთი სხვებიც იყო), ენერგეტიკის სამინისტროს გადაწყვეტილებით ლიცენზია მაინც გაუუქმეს. „საერთო გაზეთის“ ინფორმაციით, ლიცენზიის გაუქმების უფლებამოსილ ორგანოს, ანუ სემეკს ამ შემთხვევაში მხოლოდ ნოტარიუსის ფუნქცია დაუტოვეს. სემეკის ხსენებული „გადაწყვეტილებით“ ლიცენზია ჩამოართვეს ისეთ გამანაწილებელ საწარმოებს, როგორიცაა ფოთის პორტი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, „აზოტი“, საქაერონავიგაცია და ა.შ. რა გახდა ენერგეტიკის სამინისტროს მხრიდან ასეთი მაღალი მინიმალური ზღვრის დაწესების მიზეზი, მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია, ფაქტი ერთია, რომ ამ „ნოვაციამ“ სხვა სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობის უფლე-

ბა რესპოდენტთა თქმით, უკანონოდ შეზღუდა, ელექტროენერგეტიკულ ბალანსში ხსენებულთა მიერ განაწილების ოდენობა 3-5%-ს არ აღემატებოდა, მაგრამ მათთვის ეს მცირედიც ვერ გაიმეტეს „ნოღაიდელმა და კომპანიამ“.

საბოლოო ჯამში, როდესაც გაერთიენებული ენერგოდისტრიბუციისა და შპს „აჭარის ენერგოკომპანიის“ აქტივების გასხვისება განხორციელდა, ქვეყანაში დარჩა სამი გამანაწილებელი კომპანია, „თელასი“, სს „ენერგოპრო-ჯორჯია“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“, რამაც ამ სფეროში პრაქტიკულად მონოპოლიური მდგომარეობა შექმნა. მონოპოლიური მდგომარეობის შედეგია ელექტროენერგიის დაუსაბუთებლად გაზრდილი ტარიფი და ზრდის ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. ჩვენ ახლა დენის გაძვირების პრობლემის წინაშე ვდგავართ იმ მემორანდუმის საფუძველზე, რომელიც 2007 წლის ივნისში „თელასის“ რუსულ „ინტერ რაოესსა“ და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმდა, მემორანდუმს ხელს აწერენ „რაოს“ წარმომადგენელი რაპოპორტი და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი. კვალიფიციურ იურისტთა განცხადებით, მემორანდუმთან დაკავშირებით პრემიერმა ნოღაიდელმა იმ მასშტაბის დარღვევა ჩაიდინა, რის გამოც ნორმალურ სახელმწიფოში მისი იმპიჩმენტის საკითხი დადგებოდა, რადგან მემორანდუმი არ არის სავალდებულო ხასიათის, იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, იგი წინა სახელშეკრულებო ეტაპია, საქართველოს მთავრობამ მემორანდუმის საფარქვეშ კანონზე მაღალი ნორმები ჩადო, რომლის პრეროგატივაც პრემიერ-მინისტრს არ გააჩნდა. ასე რომ, მემორანდუმის სახელდარქმეული დოკუმენტი, დანაშაულებრივი დოკუმენტი ყოფილა. გასაღებული დედაქალაქის მოსახლეობისთვის დენის ტარიფი 2007 წლის ბოლოდან უნდა შემცირებულიყო, თუმცა ბატონმა ნოღაიდელმა სემეკის ფუნქცია იტვირთა და „თელასს“ ტარიფი 2015 წლამდე დაუწესა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დამოუკიდებელ მარეგულირებელს, ანუ სემეკს ნაცრეჟიმის დროს მხოლოდ ნოტარიუსის ფუნქცია ჰქონდა. ნოღაიდელის მთავრობამ ხსენებული მემორანდუმის ფარგლებში ასე „გაგვახარა“, 2015 წლის 1 სექტემბრამდე „თელასი“ დენს აღარ გაგიძვირებთო. თურმე სულ ტყუილად გვიხაროდა, რადგან მემორანდუმში მითითებულია, რომ ტარიფის გადახედვა (რა თქმა უნდა ზრდა, თორემ კლებაზე საუბარი ოცნების სფეროა) მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პირველი – ინფლაცია 10%-ს გადააჭარბებს და მეორე – ლარის კურსი დოლართან მიმართებაში ასევე 10%-ით შეიცვლება.

დღეის მდგომარეობით, ეს ორივე ნელი მოქმედების ნაღმი ასაფეთქებლადაა გამზადებული. რუსულ კომპანიასთან ზემო ხსენებული გარიგების დადება ჩვენი მთავრობის სიბრიყვით მოხდა თუ შეგნებულად, მომხმარებლისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ეს სამართალდამცავებმა უნდა გაარკვიონ, რისკენაც ჯერ კიდევ 2007 წელს მოუწოდებდნენ ჟურნალისტები, თუმცა უშედეგოდ. სააკაშვილის პროკურატურა რომ ყურს არ გააბარტყუნებდა გასაგებია, მაგრამ დღევანდელ მთავრობას რა უშლის ხელს? ერთი სიტყვით, „მაოხრებელი გზირის“ სტატუსი მარტო პრეზიდენტყოფილ საკაშვილს კი არა, როგორც ჩანს ექსპრემიერ ნოღაიდელსაც დაუნანებლად ეკუთვნის. ავ ენებს თუ დავუჯერებთ, სადაც რა თქმა უნდა ჩემი კოლეგა ჟურნალისტებიც იგულისხმებიან, დიდი ზარზეიმით შემოყვანილი, გაურკვეველი წარმომავლობის „ენერგოპროს“ უკან სწორედ ნოღაიდელი იდგა. რა პრინციპით მიანიჭეს უპირატესობა ამ კომპანიას ეს ალბათ მხოლოდ ნოღაიდელმა და მისმა მაშინდელმა ზემდგომმა იციან, რადგან, როგორც „ჭორიკანა“ ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ნოღაიდელის ფავორიტს ხეირიანად ჩეხეთშიც კი არ იცნობდნენ, რომელიღაც მიყრუებულ სოფელში ჰქონია ძალზე მოკრძალებული ოფისი. იმ პერიოდში, ანუ 2006 წელს ენერგოსექტორში გამოჩნდა და მუქთად ჩაიგდო ხელში ქართული ენერგოაქტივები, ავსტრიული კომპანიაც იყო შემოსული, რომელიც გაცილებით უკეთეს პირობებს გვთავაზობდა, აქტივებშიც მეტ თანხას იხდიდა და ინვესტიციასაც უფრო მეტს ჩადებდა, მაგრამ უპირატესობა მაინც ე.წ. ჩეხურ კომპანიას მიანიჭეს, რაც ცხადია, სერიოზული ეჭვის საფუძველს იძლევა. მოგვიანებით ნოღაიდელი სააკაშვილის კარის სხვა უფრო გავლენიანმა ფიგურებმა ჩააჩოჩეს ენერგოსექტორის „ქერის ორმოდან“, რასაც ბატონი ზურაბის გაოპოზიციონერება მოყვა, „ენერგოპროდან“ მისი კადრებიც დაითხოვეს, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ნოღაიდელი სფინქსივით აღსდგა, კვლავ დიდი გავლენებით სარგებლობს ქართულ ენერგოსივრცეში და, როგორც ამბობენ, „ენერგოპრო ჯორჯიას“ მართვაშიც აქტიურად ერევაო.



სანამ ჩეხური „ენერგოპროს“ საქართველოში გადმოპორტირებასა და მისთვის სასათბურე პირობების შექმნაზე უფრო ფართოდ ვისაუბრებდეთ, დედაქალაქელთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დენის ტარიფის თემას დავუბრუნდეთ. 2008 წელს დასრულდა „თელასის“ მფლობელ ამერიკულ კომპანიასთან დადებული კონტრაქტისა და და ინვესტიციების ამოღების ვადა. 1998-დან 2007 წლამდე „ეიიეს“-ის სამომხმარებლო ტარიფში გათვალისწინებული იყო „თელასის“ მიერ გაწეული კაპიტალური დანახარჯების კომპონენტი, რომელიც „თელასის“ შემდგომი გასხვისების შემდეგ „რაოესის“ ტარიფშიც გადავიდა. როგორც უკვე ავღნიშნეთ 2007 წლის ბოლოდან დენის ფასი უნდა შემცირებულიყო, თუმცა ნოღაიდელის ასე ვთქვათ, ინიციატივით ტარიფი აღარ შემცირებულა. ჭარბი ინვესტიციის ტარიფის კომპონენტი, რომელიც „სულგრძელად“ გადაულოცეს რუსულ „რაოესს“ დაახლოებით 4 თეთრია, ანუ დედაქალაქში მცხოვრებნი ყოველ მოხმარებულ კილოვატ ენერგიაზე ხსენებულ თანხას ზედმეტად ვიხდით. ჩვენ დავინტერესდით, დღესაც თუ მოქმედებს ეს კომპონენტი, კარგად ინფორმირებული წყაროს განცხადებით, კომპონენტი, რომელიც ჯერ კიდევ 7-8 წლის წინ უნდა ამოეღოთ ტარიფიდან, დღემდე არავის გაუუქმებია, „თელასის“, ანუ გამანაწილებლის მარჟა სწორედ ამ კომპონენტის წყალობით შეადგენს 8 თეთრს. ამას ჰქვია მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, დარღვევა მონოპოლიური მდგომარეობა კი არა, ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებააო. იმ ავადსახსენებელი მემორანდუმის თანახმად, „თელასს“ ვალდებულება აუღია, რომ ჭარბი ინვესტიციის თანხით თითქოსდა ასმეგავატიანი ელექტროსადგური უნდა აეშენებინა, თუმცა ეს ვალდებულება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, რაც მოგვიანებით ნაციონალებს „თელასის“ ხელმძღვანელობასთან სარფიანად ვაჭრობისთვის გამოუყენებიათ. ალექსანდრე ხეთაგურის ენერგეტიკის მინისტრობის დროს დადებული მემორანდუმის თანახმად კი დენის ტარიფის შემცირებაზე 2025 წლამდე არც უნდა ვიოცნებოთ, პირიქით, როგორც გითხარით, გაძვირების საშიშროების წინაშე ვდგავართ, რადგან ამის შანსი თავად საქართველოს მთავრობამ მისცა რუსულ ენერგოკომპანიას.




პროფესიონალ ენერგეტიკოსთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს ე.წ. არაგამჭოლი ტარიფიც, რასაც მსოფლიოში ანალოგი არ ჰქონია. ნაციონალი „ენერგომამები“ თავს იმით იმართლებდნენ, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მოქმედებს საფეხუროვანი ტარიფი, ვინც მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს ფასსაც მეტს იხდისო. არსებული წესი, რომ საბითუმო ფასი საცალოზე გაცილებით ნაკლებია, ელექტროენერგიაზე არ ვრცელდება, რასაც გამართლება ჰქონია, რასაც ძნელია არ დაეთანხმო. რიგითი, მით უმეტეს ეკონომიურად შეჭირვებული და მსხვილი საწარმოები ელექტროენერგიის ერთნაირ საფასურს არ უნდა იხდიდნენ, მეტი კომფორტის მსურველმაც კეთილი ინებოს და მეტი გადაიხადოს. საქართველოში ყველა მომხმარებელი რომ 300 კვტ/სთ-ს ფარგლებში მოიხმარდეს დენს, ჩვენი ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავებული ელექტროენერგია გვეყოფოდა, აღარ დაგვჭირდებოდა თბოელექტროსადგურები და დენიც იაფი იქნებოდა. გარდა ამისა, ელექტროენერგიის გამოსამუშავებელი რესურსები მაინც ამოწურვადია, ამიტომ წამყვან ქვეყნებში ისეთი ტექნოლოგიების დანერგვას აძლევენ სტიმულს, რომელიც ნაკლებ ენერგიას მოიხმარს. დღესაც კი მსოფლიოს მესამედი არ არის ელექტროფიცირებული, აფრიკის ქვეყნების მცხოვრებთა ნახევარზე მეტმა არ იცის ელექტროდენი, კომუნისტებს რომ არ დაეტოვებინათ ელექტროსადგურები და ელექტროფიცირება, ჩვენც ამ დღეში ვიქნებოდითო. რაც შეეხება არაგამჭოლ ტარიფს, მოგეხსენებათ, პირველი 100 კვტ იაფია, 101 კვტ-ის შემდეგ ტარიფი იზრდება, მაგრამ მხოლოდ ნამატი კვტ-ები კი არა მთელი მოხმარებული ელექტროენერგია გაზრდილი ტარიფით, რაც პროფესიონალთა მოსაზრებით კორუფციის წყაროა. კორუფციული სქემა მოქმედებს მოხმარებული დენის დარიცხვის დროსაც და რატომ, ელექტრომრიცხველებიდან ჩვენებას თვის სხვა და სხვა რიცხვში იღებენ ე.წ. წამკითხველები, არადა ზუსტად ერთსა და იმავე რიცხვში უნდა აიღონ, რომ წუთობრივი სიზუსტით გამოთვალონ მოხმარებული დენის ოდენობა, მაგრამ გამანაწილებელმა კომპანიამ დანერგა პირობითი დარიცხვის მექანიზმი. ერთ თვეს 27 რიცხვში რომ მივა, ხოლო მეორე თვეს 25-ში, იმის მომიზეზებით ზუსტი მონაცემი ვერ ავიღეო, პირობითად არიცხავს მინიმუმ 5 კვტ-ს და ღირებულებას ხშირად მორიგ სატარიფო საფეხურზე გადაახტუნებს, ანუ 2-3 ლარით მეტ თანხას არიცხავს. ეს პირობითი დარიცხვები შემდეგ თვეებშიც გრძელდება და წლის ბოლოს ნამატი გადასახადი ჩვენი მოსახლეობის მწირი ჯიბისთვის სერიოზული დანაკლისია, სამაგიეროდ გამანაწილებელი კომპანიის შემოსავალი ამ კუთხით ათეულ მილიონობით ლარს უტოლდება.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

**(გაგრძელება იქნება)**

**იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში**
**www.saertogazeti.ge**
**შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე**
**საერთო გაზეთი**

# პაატა კოღუაშვილი:
# როგორია ევროპული გამოცდილება მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით?

***იმ დროს, როდესაც დასავლეთი სერიოზულ რეკომენდაციებს სთავაზობს საქართველოს და ჩვენი ქვეყნისთვის ყველა საჭირბოროტო საკითხებში სერიოზულად ერევა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნის შიდა პოლიტიკური მხარეა, ყველანაირად ცდილობენ და საკმაოდ საეჭვოდაც, რომ დამალონ ის სერიოზული გამოცდილება, რომელიც თავად ამ ქვეყნებშია მიღწეული. ამჯერად მიწის საკუთრების საკითხს შევეხებით, რომელსაც გვიზიარებს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი პაატა კოღუაშვილი.***

**— ბატონო პაატა, წინა წერილში ჩვენ ვისაუბრეთ ქართული მიწის მნიშვნელობაზე ქართველი ერისათვის, დღეს მინდა შევეხოთ საკითხს, თუ როგორია ამ მხრივ დასავლეთის გამოცდილება, ისინიც ასე განუკითხავად ასხვისებენ მიწებს?**

— გადავხედოთ, როგორია ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობა ამ მხრივ.

**ავსტრია**. ავსტრიაში უცხოელის მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. მაგალითად, ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) კანონით, უცხოელი უძრავი ქონების შეძენისათვის საჭიროებს ნებართვას, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური" ინტერესები არ იქნება შელახული და თუ არსებობს მიწის (ბურგერლანდის) ეკონომიკური სოციალური თუ კულტურული ინტერესები. უცხოელი აქ ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად კანონიერად უნდა იმყოფებოდეს და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა საჭირო ინტერესები არ უნდა ილახებოდეს.

დაახლოებით იგივე რეგულირებაა ავსტრიის სხვა მიწების კანონმდებლობებითაც.

**დანიის** მაგალითს თუ განვიხილავთ, მათი კანონმდებლობით, მიუხედავად მისი გარეგნული ლიბერალური ხასიათისა, აქ ქონების შეძენა განსაკუთრებით რთულია **არარეზიდენტებისათვის.** მათ დანიაში არ შეუძლიათ შეიძინონ ქონება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ისინი არიან ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები და იურიდიული პირები და მუშაობენ ან საქმიანობენ დანიაში.

ისინი არიან არაევროკავშირის რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეები და უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დარეგისტრირებულნი არიან დანიაში, **როგორც მუდმივი რეზიდენტები!** დანიაში ერთ პირს აქვს უფლება ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით და ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კმ-ს.

**შვეიცარია** — უცხოელის მიერ შვეიცარიაში მიწის შეძენა დაუშვებელია, თუმცა მხოლოდ ნებართვის აღების პირობით შვეიცარიის ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს, ეს გახლავთ — „უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შეძენის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარიული მიწის „გაუცხოება". ამ კანონით შეზღუდვები არ არის მათზე, ვინც შვეიცარიაში კანონიერად ცხოვრობენ.

**ლატვიაში** მიწის პროვატიზების კანონმდებლობის შესაბამისად, ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს **მიწა და ტყე არ შეუძლიათ შეიძინონ!**

**თურქეთში** — მათი კანონმდებლობით, უცხოელზე გაყიდული თურქეთის მიწა არ უნდა აღემატებოდეს 2,5 ჰა-ს.

**არგენტინა** — მათი ახალი კანონმდებლობით განსაზღვრულია ნაყოფიერი მიწის ტერიტორიის ოდენობა, რომელიც შესაძლებელია შეიძინონ უცხოელებმა, ანუ მათ საკუთრებაში შეიძლება იყოს არგენტინის მთლიანი ტერიტორიის მაქსიმუმ 20 პროცენტი.

**გერმანიის** კანონმდებლობით, უცხოელებს მიწის საკუთრებაში შეძენასთან დაკავშირებით იგივე შეზღუდვები აქვთ, როგორიც გერმანიის მოქალაქეებს. მიწის შეძენისთვის საჭიროა განცხადების წარდგენა, სადაც დასაბუთებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის განვითარების გეგმა და ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესის შესაბამისი.

**რუსეთში** სულ არის 400 მლნ ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, აქედან 129 მლნ ჰა კერძო საკუთრებაშია, დანარჩენი კი — **სახელმწიფო საკუთრებაში!**



როგორც ჩანს, ზოგადი შეზღუდვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელთა მიერ შეძენაზე არ არსებობს, გარდა ერთი გამონაკლისისა: აკრძალულია რუსეთის სასაზღვრო ტერიტორიასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისება! უცხოელებზე შესასყიდად აკრძალულია იქ რუსეთის 380 რეგიონული ქვედანაყოფი — მათ შორისაა შორეული აღმოსავლეთის და ციმბირის ტერიტორიული საზღვრები. უცხოელებს ეკრძალებათ ასევე, უკრაინასთან მოსაზღვრე ქალაქ ბელგოროდის მიმდებარე ტერიტორიების, კრასნოდარის, ქალაქ სოჭისა და აზოვის ზღვის მოსაზღვრე ტერიტორიებისა და მთლიანი კავკასიის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენა.




**უკრაინაში** — არ არის დაშვებული უცხო ქვეყნის ფიზიკური პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა, თუმცა, აქაც მოქმედებს გარკვეული სქემები, შესაძლებელია 50-წლიანი იჯარა.

**ბულგარეთის** შემთხვევაში, უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აქ დაარეგისტრირებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას.

**ესტონეთში** — სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენაზე დადგენილია ესტონეთში ცხოვრების და აგრარულ სექტორში მოღვაწეობის ხანგრძლივობის ცენზი, ასევე მუნიციპალიტეტის თანხმობა.

**ჩეხეთში** უცხო ქვეყნის მოქალაქეს ასეთი მიწის ნაკვეთზე საკუთრების მოპოვება შეუძლია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში.

ქონების მემკვიდრეობით მიღებით.

ქონების იმ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებობა, რომელთაგან ერთ-ერთი ჩეხეთის მოქალაქეა.

ქონების მიღება გაცვლით სხვა ამავე დანიშნულების მიწის ნაკვეთში.

**პოლონეთში** — ასეთი კატეგორიის მიწის შესაძენად სავალდებულოა საინვესტიციო გეგმისა და მის განსახორციელებლად საჭირო ქონების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

**აშშ-ში** სასოფლო-სამეურნეო მიწის ძირითადი რეგულირება ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა ფორმას გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატი, მით უფრო მკაცრია აკრძალვა. ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ 1 პროცენტზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

საქართველო ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყანაა, მიმდინარეობს აგრარული რეფორმა, ამიტომ მისი მიზანი არ უნდა იქნას დაყვანილი მიწის გაყიდვაზე სწორი ხედვის, სტრატეგიისა და, შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივებისთვის, აუცილებელია კვალიფიციური ანალიზის გაკეთება.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი ითვალისწინებს საჯარო მიზნებისთვის საკუთრებაში ჩართვის შესაძლებლობას. კერძოდ კი, საკუთრების უფლების შეზღუდვას და საკუთრების ჩამორთმევას.

**სასოფლო-სამეურნეო მიწა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისამებრ, ისე, რომ მისი ფუნქციონირება შეესაბამებოდეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებს.**

უცხოელი, რომელსაც სურს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა, უნდა:

კანონიერად და უწყვეტად ცხოვრობდეს საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში და ამავე დროს ეწეოდეს სოფლის მეურნეობას.

წარმოადგინოს მიწაზე სამოქმედო საინიციატივო გეგმა, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების ინტერესებთან.

ჰქონდეს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო განათლება ან სოფლად ცხოვრების და აგრაგული შრომის ხუთწლიანი გამოცდილება.

ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის საჭირო კაპიტალს.

კანონში უნდა იყოს განსაზღვრული თუ ვის ექნება უპირატესი უფლება (პრიორიტეტი) მიწის შეძენაზე და ასევე სახელმწიფო საზღვრის **5-20 კმ ზოლში სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება დაუშვებელია!**

ამჟამად სასოფლო-სამეურნეო მიწის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში მოქცევის ორი გზა არსებობს: **პირველი — მიწის კერძო საკუთრება და მეორე — მიწის გრძელვადიანი გასხვისების იჯარა.** წესით, ტრანსფორმირების პროცესში მყოფი საქართველოსთვის უცხოელების მიმართ ძირითადად ეს მეორე ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



მაყვალა ქასრაშვილი

## საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

# პრიმადონა „ბროლისფერი“ ხმით

12 წლისა იყო, როცა დაესიზმრა, თითქოს ლა სკალას სცენაზე მღეროდა. ამ თეატრის არსებობა კი შეიტყო მუსიკალური რადიოგადაცემიდან, რომელშიც ჟღერდა კარუზოს, ჯილის, ლანცას შესრულებული არიები. უსმენდა და მათი მიბაძვით მღეროდა, თუმცა ერთი სიტყვის მნიშვნელობაც კი არ ესმოდა... „ცხოვრებამ ინება“, რომ მას სიზმარი ახდენოდა და იტალიის სახელგანთქმულ სცენაზე გამოვიდა, რომ მუსიკალური სამყარო დაეპყრო.

მის საოპერო ცხოვრებაში იყო ყველაფერი: შესანიშნავი პედაგოგებიც, შეიძლება ითქვას, ზღაპრული შემთხვევაც — დიდი ქვეყნის მთავარ თეატრში მოხვედრა, მღეროდა არა მარტო მოსკოვსა და პეტერბურგში, არამედ მსოფლიოს მთავარ საოპერო სცენებზე — „კოვენტ გარდენში“, ვენის ოპერაში, რომის, ჰამბურგის, პრაღის, ჰელსინკის, ვაშინგტონის, სიეტლის, ჩიკაგოს სახელგანთქმულ თეატრებში. მისმა გმირებმა მსოფლიო დაიპყრეს. არ მოჰკლებია ოვაციები, ყვავილები და „შესანიშნავი პრესა“ — სხვადასხვა ენაზე დაწერილი აღფრთოვანებულები შეფასებები მისი „მოცულობითი“, „ბროლისებრი“ და იმავდროულად „იტალიურად რბილი“ ხმის შესახებ.

ყოველთვის ცდილობს დაეხმაროს ახალგაზრდებს, რადგან კარგად ახსოვს — შემთხვევით რომ არ შეემჩნიათ და ოპერის კორიფეები რომ არ დახმარებოდნენ, ვინ იცის, რა პროფესიას აირჩევდა:

**„თბილისის კონსერვატორიაში მეხუთე კურსზე ჩემი მასწავლებელი იყო ვერა დავიდოვა — გამოჩენილი მეცოსოპრანო, რომელიც დიდ თეატრში მღეროდა და პენსიაზე გასვლის შემდეგ მეუღლესთან — მომღერალ დიმიტრი მჭედლიძესთან ერთად თბილისში დასახლდა. მასთან ჩამოსული მოსკოველი კოლეგები, დიდი თეატრის დირექტორი და ლიტნაწილის გამგე დაესწრნენ ჩვენს კონცერტს, რომლის შემდეგაც შემომთავაზეს, დიდ თეატრში კონკურსზე ხომ არ ჩამოხვიდოდითო. ეს ამბავი დეკემბერში მოხდა, კონსერვატორიის დამთავრებამდე კიდევ 6 თვე რჩებოდა, მაგრამ...**

**მოსკოვში ჩემს პროფესორ-მასწავლებელ ვერა დავიდოვასთან ერთად გავემგზავრე და 1 თებერვალს დიდი თეატრის სცენაზე ვიდექი. ბატერფლაის მონოლოგი და ტოსკა პირდაპირ მესამე ტურში ვიმღერე. როგორ — არ მახსოვს. ერთი საათი დერეფანში ვღელავდი, გადაწყვეტილებას მოუთმენლად ველოდი. დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა მიხმეს და სტაჟიორთა ჯგუფში ჩამრიცხეს...“**

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოხვედრაზე ოცნებობდა, მოულოდნელად კი, 1966 წელს 24 წლის ახალგაზრდა მომღერალი დიდი თეატრის სცენაზე აღმოჩნდა. ხუთი წელი არ იყო გასული, როცა ბორის პოკროვსკიმ პუჩინის ტოსკას პარტია შესთავაზა. სამხატვრო საბჭო ეჭვობდა, შეძლებდა კი ამ ურთულესი პარტიის შერულებას 28 წლის ახალგაზრდა ვოკალისტი. მეხუთე პრემიერა ისეთი აღიარებული მომღერლების შემდეგ იმღერა, როგორებიც იყვნენ გალინა ვიშნევსკაია და თამარა მილაშკინა. ამ პარტიას ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მღეროდა. მსგავსი რამ არ მომხდარა მსოფლიო საოპერო ხელოვნების ისტორიაში.

**„დედაჩემმა უმამოდ გამზარდა, მისი ცხოვრების ერთადერთი იმედი მე ვიყავი და ყველაფერს აკეთებდა ჩემთვის — ქუთაისიდან, სადაც დავიბადე, თბილისში გადმოსახლდა — იქ ნახევრად სარდაფში ვცხოვრობდით. ძალზე გვიჭირდა, გამუდმებით მშიერი ვიყავი. ვერა დავიდოვა ხშირად გვეპატიჟებოდა სახლში გაკვეთილებზე. გვასადილებდა ხოლმე და იქიდან წამოსულს ხშირად მიპოვია ჩანთაში სამი მანეთი. როცა მოსკოვში უნდა გავმგზავრებულიყავი, დედამ თავისი ძველი ქურქი გადამიკეთა, ხოლო მასწავლებელმა თავისი შალის შარფი მაჩუქა“.**

12 წლის იყო, როცა პიონერთა ბანაკში ყოფნისას კონცერტის მომზადება დაიწყეს. მეგობარმა გოგონამ პიონერხელმძღვანელს უთხრა, მაყვალა მღერისო. და პირველი სასცენო ნათლობაც მიიღო. იქიდან დაბრუნებულმა კი დედას განუცხადა, თბილისში მივდივარ სასწავლებლადო. დედა თავიდანვე მიხვდა, რომ შვილის გზა მუსიკასა და სიმღერასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მიიყვანა ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც მაშინვე ჩარიცხეს — იშვიათობაა, მაგრამ მაყვალას დაბადებითვე დაჰყვა „დაყენებული ხმა“. მასზე მალევე ალაპარაკდნენ, როგორც დიდი მომავლის მომღერალზე. თბილისის კონსერვატორიაში მაშინვე ვერ მოხვდა, მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩარიცხეს — ერთადერთმა „ზედმეტმა ნოტმა“ ლამის საბედისწერო როლი ითამაშა.



**„ვერა დავიდოვას მოსვენება დავუკარგე. ყოველდღე მივდიოდი, მის კართან კიბეზე ვჯდებოდი და ვქვითინებდი. შეუვალი იყო, ამბობდა, ასეთი მსუქანი და ასეთი უხმო რაში მჭირდებაო. უფრო სწორად, ჩემ მაგიდასავით კვადრატულიო. ამ ამბავს ახლა სიცილით ვიხსენებ, მაშინ კი... ერთ თვეში ფარ-ხმალი დაჰყარა და მეც ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, თავდაუზოგავად ვსწავლობდი. როცა სხვებს ასწავლიდა, მაშინაც კი მის გაკვეთილებზე ვიჯექი და ყველაფერს ხარბად ვისრუტავდი. სახელიც კი შემარქვა — ჩემი მაიმუნიო, ასე მეძახდა. რენატა ტებალდის ჩანაწერები ჩამივარდა ხელში, მისი ხმით აღფრთოვანებული, ვბაძავდი სახელოვან მომღერალს. „მადამ ბატერფლაის არიებს ვმღეროდი და როცა ჩემმა პედაგოგმა მოისმინა, თვალები შუბლზე აუცოცდა — ამღერდაო“.**

* * *

პედაგოგებში მართლაც რომ გაუმართლა. დიდ თეატრში მის გვერდით აღმოჩნდნენ რეჟისორი ბორის პოკროვსკი, რომელსაც ქალბატონი მაყვალა მადლიერებით იხსენებს — მან ჩამომაყალიბა როგორც მსახიობი და როგორც პიროვნებაო, და გენიალური მსტისლავ როსტროპოვიჩი, რომელთანაც დებიუტი ჰქონდა სპექტაკლებში „ევგენი ონეგინი“ და „ომი და მშვიდობა“. როცა როსტროპოვიჩს ნატაშა როსტოვას პარტია „ჩააბარა“, ერთი შენიშვნაც არ მიუღია და ახალი საოპერო ვარსკვლავის დაბადება რესტორანში აღნიშნეს. როსტროპოვიჩსა და მის მეუღლესთან, გალინა ვიშნევსკაიასთან ახლო მეგობრული ურთიერთობა მას შემდეგაც არ გაუწყვეტია, რაც ისინი უცხოეთში წავიდნენ საცხოვრებლად. ის კი არადა, აეროპორტშიც კი გააცილა, მიუხედავად იმისა, რომ ამას შეიძლებოდა მკაცრი სანქციები მოჰყოლოდა და დაესაჯათ. ასეც მოხდა — დიდი თეატრის პრიმადონა ყველა წამყვან პარტიას მღეროდა, მაგრამ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტობას არ ანიჭებდნენ. ინტრიგების გამო უცხოეთშიც არ უშვებდნენ, მაგრამ მისი ტალანტი მისი საგზური იყო ყველგან, უცხოეთში გასამგზავრებლადაც.

უცხოეთში დარჩენის ცდუნება მასაც ჰქონდა. ამერიკაში პირველად 1975 წელს ჩავიდა — დიდი თეატრი პირველად გამოდიოდა „მეტროპოლიტენ ოპერაში“. მაყვალა ქასრაშვილი პირველი ქართველია, რომელმაც მსოფლიოში სახელგანთქმულ ამ სცენაზე იმღერა. გასტროლებზე ყოფნისას ცნობილმა დირიჟორმა ჯუზეპე პატანემ ჰკითხა, ოჯახი გყავთო. ეს ის პერიოდია, როცა ავღანეთში საბჭოთა კავშირმა ჯარები შეიყვანა და ამერიკასთან ურთიერთობა დაიძაბა, კულტურული ურთიერთობა შეწყდა. ერთი შეხედვით, თითქოსდა რა კავშირი უნდა ჰქონდეს პოლიტიკას მუსიკასთან, მაგრამ საბჭოთა კავშირში ხომ ყველაფერი თავდაყირა იყო.

**„მართალია, პოლიტიკა ხალხს აცალკევებს, მაგრამ მათ მუსიკა აერთიანებს. როცა პატენს ვუპასუხე, რომ დაოჯახებული არ ვიყავი, გაუხარდა — რა კარგია, აუცილებლად უნდა დარჩეთ ამერიკაში. ამ ასაკში თქვენნაირი მონაცემები არავის აქვს. აქ საუკეთესო კარიერას გაიკეთებთო. ერთი წამითაც კი ვერ წარმოვიდგინე, როგორ შეიძლებოდა დამეტოვებინა დედაჩემი და ჩემი თეატრი. რომ დავრჩენილიყავი და მცოდნოდა, სახლში ვერ დავბრუნდებოდი, იქ ვერც ცხოვრებას შევძლებდი და ვერც სიმღერას. დედას ჩემი არც ერთი სპექტაკლი არ გამოუტოვებია, ყოველთვის იჯდა ლოჟაში და მე მას ვუმღეროდი. ხანშიშესულ ასაკშიც კი სიხარულით აღსავსე დღეებით ცხოვრობდა“.**



ამერიკაში დარჩენაზე უარი თქვა, თუმცა „მეტროპოლიტენ ოპერას“ შეთავაზებას, მეორე სეზონზეც ჩასულიყო ამერიკაში, დათანხმდა, მაგრამ „გოსკონცერტში“ უთხრეს, ამერიკა დაივიწყეთო. სხვა რა გზა ჰქონდა... მაგრამ ხომ გაგიგონიათ — როცა ერთი კარი იხურება, ილება ბევრი სხვა. მაყვალა ქასრაშვილის ცხოვრებაშიც ასე მოხდა — მიიწვიეს „კოვენტ გარდენში“, ევროპის ცნობილ საოპერო თეატრებში... მის თითოეულ გამოსვლას თან ახლდა მქუხარე აპლოდისმენტები, მაყურებელთა მოწონებები, ფეხების ბაკუნი და სტვენა, რაც დასავლეთში საყოველთაო აღტაცებას ნიშნავს, სპექტაკლის შემდეგ სცენაზე წამოსული კანფეტების წვიმაც (რამაც თავდაპირველად შეაშინა კიდეც), აღფრთოვანებისა და მოწონების უმაღლესი გამოხატულება. ამერიკაში მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ ჩავიდა მუსიკალურ ფესტივალზე ზურაბ სოტკილავასთან ერთად და ისინი იყვნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები, პირველი მერცხლები, რომლებიც მრავალწლიანი დაძაბულობის შემდეგ ამერიკას ეწვივნენ.

**„მეტროპოლიტენში“ „ბალ-მასკარდზე“ მუშაობისას კატია რიჩარელის დუბლიორად ამიყვანეს. იმ დროს მას პარტნიორობას უწევდა ლუჩანო პავაროტი. რეპეტიციებს ვესწრებოდი. ერთხელ პავაროტიმ იმღერა პირველი მოქმედება, დარბაზში ჩამოვიდა და თქვა, დავიღალე, სხვა ტენორმა შემცვალოსო. კატიამაც მას მიჰბაძა და ჩემით ჩანაცვლება ითხოვა. შემდეგი ორი მოქმედება მე ვიმღერე. კულისებში ვიდექი, როცა კატიამ მითხრა, ყოჩაღ! ახლა სიმღერა შემეძლებაო. მაშინ ვერაფერს მივხვდი, რას გულისხმობდა. მოგვიანებით ზურაბ სოტკილავამ, რომელიც მეგობრობდა პავაროტისთან, მიამბო — მასთან საუბრისას პავაროტის უთქვამს, ვიცი ერთი რუსი მომღერალი, შავგვრემანი და გრძელი თმით, სოპრანოა, გვარი არ მახსოვსო. სცენაზე რომ გამოვიდა, ისე იმღერა, რომ კატიას ვუთხარი, თუ ამ რუსს ბოლომდე ამღერებ, ამელიას ვერ ელირსებიო“.**

1966 წლიდან დიდ თეატრშია — თითქმის 50 წელიწადი. აქტიური საოპერო კარიერის განმავლობაში ოცდაათზე მეტი მთავარი საოპერო პარტია შეასრულა. მეგობრები ამბობენ, მაყვალა ქასრაშვილს იდეალური ხასიათი აქვსო. ალბათ ამიტომ არის, რომ 10 წელზე მეტია საოპერო დასის მმართველია და ყველასთან თანაბარი და მეგობრული ურთიერთობა აქვს, ცდილობს დაეხმაროს მათ პრობლემების მოგვარებაში, თვალს ადევნებს რეპეტიციებს, გამოუცდელ ახალგაზრდებს კონსულტაციებს უწევს. როცა ამ თანამდებობას სთავაზობდნენ, საოპერო კარიერის პიკზე იმყოფებოდა, ამიტომაც გაჰკვირვებია — კიდევ მინდა ვიმღეროო, უთქვამს. კი ბატონო, იმღერე და დასსაც უხელმძღვანელეო... ერთი შემთხვევაც არ ახსენდება, რომ მისი ქართველობის გამო კარიერაში რამე შეფერხება შექმნოდა — ისინი ტალანტსა და ოსტატობას აფასებენო, ამბობს.

მაყვალა ქასრაშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში არც ისე დიდი ხნის წინ შექმნილი მფარველთა საბჭოს წევრია და წელიწადში ორჯერ მაინც საბჭოს სხდომებზე დასასწრებად ჩამოდის, სხვებთან ერთად თეატრს ეხმარება საერთაშორისო ურთიერთობების გამყარებაში, საოპერო დადგმების შექმნაში, გასტროლების დაგეგმვაში. ბოლო პერიოდში უფრო ხშირად ახერხებს სამშობლოში ჩამოსვლას — იქნება ეს პატრიარქის საიუბილეო დღეები თუ პაატა ბურჭულაძის 60 წლისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი. მოსკოვიდან გამუდმებით თვალს ადევნებს საქართველოში მიმდინარე ამბებს და, თუ რამ ისე არ ხდება, გულით განიცდის.

**ელზა ნაბახტეველი**

# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

## ტუტანჭამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №8

### მიტოქონდრიული ანალიზი

აშშ-ის ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა (ხელმძღვანელი ბრაიან საიქსი) ადამიანის მიტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან (კავკასიაში იმ დროს კოლხები ცხოვრობდნენ) არიან წამოსულები და ეს გენი მართავს ადამიანის გენეტიკას.

ევროპის „დი-ს“ კლანებიდან უძველესი და უმდიდრესი ქსენი-ზანას, ანუ ქართული მითოლოგიით „დალის“ კლანი, რომელიც ჩამოყალიბდა კავკასიაში (კოლხეთში) 25 000 წლის წინ და ბოლო დიდ გამყინვარებამდე გავრცელდა მთელ ევროპაში. მომდევნო, „ვალადა-ს“ („ვალდას“) კლანის ასაკი 17 000 წელია. ქსენი-დალის გენები აღმოჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ინდიელთა ზოგიერთი ტომის წარმომადგენლებშიც, რასთან გვაქვს საქმე?

### 42-ე განედი

2011 წლის ოქტომბერში რუსეთის ტელეარხმა „ნტვ-მ“ ვრცელი გადაცემა მიძღვა იაპონელ აი(ა)ნებს, რომელთა რაოდენობა ამ დროისთვის ოცი ათას სულზე მეტია. ითქვა, რომ დადასტურებულია თავდაპირველი აინების სახლობა 12 000 წლის წინ სახალინზე, შემდგომში მეზობლებს რომ შეერივნენ. რუსი მკვლევარების მტკიცებით, აი(ა)ნები კოლხური წარმოშობის უძველესი ტომია.

მეცნიერები დიდი ხანია სწვლობენ აინების წარსულს, მათ ისტორიას, ენის თავისებურებას; აინტერესებთ, საიდან მოვიდნენ იქ, სადაც არიან, მაგრამ მხოლოდ ის არის გარკვეული, რომ აინები იაპონიის კუნძულების იმ რეგიონი ცხოვრობენ, სადაც ივერთა გადაადგილების გზა გადის, 42-ე განედზე. მეცნიერებმა ზუსტად ვერ დაადგინეს საიდან მოვიდნენ აინები, მაგრამ ის კი დადასტურებულია, რომ როდესაც იაპონელები გადავიდნენ კუნძულებზე, აინები დიდი ხნის დასახლებულები იყვნენ. მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ აინები იაპონის კუნძულების იმ რეგიონებში ცხოვრობენ, სადაც ივერთა გადაადგილების გზა გადის, ანუ ჩრდილოეთ განედის 42-ე გრადუსზე – კოლხეთი (საქართველო) იყო (არის) ამ განედზე და გადაადგილებაც ამ განედზე ხდებოდა.

და აი, მივედით ამერიკის კონტინენტთან – მაიას ტომი, აცტეკების და ინკების ტომიც ამ განედზე ხვდებიან. ესპანელი მისიონერები წერდნენ, რომ კონტინენტზე დამხვდურები ახოვანი წვეროსნები იყვნენ, ინდიელებს კი, წვერი არ ამოსდით და ტანადაც არ არიან ახოვანები. მაშასადამე, კონტინენტს განაგებდნენ ვიღაც წვეროსნები, ინდიელები კი მუშახელს წარმოადგენდნენ. დროთა განმავლობაში მოხდა მოხდა „ზანას“ (კოლხური) კლანის გადასვლა ინდიელებში და ბუნებრივია, დღეს მათ გენეტიკაშიც აღმოჩნდა.

მეცნიერები ვერ ხსნიან საიდან გაჩნდა უმაღლესი ცივილიზაციები ამერიკის კონტინენტზე, თუმცა ცნობილია, რომ იქმნებოდა გიგანტური ნაგებობები: ტაძრები, ქანდაკებები, საირიგაციო სისტემები. გაზეთის ფორმატი ყველაფრის დაწვრილებით ახსნის საშუალებას არ იძლევა, ამდენად, ვისაც არ სურს დაჯერება, ნება მისია – კოლხები უმაღლეს დონეზე აწარმოებდნენ მეტალურგიულ საქმიანიანობას (რკინა-ფოლადს ადნობდნენ) კანადის ხუთი ტბის რაიონში, 42-ე პარალელზეც...

### კოლხები აღდგომის კუნძულზე

1722 წელს ჰოლანდიელმა მოგზაურმა, ადმირალმა როგვენმა წყნარ ოკეანეში შემთხვევით აღმოაჩინა ვულკანური წარმოშობის კუნძული, რომელსაც „აღდგომის კუნძული“ უწოდა. იმ დროს კუნძულზე 4000-მდე ადამიანი ცხოვრობდა და პირველყოფილი თემური ურთიერთობის დაშლის საფეხურზე იმყოფებოდა. XIX საუკუნეში პერუელმა და სხვა კოლონიზატორებმა გაჟლიტეს კუნძულის მოსახლეობა და მოსპეს მათი კულტურა, მაგრამ მაინც დარჩა



გოლიათი კოლხები აღდგომის კუნძულზე



ყაბალახიანები

მნიშვნელოვანი „რაღაც“, ქვის ვებერთელა ქანდაკებები და იეროგლიფური დამწერლობა, რომელიც დღემდე გაუშიფრავია.

ორი საუკუნის შემდეგ (1955-1956წწ) კუნძულს ნორვეგიელი მეცნიერი ტერ ჰეირდალი მიადგა იმის გასარკვევად, ვინ იყვნენ ყველა მატერიკისგან ყველაზე დაშორებული კუნძულის პირველმოსახლეები და ვინ შექმნა გრანდიოზული ქვის ქანდაკებები. ექსპედიციამ გამოიკვლია 400-ზე მეტი გოლიათური ქვის ქანდაკება (მათი რიცხვი 900-მდეა და განსხვავებულია არა მხოლოდ მასალით, ორნამენტითაც და სხვა თავისებურებითაც) რომლებიც ქვისავე პედესტალებზე იდგნენ. მათი სიმაღლე 8-10 მეტრი იყო. მიწაზე დაგდებული ყველაზე დიდი ფიგურის სიმაღლე 21 მეტრს აღწევდა, წონა – 270 ტონა. „გოლიათებს“ თავზე ადგამდნენ ვუკანური წარმოშობის ქანებით ნაკეთ განსხვავებულ, მოწითალო ქუდს, რომლის წონა ორიდან ათ ტონამდე აღწევდა, მოცულობით ექვსი კუბური მეტრი, პუკაოს, ხოლო თვალების ადგილზე ბუდეებს ობსიდიან ან მარჯანი ამშვენებდა.

აღდგომის კუნძულის მცხოვრებლებმა ექსპედიციის წევრებს აჩვენეს ჰოტუ მატუას (მატუა – მეგრული გვარი) სახლი და სიყვარულით უმღეროდნენ სტუმრებს: ო, გოგო, ტე ტერე ტე ვაკა ტა ჰოტუ მატუა“... ნორვეგიელი მეცნიერი არნიშნავს, რომ მეფე მატუას უძველეს სადგომში ჩანდა ოდინდელი სიდიადის კვალი, მაგრამ მისთვის უცხო იყო როგორც ნამღერი, ისე ქვის გიგანტური ქანდაკებების ასევე გიგანტური თავსაბურავები, ყაბალახი...

კუნძულის მცხოვრები ჰეიდრალს გაეცნო როგორც ლეგენდარული პირველი თეთრკანიანი მეფის, ჰოტუ მატუას მემკვიდრე, ეს მიწები მუდამ ჩვენ გვარს ეკუთვნოდაო. მოსაუბრეთა შორის იყო ვინმე ხათაც. ხათა, ხოთო – მეგრული სახელებია...

გაოცებულმა ჰეიდრალიმ დაწერა („აღდგომის კუნძულის საიდუმლოება“): – „უპირველესად გამაოცა იმან, რომ საოცრად მოგვაგონებდა ინკებისდროინდელი პერიოდის კოლონაქანდაკებებს, რომლებიც ანდებზე გვხვდება... ხალხს, რომლებსაც ჯერ თავი არ გამოეჩინათ კულტურის სხვა სფეროებში, როგორ მოხდა, რომ მოეცა ესოდენ გენიალური ინჟინრები და მხატვრები? როგორ შეძლეს ქვის ერთიანი მონოლითების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, აღმართზე ატანა და აღმართვა, როცა არ იყო ამწეები, მანქანები, კუნძულზე კი ტყე არ არის? ...ინკების მშენებლობის კულტურა შეიტანა იმ კულტურულმა ხალხმა, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი კუნძულზე...“ კი, მაგრამ ინკებში (მაია, აცტეკები) ვინღამ შეიტანა?

ექსპედიციამ კუნძულის მცხოვრებლების გამოქვაბულებში ნახეს წინაპრების დანატოვარი ძვირფასი ნივთები, პატარა, წარწერებიანი დაფები, ულამაზესი პატარა ქანდაკებები... კუნძულზე აღმოჩნდა მოკირწყლული გზები რომლებიც პირდაპირ ზღვაზე ჩადიოდა... ნაპოვნია 11-კილომეტრიანი მიწისქვეშა დერეფანი, რომელიც კუნძულს სხვადასხვა



აინი

გზით უკავშირდებოდა. არსებობს ვარაუდი, რომ ამგვარი გვირაბებით ერთმანეთთან რამდენიმე კუნძული იყო დაკავშირებული...

პერუში, როცა ესპანელებმა აღმოაჩინეს ინკების სამეფო, პედრო პისარომ ჩაწერა, რომ ანდების ტანმორჩილ და შავგვრემან ინდიელებს შორის ცხოვრობდა ინკების გაბატონებული მოდგმა. ეს იყო ტანმაღალი, თვით ესპანელებზე უფრო თეთრი კანის მქონე ადამიანების ტომი, უკანასკნელი შთამომავლები თეთრკანიანი, წვერიანი ადამიანებისა, ვირაკოჩა ღმერთების შთამომავლები. მათ ინკების მოსვლამდე დიდი ხნით ადრე აუგიათ შენობები, მაგრამ ერთხელ მიუტოვებიათ ეს ყველაფერი, თავიანთი ბელადის მეთაურობით წასულან კურაკოში, შემდეგ შესულან წყნარ ოკეანეში, მიცურავდნენ სამოცი დღე აღმოსავლეთიდან მზის დასავლეთი მიმართულებით და თან ჩამოუყვანიათ პირველი გრძელყურებიანები.

ადგილობრივების გადმოცემით, პირველ მეფეს, მატუას კუნძულზე ჩამოსვლისას თან ჩამოუტანია 67 ხის დაფა ტექსტებით. 25 ხის დაფა 14000 სხვადასხვანაირ იეროგლიფს მოიცავს. სპეციალისტების დასკვნით, აღნიშნულ დამწერლობაში დაახლოებით 120 საბაზო ელემენტია რომელთა კომბინაცია 1500-2000 სიმბოლოს ქმნის.

„ადამიანები წვერითა და ინკური ცხვირით, საიდან მოვიდნენ?“ – კითხვა დასვა ჰეიედრალმა, მაგრამ პასუხი ვერავინ გასცა, რომ „ინკური ცხვირი“ ჩვეულებრივი ქართული, არწივისებური ცხვირია...

შვეიცარიელი მკვლევარი იშველიებს არქეოლოგიურ მემკვიდრეობას, ეგვიპტის პირამიდებს, არდგომის კუნზულის ქანადკებებს, ნასკას ხაზებსა და ბიბლიის აპოკრიფულ ტექსტებს და ამტკიცებს, რომ ქანდაკებების გამოსაკვეთად კუნძულის ხალხს უცხოპლანეტელებმა უსახსოვრეს სამუშაო იარაღები, თუმცა ვერ ხსნის, რატომ დატოვეს კუნძული „კეთილისმყოფელებმა“.

რადიუმ-ნახშირბადის მეთოდით დათარიღდა აღდგომის კუნძულის დასახლება – ჩვ.წ.აღ-ით IV არაუგვიანეს საუკუნიდან ცხოვრობდა ინდიელების ტომი რომლის წინამძღოლიც გვარად მატუა იყო, მავანთა ვარაუდით, ინდიელი, თუმცა, „რატომღაც“ მეგრული გვარითა და მეგრული (კოლხური) ატრიბუტიკით...

დიახ, მეგრული გვარები!

ძვ.წ. XV–XIII საუკუნეებში ქასქ-მეგრულ ტომებს გვარ-სახელები ჰქონდათ. ცნობილია, რომ წინახეთურ მოსახლეობას ქასქები, იგივე მეგრულ-ჭანური ტომები შეადგენდნენ. იმდროინდელ ხეთურ ტექსტებში დასახელებული ქასქური ტიპონიმიკის, ქასქური სახელებისა და ცალკეული სიტყვების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ქასქები სამხრეთ კოლხური წარმომავლობის ტომები არიან. ქასქური ტოპონიმიკა კარგადაა ასახული ხეთურ ლურსმნულ ტექსტებზში. საინტერესოა გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მთავრდება „ია“ სუფიქსზე და მეორდება დღევანდელ მეგრულ გვარებში. მაგალითად: აშხარფაია (აშხარბაია, ასხარბაია), გახარია, ქათხარია, ქაშქია (ქასქია), ფათადია, შარია (სარია), შუხურია (სუხურია) და ა.შ

ქასქურ, აშკარად მეგრულ სიტყვების მსგავს სიტყვებს ვხვდებით დღეების დასახელებაშიც: მუნისქა, (მუნიშხა), ჯუმაშხა (ოთხშაბათი), თათისქა (თათიშა) – თახაშხა (სამშაბათი), თუთუსქა – თუთაშხა (ორშაბათი), ციანთისქა – ციანთეშქა – ცაშხა (ხუთშაბათი) და ა.შ

ქასქური სახელები: ასაფლალა (ასაფლალა), ხათეფა, ხაცინა, იციცი, ქასქამუვა, ქაციფირი (გიციფირი), ფაათა (ჰაათა), ფათალია, ფაცანა, ფიხუნია, ფია, ფიფელუ, დადილუ, თუთუ და ა.შ უამრავი სახელი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით გვარის ინსტიტუტი მხოლოდ XII-XIII საუკუნეებში იქმნება და პირველი გვარი დაფიქსირებულია წებელდის ეკლესიის წარწერაში – ქორჩილავა, მეორე – ილორის ეკლესიიის წარწერაში – კვარაცხელია და ა.შ თუმცა ფაქტია, რომ წინახეთური პერიოდის ქასქურს ერთი ერთზე იმეორებს დღემდე მოღწეული მეგრული გვარები. ესეც საქართველოს მსოფლიო ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კიდევ ერთი დაკნინებაა, ვინაიდან გვარის დაფიქსირება საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან მომენტად არის აღიარებული, უნდა მიიჩქმალოს, ფართო წრეებსი არ უნდა გავრცელდეს, რომ ძვ. წ. XVII-XV და XV-XIII საუკუნეებში კოლხურ (ქართულ) ტომებს უკვე გვარები ჰქონდათ.

(გაგრძელება იქნება)



1. ასტრონავტი
2. ცხენიდან გადმოხტომა ცირკში
3. ქარის ატანილი მტვერი
4. ქვეყანა ყოფილ იუგოსლავიაში
5. ისტ. ქვეყანა ჩრდ. აფრიკაში
6. რეჟისორი ... ფორმანი
7. გემთსაშენებელი ქარხანა
8. ხრიკი, ფანდი, ოინი
9. პუტინი ბავშვობაში
10. სახელმწიფო კარიბის ზღვაში
11. ყაჩაღი ილიას შემოქმედებიდან
12. სურსათი
13. ზოტმჟავას მარილი
14. მდ. მოსკოვში
15. ვალი
16. ვულკანური ქანი მინის წარმოებაში
17. ზრდადაუსრულებელი
18. კომპოზიტორი ... არაყიშვილი
19. რუსული საბავშვო ფოტოაპარატი
20. ... ოზბორნი
21. ფრიგიის სამეფოს მითიური მეფე
22. ამერიკელი შოუმენი ქლო ... უინფრი
23. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი
24. ესპანელი ფერმწერი
25. კეთილთვისებიანი სიმსივნე
26. ივნისის ძვ. სახელი
27. დედამიწის თანამგზავრი
28. იტალიური ხალხური ცეკვა
29. სოფელი აბაშაში
30. ხასხასა წითელი ფერის თუთიყუში
31. მდინარე ლონდონში
32. ფეხბურთის არგენტინელი მწვრთნელი
33. დიდი ტანის ადამიანი
34. რაიმე ნაგებობის ნახაზი
35. ღვინის მცოდნე დეგუსტატორი
36. არალითონი
37. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი – უილიამსი
38. ტბების, ხაზის ერთობლიობა ტერიტორიაზე
39. სამოდელო სააგენტო
40. სოფელი რაჭაში
41. პოეტი ტერენტი ...
42. ერთმანეთზე უწესრიგოდ დაყრილი რამე
43. გუთნის ტარი
44. ჯადოსნური სასმელი
45. ბარსელონას მწვრთნელი
46. ბატკნის მოკლე ბეწვი, კრაველი
47. გერმანული საგმირო ეპოსი
48. დამხ. ნაგებობა სოფლად
49. ქართველი მსახიობი გიორგი ...
50. ქართველოლოგი მარი ...
51. ცეცხლის ინდური ღვთაება
52. ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიების ჩასაწყობი
53. აზრის იგავურად გადმოცემა
54. ცელქი გოგონა
55. ჩუმი ლაპარაკი
56. ქართული ფილმი
57. ვალის გადახდის საწინდარი ქონება
58. ისტ. ქვეყანა აზიის სამხ. აღმოსავლეთში
59. თევზი
60. ფრანგი კომპოზიტორი
61. ქვრივის მაზლზე მითხოვების წესი
62. მოვლენათა ერთობლიობა
63. ცხენის მოძრაობა ჩორთის დროს
64. პოეტური ნაწარმოები
65. დამბყრობი მურვან ...





# კროსვორდი





**შვეულად:** 1. ვერტიკალური ან დახრილი პატარა მიწისქვეშა გვირაბი ვენტილაციისათვის. 2. თყვანისცემა, ვისიმე ან რისამე გაღმერთება. 3. აჯანყება. 4. რეკორდსმენი ქვის მსროლელი ქართული ფილმიდან. 5. იხილე ფოტოსურათი. 6. გულის დაავადება. 7. მერსედესის მეწილე ავტომშენებლობაში. 8. რისამე განხორციელების რამეში წარმატების შესაძლებლობა 9. ტარიანი სასმისი. 10. თავისთვის გუნებაში მსჯელობა, რისამე წარმოდგენა. 12. ახალი, ნორჩი კიტრი. 13. ამოხეთქლი წყლის ნაკადი. 14. უკრაინელი ვეტერანი ჭოგითმხტომელი სერგეი ... 15. იხილე ფოტოსურათი. 16. შოკოლადის ხე. 17. ნაკლი, ზადი. 18. მახინჯი, შეუხედავი ადამიანი. 19. ტყავის ვიწრო ზოლი, რომელიც ფეხსაცმლის საპირეს გარედან აერთებს ლანჩასთან. 20. ბილიარდის მაგიდის კიდე. 21. ადამიანი, რომელიც მარცხენა ხელს ხმარობს მარჯვენის ნაცვლად. 22. პატარა აეროსტატი. 24. საქონელი, რომელიც არ მაკდება. 25. ჭაობის მომცრო რუხ-მოყავისფრო ფრინველი. 26. .. ანჩელოტი.

**თარაზულად:** 1. ვისიმე ან რისამე სატირული ან იუმორისტული გამოსახულება. 2. სხეულის წონის შეფარდება, იმავე მოცულობის წყლის წონასთან. 5 ქვიტკირის მაღალი მრგვალი ნაგებობა, ხიდის საყრდენი. 7. მარყუჟი. 9. წყვილად გამონასკვილი გამოყულფული ლენტი. 11. ამერიკული სიგარეტი. 12. ხრახნიანი ღრუს მქონე მრვალწახნაგოვანი ლითონის ნაჭერი ჭანჭიკის მოსაჭერად. 13. გულშემატკივარი. 14. ტყის ავი სული. 15. დოლარს ასეც მოიხსენიებენ. 17. პადეკალეს სრუტე ანუ ... 19. მომხიბვლელობა, მიმზიდველობა. 21. მოედანი გორგოლაჭებიანი ციგურებით სარბენად. 23. ლითონსაჭერი ჩარხის ნაწილი, დასამუშავებელი მასალის დამჭერი მოწყობილობა. 24. ზანგური გიტარა. 25. რაიმე საერთო ნიშნის მიხედვით გამოყვანილი სივრცე, ზოლი. 26. მდინარის თევზი. 27. გერმანელი ფილოსოფოსი ემანუელ ... 28. ხისტარიანი, წვერმოკაუჭებული საკაფი იარაღი. 29. დამსხვრეული ქვა. 30. კომპოზიტორი ... გურგულია. 31. ... მარადონა.

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 20 | | 30 | | 25 | 15 | 3 | 19 | 22 | 10 | 21 |
| 28 | 15 | 4 | 15 | 32 | 21 | | 15 | | | 12 | |
| | 10 | | 11 | | 17 | | 18 | 12 | 10 | 7 | 21 |
| 8 | 12 | 17 | 15 | 2 | 21 | 2 | 21 | | | 18 | |
| | 13 | | 16 | | 13 | | 3 | 15 | 16 | 21 | 15 |
| | 24 | 12 | 21 | 10 | 14 | | 22 | | | 15 | |
| | 21 | | | | 26 | 15 | 18 | 21 | | | 15 |
| 15 | 9 | 6 | 15 | 9 | 21 | | 21 | | | | 16 |
| | 15 | | 5 | | | 29 | | 33 | 14 | 10 | 14 |
| 30 | | 1 | 21 | 1 | 30 | 12 | 16 | 21 | | | 6 |
| 15 | | | 31 | | | 20 | | 13 | 22 | 18 | 15 |
| 18 | 12 | 18 | 12 | | | 13 | | 26 | | | 2 |
| 21 | | | 13 | | 24 | 15 | 6 | 15 | 15 | 1 | 21 |
| 10 | 14 | 5 | 21 | 13 | 21 | | | 10 | | 9 | |
| 15 | | | | | 6 | 15 | 6 | 21 | 5 | 15 | |

| | |
|---|---|
| ა-15 | ს- |
| ბ- | ტ-2 |
| გ- | უ- |
| დ- | ფ- |
| ე-12 | ქ- |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ- |
| თ-1 | შ-17 |
| ი- | ჩ- |
| კ- | ც- |
| ლ- | ძ- |
| მ- | წ- |
| ნ- | ჭ- |
| ო- | ხ- |
| პ- | ჯ- |
| ჟ- | ჰ- |
| რ- | |

# რა ხდება დუშეთში?!

გავრცელდა ცნობა, დუშეთში სატანისტური მოძრაობა შეინიშნება, რის გამოც ორი ახალგაზრდა, მოზარდი დაიღუპაო. ჩვენდა საუბედუროდ, არამარტო დუშეთში, არამედ მთელ საქართველოში მართლაც ბობოქრობს სატანა, რომლის სახელიც ნარკოტიკია. ჩვენი ინფორმაციით, დუშეთში ის ორი ახალგაზრდაც სწორედ საფთიაქო ნარკოტიკების მსხვერპლნი არიანო. თავისთავად ცხადია, თითოეული ახალგაზრდის გარდაცვალება, მხოლოდ მშობლების კი არა, მთელი საქართველოს ტრაგედიაა. დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომ წამლები ექიმის დანიშნულებით, რეცეპტებით გაიყიდოს, ჩვენი მოსახლეობის ნაწილი უარყოფითად შეხვდა. თუმცა, როგორც ვხედავთ, სააფთიაქო ნარკომანიის წინააღმდეგ მხოლოდ რეცეპტულ მომსახურებაზე გადასვლა არასაკმარისი ყოფილა. ძვირადღირებული ნარკოტიკების ნაცვლად ზოგიერთი ახალგაზრდა ალტერნატიულ გზებს ეძებს და, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, პოულობს კიდეც. ვინ, რა უბიძგებს ჩვენს ახალგაზრდებს, მიეძალონ ნარკოტიკებს, მთავარ საკითხად რჩება.

საქართველოში ახალგაზრდებს უამრავი თავისუფალი დრო აქვთ, რომელსაც, სამწუხაროდ, ფუჭად ფლანგავენ. სკოლებში სექციური მუშაობა კი არა, ზოგიერთი გაკვეთილიც ნორმალურად არ მიმდინარეობს. სპორტითაც ნაკლებად ინტერესდებიან ახალგაზრდები, ხშირად ისე, მოსაჩვენებლად თუ მიაკითხავენ სპორტულ სარბიელს. კინო-თეატრში, ჩვენდა სამწუხაროდ, ახალგაზრდობა ნაკლებად დადის, თუნდაც ბილეთების სიძვირის გამო. დამეთანხმებით, 7-10 ლარის გადახდის საშუალება ერთ ბილეთში საქართველოს მოსახლეობის ნახევარსაც არ შეუძლია.



სამაგიეროდ, დიდი პოპულარობით სარგებლობს სხვადასხვა კლუბები. რამდენიმე წლის წინ გაოგნებული ვუსმენდი ახალგაზრდას, რომელიც მეგობარს უყვებოდა, თუ როგორ იყვნენ კლუბში საცეკვაოდ, როგორც მისცეს უფასოდ (!) „ექსტაზის“ აბი, რომელსაც ლუდი დააყოლეს... შეგახსენებთ, ბატონებო, რომ „ექსტაზი“ ალკოჰოლის გარეშეც ანგრევს ადამიანის, მით უფრო, ახალგაზრდის ორგანიზმს. როდის და რა ფორმით გამოჩნდება უარყოფითი მოვლენები მათ ორგანიზმში, ამაზე თვით ექიმებსაც უჭირთ გადაჭრით თქმა.

საქართველოში სავაჭრო ქსელში ფართოდ არის წარმოდგენილი ე. წ. „ენერგეტიკული სასმელები“. ერთი შეხედვით, თითქოს უწყინარი პროდუქციაა, მაგრამ გულდასმით თუ წავიკითხავთ ინსტრუქციას, ვნახავთ, რომ მწარმოებლები არ გვირჩევენ ამ სასმელების ალკოჰოლთან ერთად მიღებას. გამოდის, სასმელები ორგანიზმისთვის უსაფრთხო როდი ყოფილა. ესეც გაბრუების კიდევ ერთი საშუალება, რომელიც ბევრმა იცის, მაგრამ ჩუმად არიან. არადა, „ლაღიძის წყლების“ მქონე ქვეყანას რაში გვჭირდება უცხოეთიდან შემოტანილი, თუნდაც გამაგრილებელი სასმელები, გაუგებარია.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ვინმეს ჭკუას ვარიგებდეთ. არც იმის პრეტენზია გვაქვს, ერთი საგაზეთო წერილით შეიძლება ასეთი გლობალური პრობლემის გადაწყვეტა. ისიც კარგად გვესმის, რომ ერთ რომელიმე უწყებას რომ ავკიდოთ ტვირთად საკითხის მოგვარება, ესეც უსამართლობა იქნება. ალბათ, მთელი საზოგადოება უნდა დაფიქრდეს ახალგაზრდებისთვის სწორი გზის მისათითებლად, თორემ, რა გამოდის — სკოლის ასაკის ბავშვები დაყიალობენ ქუჩაში, ტრანსპორტში, მათხოვრობენ (ფაქტობრივად, სძალავენ ხალხს ფულს), მაგრამ მათი გამკითხავი არავინაა, პოლიციასაც კი არ ჰქონია კანონით უფლება, ვინაობა მაინც ჰკითხოს, აუკრძალოს ქმედება.

სამწუხაროდ, ზოგიერთი „უფლებადამცველი“ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი მარიხუანის ლეგალიზებას მოითხოვს, რადგან, მათი აზრით, თურმე თრიაქი უვნებელი ყოფილა. არა, ბატონებო, ძალიან ცდებით. არათუ ექიმი-სპეციალისტი, არამედ თვით „პროფესიონალი“ ნარკომანებიც კი ამბობენ, რომ ნარკოდამოკიდებულება მცირედიდან იწყება.

დავუბრუნდეთ დუშეთს, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი უცხოეთშია გადახვეწილი სამუშაოს, ლუკმა-პურის საშოვნელად. დარჩენილების უმრავლესობა უფუნქციოდ არის დარჩენილი, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა. ამიტომაც მოიკიდა ფეხი „იელოველთა“ მოძრაობამ ამ ლამაზ კუთხეში, რომელიც „სატანურ“ მოძრაობაზე არანაკლებ საშიშია და მიუღებელი. ამ პატარა ქალაქში მრეწველობის დარგები ფართოდ არასოდეს ყოფილა განვითარებული. სამაგიეროდ, თბილისის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესაძენად შაბათ-კვირას დუშეთის ბაზარში დადიოდა. თუმცა ეს როდის იყო...



დაბოლოს, არ გვინდა იმის დაჯერება, რომ სააფთიაქო ნარკომანიამ ფეხი მოიკიდა მთის რეგიონებში, არც იმის დაჯერება გვინდა, რომ სატანიზმია საქართველოში. თუმცა, სატანა ყოველთვის ცდილობს ჩვენში ჩაბუდებას. საერთოდ კი, ოჯახის ტრაგედიის საინფორმაციო სენსაციად წარმოჩენა უხერხულია. თუმცა ჩვენი, ქვეყნის, საზოგადოების სატკივარზე და გამოსავალი გზის მოძებნაზე საუბარი, ვფიქრობთ, აუცილებელია.

**გია ბურდული**
**551 71 27 07**

ISSN 2233-3983

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsul tacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**— განვქორწინდი მეუღლესთან სასამართლო წესით, მაგრამ განქორწინება არ დაგვირეგისტრირებია. ვითვლებით თუ არა განქორწინებულად?**

— არა.

ქორწინება შეწყვეტილად ითვლება განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

გახსოვდეთ: განქორწინების დარეგისტრირება შესაძლებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს სამი წლის განმავლობაში, რომელიმე მეუღლის ინიციატივით. თუ ეს სამი წელი ისე გავიდა, რომ არცერთმა მეუღლემ გადაწყვეტილება რეგისტრაციაში არ გაატარა, ისინი კვლავ დაქორწინებულებად ჩაითვლებიან.

* * *

**— რა წესით ინიშნება გამასწორებელი სამუშაო, როგორ სასჯელი, და როგორია სამართლებირივი შედეგები?**

— გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე.

გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არანაკლებ ხუთისა და არა უმეტეს ოცი პროცენტისა.

თუ მსჯავრდებული ჯიუტად თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე – თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე; გამასწორებელი სამუშაოს სამი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

* * *

**— გთხოვთ, განგვიმარტოთ, შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა და რა ფორმით?**

— შეიძლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.

* * *

**— რა არის მეუღლეთა თანასაკუთრება?**

—საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158–ე მუხლის 1–ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას / თანასაკუთრებას/, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე მუხლის მე–2 ნაწილის მიხედვით, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ–ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ამავე კოდექსის 1159-ე მუხლის მიხედვით, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

ავეჯის
გადაზიდვა
593 20 46 87